

ბურკის

REGION

სამხატვრო-გამომცემი

ფასი 1.50 ლარი

№3, 2014, მაისი

„შავარდნაძის
გარდაცვალება“
უჩუქურთმე
გარემო
დაზველვა

ბურკის
სიხარულიძე:
გარემოს
დაცვა
და
საზოგადოებრივი
დაცვა

ბურკის რევიუ: ვესტურსი ნარსუდსა და დღევანდელი საზოგადოებრივი

ვასილ ჩიგოგიძე:
„ჰოლა! ჩვენ ვცოცხლობთ და ვიცოცხლებთ“
საზოგადოებრივი თანხები 150 ლარი
უჩუქურთმე
ბურკის უდაბნო



სამხატვრო-გამომცემი

ტრადიციონი მრავალსა

ქ. თბილისი
აღმაშენებლის
მე-13 კილომეტრი



| | |
|---|--|
| „გვახსოვდეს, მაცხოვრის აღდგომას წინ ჯვარცმა უძლოდა“ 2 | მოსახლეობის ეთილოდღეობის მონიტორინგი ლანჩხუთში 26 |
| ერი ქართული 4 | სამსახურის დებულების გამო გამოყენებული უფლებამოსილობების გადამეტება?! 27 |
| „დამარხულ არს ენაჲ ქართული“ 6 | ქალბატონმა სანდრა ელისაბედ რულოვსმა ლანჩხუთის „გამარჯვებულ ქალთა ქლების“ წევრები მოინახულა 29 |
| გეოლოგია გიორგი ძონენიძის უპირველესი გატაცება და საქმიანობა იყო 9 | გურიის უდაბნო 30 |
| ნარჯომანის პრობლემას ჯაცობრიობა დღემდე ვერ მოერია 11 | ბაღადა სიყვარულოზე 33 |
| რა გვინდა, რას ვითხოვთ - ეს არავის აინტერესებს 13 | რეზო ლორია 80 წლისაა 34 |
| ხმაური საარჩევნო სიების გამო 14 | ვანო გუდავადე - ქრიმანჭულის დიდოსტატი 35 |
| ვის მოუტანს სარგებელს ახალი საარჩევნო უოდექსი?! 16 | „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ და ვიცოცხლებთ“... 35 |
| ბიჭიკო ასურავა: მამა გაბრიელი განვკურნე და ჩემზე დიდი მადლი გადმოვიდა! 18 | „თეთრი ბაირაღები“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე 38 |
| ექსპურსი წარსულისა და დღევანდელიობაში 19 | აქეთის მაცხოვრის ეკლესიის რესტავრაცია მალე დასრულდება 39 |
| „შევარდნაძის გარდიენში“ უჩვეულო გარემო დაგხვდებათ 23 | დილის ლოცვის დროს ხმამღალი ხმა ჩაესმა - „ნადი აქეთის ეკლესიის აღდგენას მიხედო“ 40 |
| ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აუდიტის შემოწმების შემდეგ ჯითხვის ნიშნებია 25 | |

| | |
|--|--|
| <p>დაფუძნებელი – ანა თოხაძე მთავარი რედაქტორი – ლელა სურგავა მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 ტელ: 558 256 550; 555 67 77 70; 790 46 48 01 ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru</p> | <p>კვირფასო კითხველავო! მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, თქვენს მიერ მოწოდებული მასალის ჟურნალში განთავსება ფასიანია.</p> |
|--|--|

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე ვასუხს აზავს ავტორი,
 ხოლო საჩრდილო ბაქსა ვასუხისმგებლობა რედაქციის შიშვეთს ეანსრება.

„გვანსოვლეს, მაცხოვრის აღდგომას წინ ჯვარსზე უქლოდა“



მამა გიორგი უგრეხელიძე

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა! – ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ სააღდგომო მარხვა უსწრებს, რომელიც 49 დღე გრძელდება. მორწმუნეებს სულიერად ამზადებს ამ დიდ დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. ის გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსე მთვარის პირველ კვირას აღინიშნება. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომა ქრისტიანებმა 20 აპრილს მიულოცეს. რაც შეეხება სააღდგომო ტრადიციებს, საქართველოს ყველა კუთხეში სხვადასხვანაირია. გურიაში ჩვენ წინაპრებს საინტერესო რიტუალი ჰქონდათ. ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული ლულა იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვეს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენი და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ – ძალიან და სიმხნევის მოსამატებლად.

მამა გიორგი უგრეხელიძე ათი წელიწადია თბილისის ჯვართაძლესის ეკლესიაში მოღვაწეობს, რომელიც ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩაზე მდებარეობს. როცა მეორე კლასის მოსწავლემ პირველად მღვდელი ნახა, ბავშვურად იკითხა – „რატომ გახდა მღვდელი?“ თანატოლმა უპასუხა – „მან სიზმარი ნახა, რომ სამღვდლო გზას აირჩევდა“ – „ნეტავ, მეც ვნახო ასეთი სიზმარი“ – მცირეწლოვანის ნატვრა წლების შემდეგ რეალობად იქცა. უგრეხელიძეების გვარი წარმოშობით ლეჩხუმიდან, სოფელ ოყურეშიდან არის. მამას-კალისტრატე უგრეხელიძეს 11 დედამამიშვილი ჰყავდა, მათგან 4 ლეჩხუმში გარდაიცვალა. მამა გიორგის ბაბუა სასამართლოს აღმასრულებელი იყო. შეძლებული ოჯახი ჰქონდა. ცოლ-ქმარი 8 შვილთან ერთად ურმით ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში ჩავიდა და იქ დასახლდნენ. დედა-მერი ორმოცადაე ძირძველი გურულია.

საშუალო სკოლა შუხუთში დავამთავრე. ცელქი ბავშვი ვიყავი, ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა-მეღვინე ჩიტაძემ მამას ურჩია, მცირე ხნით მასთან წავეყვანე. ასე რომ 7 წელი ინტერნატში ვსწავლობდი, შემდეგ ისევ საშუალო სკოლაში დავბრუნდი. პირველად ექსკურსიაზე მეოთხე კლასის მოსწავლეები კოლმეურნეობის სატვირთო მანქანით ჯიხეთის მონასტერში წაგვიყვანეს. რევოლუციამდე ჯიხეთში 112 მო-

ნაზონი მოღვაწეობდა. საქართველოს მასშტაბით ერთადერთი მონასტერია, რომელიც არცერთი დღე არ დახურულა. შინაგან-ნაწესით და ცხოვრებით, დღესაც გამორჩეულია.

– როგორ შეინარჩუნა ასეთი სიძლიერე?


– ამოუცნობია ღვთის განგებულობა, შესაძლოა ადგილობრივი ხელისუფლება ფარულად იყო მორწმუნე. ჯიხეთის მონასტერს უჩვეულო მდებარეობა აქვს, ვიდრე კართან არ მიხვალ, ვერ დაინახავ. მისი წინამძღვარია მამა ანდრია კბილაშვილი, ბევრი გამორჩეული ბერი გვყავს, მაგრამ ის ჩემთვის განსაკუთრებულია. ასეთ კაცს იშვიათად შეხვდებით, სულ ფუტკარივით შრომობს და ფუსფუსებს. ჩემს არჩევანზე მამა ანდრიამ დიდი გავლენა მოახდინა.

– როგორ დაიწყო თქვენი სასულიერო ცხოვრება?

– 1988-1989 წლებში საქართველოში 15-მდე მოქმედი ეკლესია იყო, 150 სასულიერო პირი და 7-8 ეპისკოპოსი გვყავდა. მადლობა ღმერთს, დღეს, საგრძნობლად გავიზარდეთ, რაც მისი უწმინდესობის დამსახურებაა. 1989 წლის სექტემბრის თვეში პატრიარქი ჯიხეთის მონასტერში მობრძანდა, ერთი ღამე იქ დარჩა. მამა ანდრიამ მითხრა – „შენ შესახებ უნდა ვესაუბროო.“ საოცარი განცდა დამეფუფლა, რამე არ შეემშალოს, მამუკა გიორგაძე და გოგი შიოლაშვილი მამხნეებდნენ.

სრულიად გამოუცდელმა, არ ვიცოდი მისი უწმინდესობისგან როგორ ამელო კურთხევა. დავიხარე და შესამოსელის კალთაზე ვეამბორე. მამაომ ჰკითხა – „მღვდლად ხომ არ ვაკურთხოთო?“ ორი არჩევანის საშუალება იყო, თუ პატრიარქი მაკურთხებდა, მონასტერში წავიდოდი. მე, კი, სემინარიაში სწავლა მსურდა. მისმა უწმინდესობამ იკითხა – „მას როგორ სურს?“ მამა ანდრია მიუგო – „თქვენ როგორც იტყვი“ – „წამოვიდეს და ისწავლოს“ – თქვა პატრიარქმა. 21 სექტემბერს ღვთისმშობლობის დღესასწაული აღვნიშნეთ, ორშაბათ დილით მატარებლიდან ჩამოსული სემინარიაში წავედი. გამოცდები ჩავაბარე და სასწავლებელში ჩავირიცხე. მეორე კურსის დასრულების შემდეგ პატრიარქმა დამიძახა და მითხრა – „გიორგი ხვალ უნდა ვაკურთხო, მზად თუ ხარ?“ ისევ უცნაური განცდა დამეფულა, კითხვა მეორედ გამიმეორა – „შესამოსელი თუ გაქვსო?“ ვუპასუხე – „არა“. სტიქაროსან მამა გიორგი დორეულს უთხრა – „საპატრიარქოში წადი და ჩემი კაბა მოუტანეო“. მისმა უწმინდესობამ თავის კაბაში მაკურთხა დიაკვნად. ხუთი თვე თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ვმსახურობდი. პატრიარქმა ერთი კვირით ადრე მაცნობა – „მღვდლად უნდა ვაკურთხოო“. 27 სექტემბერს მაკურთხა და თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვრად დამნიშნა, სადაც ერთი წელი ვიმსახურე. შემდეგ მისი კურთხევით საგარეჯოს რაიონში ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვრად გადამიყვანეს. იქ ორი წელი დაყავი. ისევ თბილისში ორთაჭალის რაიონში წმ. ნიკოლოზის ტაძრის მღვდელთმსახურად დამნიშნეს, სადაც 9 წელი ვმსახურობდი. შემდეგ ნუცუბიძის მეორე პლატოზე წმ. სამების სახელობის ტაძარში გადავედი. ათი წელია ჯვართამაღლების ეკლესიაში ვმსახურობ. ღვთის შენეებით, ვცდილობთ, მრევლს დავეხმაროთ, უფალი დავანახოთ, ვუჩვენოთ ის გზა, თუ როგორ უნდა იარონ ღვთისაკენ. როცა საკურთხეველში ღვთის ტრაპეზის წინ დგახარ და ამდენი ადამიანის სახელით მსხვერპლს სწირავ, ეს რთულიც არის და სასიხარულოც.

– მთავარი დაბრკოლება ადამიანებს ღვთის სახლის გარეთ ხვდებთ.
 – ბავშვობაში მასხობს, ამბობდნენ – „მღვდელმა მოგვინოდა იმარხულეთო, თვითონ, კი, მარხვაში ხორცი ჭამაო“. როცა თეიმურაზ ჩხაიძემ სოფელ შუხუთში ტაძრის აღდგენა გადაწყვიტა, დავინტერესდით, ძველი ტაძარი რა სახის იყო. მთელი სოფელი ფეხით შემოვიარე, ყველას ვკითხე, არავის ახსოვდა რა სახის ტაძარი იდგა. VIII საუკუნის ნაგებობა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ააფეთქეს. თუ ტაძარი არ ახსოვთ, სად ნახეს მღვდელმა ხორცი როგორ ჭამა?! საქართველოს ნებისმიერ კუთხეში რომ ჩახვიდეთ, მსგავს საუბრებს ყველა სოფელში მოისმენთ, რაც ძველი აგიტაციის შედეგია. დღეს, შუხუთში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღველინება, ეს ტაძარი თეიმურაზ ჩხაიძის მონდომებით და შემოწირულობით აიგო. მათ ოჯახში ყოველთვის იცავდნენ ტრადიციებს, უფროს თაობას პატივს სცემენ. თეიმურაზს ძალიან უყვარდა თავისი ბებია, გვითხრა – „ბავშვობაში მას წმ. გიორგის ტაძარში დაყავდიო“. მეუფე იოსების კურთხევით ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა. გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ ძმასთან და მამასთან ერთად აიტანეს ჯვარი და ტაძრის თავზე დადგეს. მის გახსნამდე რამდენი-



მე კილომეტრის დაშორებით, მდინარიდან ღორღის ამოღების დროს ტაძრის ბეჭედი იპოვეს, რომელსაც ეწერა – „შუხუთის ღვთისმშობლის ეკლესია“. ღვთის სასწაულით 80 წლის წინ დაკარგული ბეჭედი სოფელს დაუბრუნდა, რაც იმის ნიშანია, რომ ჩხაიძეების მონდომება და ღვანლი უფალმა შეინარა. მონასტერში პირველად თეიმურაზის შვილიშვილი ლუკა მოინათლა, ღმერთმა დალოცოს ეს ოჯახი. დღეს, თეიმურაზ ჩხაიძე ავადმყოფობს, ყოველ კვირას დავდივარ და საჯანმრთელო პარაკლისს ვუხდი. დაარსების დღიდან ეკლესიის წინამძღვარია მამა საბა ჟღენტი. მადლობა უფალს, ჩემს სოფელში ზარის ხმა ისმის.

– ასეთი მოსაზრება გავრცელებულია, რომ გურიაში ყველაზე მეტი ეკლესია-მონასტრები დაანგრიეს, რაც მათ უწმინდესობაზე მეტყველებს.

– ეკლესია-მონასტრები ყველა კუთხეში დაინგრა, ეგ-ზარხოსის დროს ქართლ-კახეთში 26 ეპარქია გაუქმდა, რასაც შემდეგ წითელი ტერორი მოჰყვა. აჭის უნიკალური მონასტერი მსოფლიო საოცრებაა, შემოქმედის მონასტერმა სამცხე-ჯავახეთის მთელი განძი გადაარჩინა. აკეთის მაცხოვრის ტაძარში ახალციხის ღვთისმშობლის ხატს ინახავდნენ. იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მამათა მონასტერში ენათმეცნიერმა აკაკი შანიძემ დაწყებითი განათლება მიიღო, სადაც უნიკალური ბიბლიოთეკა იყო, შემდეგ კომუნისტებმა გაანადგურეს. ასე რომ გურიის ეკლესია-მონასტრებს ქვეყნის ისტორიაში დიდი დამსახურება მიუძღვით.

– მართლმადიდებელმა სამყარომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა, როგორ უნდა მოხდეს თითოეული ქრისტიანის სულიერი კათარზისი?

– ქრისტეს აღდგომა მთელი წლის სიხარულია. მთავარია, მაცხოვარი შენს გულში აღდგეს. არასდროს საუბრობენ, რომ აღდგომას წინ უძღოდა მაცხოვრის დასმენა, გაყიდვა, დაცინვა და გასამართლება. სამყაროს შემოქმედი გაასამართლეს?! შემდეგ აღდგა მაცხოვარი და მის დამცინავს, მყვედრებულს და მკვლელს გადარჩენის გზა მოგცა. მან აღდგომით „ბჭენი ჯოჯოხეთისანი დაამხუნა“. უფალი ამბობს – „ვინც წაიქცეს, აღდგესო“.

– თუ არ დაეცემი, ვერ აღდგები?
 – რა თქმა უნდა, ქრისტიანებმა აქ უნდა ვიბრძოლოთ, რომ შემდეგ ზეცაში მედღესასწაულებთან ერთად ვიზეიმოთ. დედამინაზე ბოროტება უნდა დაამარცხო და გაიმარჯვო.

– ამისთვის უნდა იმოქმედო, თუ მხოლოდ ილოცო?
 – ბოროტება ლოცვით და მარხვით განიდევნება. რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს სინანული. ქრისტიანობა სინანულით იწყება. უფალს შენდობა ვთხოვოთ, ის ყოველთვის გველოდება, ამიტომ მასთან უნდა მივიდეთ. მაცხოვარი ადამიანს შეუძლებელს არ სთხოვს, თუ მას არ შეუძლია კვირაში ორი დღე იმარხულოს, ორი საათით ეკლესიაში წირვა-ლოცვას დაესწროს, დილით ათი წუთი ილოცოს. რა პასუხს გასცემს უფალს?! მას ხომ შეეძლო ფრინველად, თევზად, ხედ მოველინე? რა დამსახურებით გაგაჩინა ადამიანად? როცა უფალმა ასეთი პატივი დაგლო – „სახედ და ხატად ღვთისა შეგქმნა“, მას უნდა მადლობდე და აღდგომა ცოდვაზე გამარჯვებით იზეიმო.

ჯრი - ქართული

*ვითომ გატაცებულა?
ვითომ აღივება ჰირისგან მინისა?
ვითომ აღვირევით ერსა უცხოესა?
არა!*



ღვთისმშობლის კვართი

„საფარველი ღვთისმშობლისა არასოდეს მოგვაკლდება, თუ არ გადავუხვევთ ღვთის გზას. არ ვუღალატებთ დედას ღმრთისას და საკუთარი ცოდვების სინანულითა და თავმდაბლობით ვზიდავთ ღვთის მიერ დაკისრებულ ტვირთს.“

ვინ ვიყავით?

ვარაუდით: წინა აზიის უძველესი მკვიდრი ხალხი. წინაპრები მკვიდრობდნენო შუამდინარეთში და იყვნენო მსოფლიოში პირველი ცივილიზაციის, პირველი (ლურსმნული) დამწერლობის შემოქმედნი. ძვ.წ. მე-3 ათასწლეულიდან იწყებო მათი დამკვიდრება კავკასიაში. ცალკეულ ტომებად იყვნენო დანაწილებული. მაგრამ უფალს არ დავინწყებია ისინი, მისცა ძალა რათა ჩამოყალიბებულიყვნენ ერთიანი ქართლის სამეფოდ, ცნობილ სახელმწიფოდ. ასე შეკრა უფალმა ისინი ერთიან ერად.

მთავარი ჩვენს ცხოვრებაში:

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „რა ჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღვთისმშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოსა. ჩვენებით ერვენა მას ძეა მისი უფალი ჩვენი და რქუა:“

„ჰოა, დედა ჩემო, არა უგულვებელყოფო ერი იგი საზეპურო უფროა ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლენ პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი. ვითარცა პირსა შენსა დიდებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნი-სამდე ჟამთა.“

ქრისტიანულ სამყაროში ეს წმინდა გადმოცემა კანონიკური ძალითაა ნიშანდებული.

ამბობენ:

სარწმუნოა მხოლოდ ის რაც წმიდა წერილშია გადმოცემული. იოანე მახარობელი ბრძანებს: „და არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქნა იესო და რომელნი თუმცა დაინერებოდეს თითოეულად, არცაღა ვჰგონებ, ვითარცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები“ (სახარება იოანესი 21,25)

1991 წლის საეკლესიო კალენდარში ვკითხულობთ: „საღმრთო გადმოცემას ისეთი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც საღვთო წერილს.“ წმიდა ბასილი დიდი ბრძანებს: „ეკლესიაში დაცულ დოგმებებსა და ქადაგებათაგან, ზოგი გვაქვს წერილობითი მოძღვრების სახით, ხოლო მივიღეთ მოციქულებრივი გადმოცემიდან, საიდუმლოში მემკვიდრეობითა გადმოცემით. ერთსაც და მეორესაც ერთი და იგივე ძალა აქვს კეთილმსახურებისთვის და ამას არავინ შეეწინააღმდეგება. თუნდაც მცირედ გარკვეულ იყოს საეკლესიო წესდებულებებში.“

...და მოველინა მაცხოვარი იგი მხსნელად ჩვენს სამყაროს.

ოცდაცამეტი წლის შემდეგ იუდეველებმა იერუსალიმს იხმეს მცხეთელი ებრაელები იესოს სამსჯავროზე. ებრაელთა ოთხი ტომიდან შეირჩა მღვდელმთავარი ელიოზ

მცხეთელი, სობის კანანელი, ლონგინოზ კარსნელი, ბოდბეკოდის წყაროელი: თაღენავ და მისაელ იერუსალიმს წარსაგზავნად.

მღვდელმთავარი ელიოზი: „შვილი სამღვდლო ტომთა,“ „კაცი ბრძენი და მეცნიერი“, წინამძღოლი ებრაელთა. დედა მისი – „ტომისაგან ელი მღვდლისა“, აარონის შემდგომ მეშვიდე მღვდელმთავრის ელიას მოდგმის.

და სიდონია – ღვთისმშობელი, ღვთის მოშიში, მთავარი მასში: მხურვალე გულით შეიყვარა, მან შორეულ იბერიაში, იქედნე-გველთაგან შეძლებული, ვერ შეცნობილი ღმერთი, თუმც თვალთ არ ენახა,... სულით ხედავდა. სთხოვა ძმას: ჩამოეტანა იერუსალიმიდან რაიმე ისეთი, თვის წმიდა ხელით, რომ შეხებოდა იესო.

დედამ დაარიგა: – ნუ ეზიარები ბოროტ განზრახვას. იგი წინასწარმეტყველთაგან აღთქმული მესიაა. „...ნუცა ეზიარები სისხლსა მას მისსა“.

ასე დამოძღვრილმა მცხეთელმა ებრაელებმა, მაინც ვერ მოუსწრეს, – მაცხოვრის მსჯავრის გამოტანას, გაენირათ ჰურიებს ღმერთი. ჯვარცმასლა მიუსწრეს მცხეთელებმა.

და იხილეს გოლგოთას, ჯვარზე გაკრული კაცთა მაცხოვარ.

ირგვლივ კი ცნობიერება დაკარგული ბრბო ყიჟინებდა: „ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგე“. მათში კი უამრავი იყო იესოსაგან განკურნებული. იმძლავრა გენმა მართალმა და „არსადა ეზიარა განზრახვა მათსა ელიოზ, ვითარცა იგი მიელ მცნება დედისაგან“.

დედა კი მცხეთაში იმას ხედავდა, გრძნობდა, რაც ხდებოდა იერუსალიმში, რასაც ვერ ხედავდნენ და ვერ გრძნობდნენ სულით ბრმანი და ყრუნი. ოდეს ხელებში ჯალათმა ლურსმნები ჩაასო იკხრჩიალა დედამ ელიოზისამ: „მშვიდობით მეფეო ჰურიათაო, მოჰკალით თავისა თქვენისა მაცხოვარი და იქმენით მკვლელ შემოქმედისა. ვა თავსა ჩემსა, რომელ არა წინავე მოვკვდე, რათამცა არა სმენა იყო ყურთა ჩემთა და განუტევა სული“.

ჯვარცმის შემდგომ იესოს სამოსელზე წილი ჰყარეს ურჯულთა. კვართი უფლისა ღვთისმშობლის ხელით მოქსოვილი წამოიღო ელიოზ მღვდელმთავარმა. ოდეს მოაღწია მცხეთას, გამოეგება სიდონია, ელიოზმა გაუწოდა კვართი უფლისა და ახარა: „აჰა, რომლისა ეგე სურვილი იყავ, მიიღე კვართი მისი და განიხარე“.

და ჩაიკრა გულში კვართი უფლისა ქალწულმა. გოლგოთა გამოვლილი და თვითონაც გოლგოთის გზა განვლო სულით წამიერად. ეკლის გვირგვინით შუბლდასერილი, ბექქვემ ჯვარდამძიმებული ხელისგულეებში ლურსმნებგაყრილი მაცხოვრის ტკივილი შეიგრძნო თავადაც, ველარ გაუძლო და გულში ჩაკრული კვართით განუტევა სული. ამ ამბავმა მეფე ადერკის ყურამდეც მიაღწია და მან გადაწყვიტა შეემოსა კვართი, მაგრამ ვერანაირად შესძლეს მისი მოშორება სიდონიას გაცხვებული ხელებიდან. იძულებულნი შეიქმნენ, სიდონია კვართიანად დაემარხათ.

ინფორმაციისათვის

მცხეთაში უფლის კვართთან ერთად წმიდა ილია თეობიკელის ხალენი (მოსასხამი) ასვენია, ეს ის ელიაა, რომელმაც სატანის საკრებულოდან ქცეულ თალმუდისტებრაელებს უნდა უქადაგოს უკანასკნელ ჟამს და ღრმა სინანულის ცრემლითა და რწმენით განწმენდილი მათი დიდი ნაწილი ქრისტეს ეკლესიას შეჰერთოს.

ისტორიული წყაროების მიხედვით ელიოზმა და თვისი უფლის კვართთან ერთად, თავისი სახლის ახლოს დამარხა, რომელიც „სამარხვის“-აკლდამის ფუნქციას ასრულებდა, მასში ასევე დამარხულ იყო ქართველ ჰურიათა დიდი სინმინდე ბიბლიური ელიას სამოსელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს: „ებრაელებმა ქართველებს... უდიდესი სინმინდე ჩამოგვიტანეს – წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი. ეს ის სამოსია, რომელიც ელია წინასწარმეტყველმა თავის მოწაფეს – ელისეს დაუტოვა, როცა იგი ცეცხლოვანი ეტლით ამაღლდა ზეცად. დიახ, ერთ-ერთი უდიდესი სინმინდე, რაც ებრაელებს გააჩნდათ, მათ საქართველოში ჩამოიტანეს“. „ეს ის ხალენია, რომელმაც გააპო მდინარე იორდანე და სხვა მრავალ უდიდეს სასწაულს აღასრულებდა. სწორედ ეს ხალენი იქნა ჩამოტანილი მცხეთაში, საკურთხევის მარჯვნივ (იგულისხმება სვეტიცხოვლის საკურთხეველი) არის წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტრაპეზი. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ სწორედ აქაა დაფლული ეს დიდი სინმინდე“.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდი სინმინდე წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი არის ერთ-ერთი უდიდესი სიმბოლო საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებულობისა და ძველ დედაქალაქ მცხეთაში ქრისტეს კვართთან ერთად მისი არსებობა უდიდესი მადლია.

და ასე დაინიშნა იბერია უფლის კვართით, ვითარცა ქალწული. სიდონიასავეთ ჩაიკრა გულში საუფლო კვართი ქართულმა მინამ... და იქმნა კვართი უფლისა ხელთუქმნელი სანინდარი ქართველთა არ გადაშენებისა, საზეპურო ერის წილხვდომილობისა, ქართული მინისგანუყოფლობა-მთლიანობისა, რამეთუ მთლიანი და დაუნანვერებელი დარჩა კვართი ბილწ უსჯულოთა ხელთაგან, უფლის ნებით.

მოვა ჟამი და გამოვა წმინდანი სიდონია მკვდრეთით აღმდგარი კვართით ხელში...

და წამოვიდა ნათელი იგი იერუსალიმიდან მთელ სამყაროში. საქართველოა ის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მოციქულთა მსოფლიო ქადაგებამდე, ეზიარა ქრისტეს მადლსა საქრისტიანოს უდიდესი სინმინდის, უფლის ხელთუქმნელი კვართის მცხეთაში მოვლინებით. უფლის განგებით ღვთაებრივი სინმინდე ქართველ ებრაელს ელიოზს ხვდა წილად, საოცარი სიზუსტით აღსრულდა დავით მეფის წინასწარმეტყველება: „განიყვეს სამოსელი ჩემი, მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“. კვართი უფლისა ივერიას უფლისწინასწარგანგებულობით ხვდა წილად. აი, რას ბრძანებს მოციქულთა სწორი წინი: „ღმერთმან წინასწარვე განგებულობით მოანიჭა სამოსელი ძისა მისისა ქალაქსა ამას“, რომ კვართი წილხვდომით ერგო ივერიას,

წილხვდომილობა კი უფლის განსაკუთრებულ საფარველს და უფლის მიერ დაკისრებულ გარკვეული მისიის ტვირთვას ნიშნავს და უფლისათვის განსაკუთრებულ თავდადებას მოითხოვს. ამასვე ბრძანებს მამა ნიკოლოზი, ქართველთა კათოლიკოსი, იერუსალიმს ბერად აღკვეცილი: „უფალმა გაქრისტიანებამდე გამოარჩია ქართველი ერი, ერთად საზეპუროდ და თავის ღვთაებრივი კვართით დაწინდა საქართველო, რათა შეემზადებინა იგი მომავალი მისიისათვის. სასწაულთმოქმედი კედარი კი ღირს იქმნა ესდენ დიდი მადლისა, რამეთუ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნის მინაზე გაიდგა ფსევ.“

„ერი საზეპურო“ – (ქართულ და უცხოურ დოკუმენტებზე დაყრდნობით) ქართველ ერს თავად მაცხოვარმა უწოდა. უფლის მითითებით, როგორც ვიცით, თავისი ხელთუქმნელი ხატი საქართველოში გამოგზავნა დედაღვთისამ, მოატანინა ფიცარი, დაიბანა პირი და მიიღო სახეზე, რის შემდეგაც ფიცარზე სასწაულებრივად გამოისახა თავად ყოვლადწმიდა დედა ღვთაებრივი ყრმით ხელში. ღვთისმშობელმა გადასცა ანდრია პირველწოდებულს თავისი ხელთუქმნელი ხატი და განუცხადა უფლის ნება: „შენ წარხვიდე და წარასვენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა ჩემდა წილხვდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელ აღუყრა და შევენიო მათ არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“ („ქართლის ცხოვრება“, გვ.37).

საქართველოს უფლისაგან მიეცათხი ძირითადი, ერისათვის სასიცოცხლო აღთქმა:

- 1. საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.
- 2. უფალი დაიცავს ჯვარისმტვირთველობის წიშნით საზეპურო ერთად გამორჩეულ ქართველობას.
- 3. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ხელთუქმნელი დაიცავს ქართველობას უკუნისამდე ჟამთა.
- 4. თავად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია გამგებელი და წარმმართველი ქართველი ერისა.

– რას ნიშნავს საზეპურო?
– რჩეულს, საკუთარს, თავისიანს, უაღრესს, აღმატებულს, ზეცისთა თანაზიარს, ზეცის პურის მტეს. ზეპური ძველ ქართულში არისტოკრატიულს ნიშნავს. აი, რას ბრძანებს მაცხოვარი „არა უგულვებლევყო ერი იგი ჩემდა საკუთრებად გამორჩეული, უფროს ყოველთა ხალხთა, რამეთუ შენ დედაა ჩემი ხარ, ხარ შუამდგომელი და მეოხ მათი“.

ქართველი ერი რჩეულია თავისთავად, როგორც ყველა მართლმადიდებელი ერი, ხოლო უფლისათვის ერი საზეპურო არის იმდენად, რამდენადაც მისი ისტორიული გზა ყველა სხვა ერის ისტორიაზე მეტად არის მიმსგავსებული მაცხოვრის მოწამეობრივ გზას.

– რატომ უწოდა უფალმა ქართველებს – ერი საზეპურო?
– რამეთუ დაწინდული იყო ერი იგი გოლგოთას სისხლით შესვარულ საუფლო კვართთან. უკვე უფლის თვისად, ჯვარისმტვირთველად იყო გამორჩეული.

გვასწავლიან წმინდა მამები: უფალი ყველა ერს, ყველა ადამიანს თავის საზიდარ ჯვარს აძლევს და იგი არ აღემატება არც ერის და არც ადამიანის შესაძლებლობას.



„ქართული ეკლესია მარადიული ჯვაროსანი გახდა. მისი ისტორია კი მარადიული მარტიროლოგი... იგი უფრო მეტად ეწამა თავისი სარწმუნოების დასაცავად, ვიდრე ყველა აღმოსავლური ეკლესია ერთად აღებული“ (მ. თამარაშვილი, „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“). „საქართველოს მფარველი ანგელოზი თავად ზეციური დედოფალი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია“.

ეს უდიდესი წყალობაცაა და გამოცდაც, ღვთის სიყვარულის გამოცდის შემდეგ წარმოჩნდება: რა იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ცხოვრება?

- უსიტყვო მსახურება უფლისა.
- **ჯვარი და ტანჯვა.**
- სულიერი გოლგოთა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიული გზაც მონამეობრივია. გზა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა მართლმადიდებლობისათვის. საქართველოს ისტორია არის წიგნი

წმინდა მონამეთა სისხლითა და ღირსთა მამათა ცრემლით დანერვილი. ცნობილი ქართული ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“ ხატავს უფლის კვართისა და საკვირველმოქმედი სვეტის ირგვლივ შემოკრებულ ქართველ წმინდანებსა და ერს. იგი ერის არა მხოლოდ დიდებული წარსულია, არამედ მომავალიც.

„დგანან წმინდანნი საქართველოესა, ვითარცა მხედარნი საბრძოლო დროშის ქვეშ, ირგვლივ, ვითარცა ანგელოსნი-ზეციური სვეტის ირგვლივ. დგანან სხივოსილნი უფლის კვართისგან გამომავალი სხივით, დგანან სხივოსილნი სიდონიას საფლავითგან... მწუხრი ახლოვდება, ბინდდება, ღრუბლებივით ჩამოსწოლია სამყაროს აჩრდილნი აპოკალიპსისა. მდუმარე ლოცვას მისცემიან წმინდანნი“ (არქიმანდრიტი რაფაელი, „დიდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა“, გვ 4, 69).

მომზადდა ქეთი მგელაძე

„ღამარხულ არს ენაჲ ქართული“

V საუკუნიდან მოყოლებული მართლმადიდებელ საქრისტიანოში ქართველებს საკუთარი მონასტრები და მათთან არსებული საგანმანათლებლო – საღვთისმეტყველო სკოლები ჰქონდათ. პალესტინის, სინას მთის, ანტიოქიის, შავი მთის და ყველა საბერმონაზვნო ცენტრი უამრავი ქართული მონასტრით იყო გაშენებული.

მარტო პალესტინაში ორმოც ქართულ მონასტერში წართქმებოდა უფლის სადიდებელი ლოცვები. არაბთა საშინლად მოძალებული ბატონობის ხანაშიც კი, როცა მთელ საქრისტიანოში მშობლიური ენა არაბულმა შეცვალა, საზღვარგარეთ თუ ქართულ მიწაზე არსებულ ქართულ მონასტრებში მძლედ უღერდა წმინდა მამათა ბაგეთაგან წართქმული მშობლიური ქართული. არაბული ენის წინაშე უამრავმა ქრისტიანულმა ქვეყანამ მოიდრიკა ქედი, ივინყებდნენ მშობლიურ ენას და მეტყველებდნენ არაბულად. ეს ის დრო იყო, როცა იოანე საბანისძის დარისხებული ზარები ქუხდნენ: „აღვირი ენით ერსა უცხოსა“, მაგრამ ახალ ქართულ მონასტერ-ლავრებში კვლავ ქართულ ენაზე გაისმოდა ლოცვა-ვედრება. შორეულ მთაზე ბრწყინავდნენ ქართველნი მამანი ჩვენი ერის ჭირით დაჭირებულნი, ერის ცრემლით ცრემლდაუშმრალნი, საქვეყნოდ უნებურ სახელგასმენილნი: ეფრემ მცირე და გიორგი შეყენებული, ილარიონ ქართველი და გიორგი ხუცეს-მონაზონი, იოანე ათონელი და იოანე თორნიკ-ყოფილი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, იოანე ჭიმჭიმელი და ეფრემ დიდი, გრიგოლ ბაკურიანისძე და საბა თუხარელი და სხვანი და სხვანი ღირსნი მამანი, მარად მოციალე ნათელნი ჩუენნი.

ესენი იყვნენ სულიერი ბრძოლის ველზე ლოცვა-აღჭურვილნი სულის მეომარნი. იბრძოდნენ, იღწვოდნენ,

ლოცვით მძლეობდნენ... და გაისმოდა ქართულ მიწაზე შორით მქუხარი სიტყვა – ქუხილი მათი: არ გადაშენდებაო ქართული მოდგმა!

პალესტინაში საბანმდის ქართულ ლავრაში V საუკუნიდან იღწვოდა მრავალრიცხოვანი ქართული კოლონია, ძლიერი სალიტერატურო სკოლით – საბანმინდურს, რომ უწოდებენ. არაბთა მოძალების ხანაში ერთი ნაწილი ქართველ ბერთა სინას მთას შეჰხიზნებია, რადგან მიუდგომლობის გამო მთა შედარებით დაცული ყოფილა არაბთაგან. აქ ეგულებოდათ მათ VI საუკუნეში საფუძველჩაყრილი ქართული მონასტრები. ამ ჯგუფს სათავეში ჩადგომია იოანე-ზოსიმე, რომელიც დღედაღამ უძველეს ხელნაწერებს უჯდა და მათი გადანერა – შემოსვით სულს ინათებდა. რაოდენ თავდაუზოგავი და მძიმე იყო შრომა მისი, მეტყველებს ხელნაწერის ანდერძი: „დაეჩხიკე ხელითა ჩემითა ფრიად ცოდვილისათა წიგნი ესე კანონი, დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებისა ჩემისა, დიად ხაშმან და ბრმამან მრავლითა ჭირითა“. ყველაზე მეტად იოანე-ზოსიმემ ქართველი ერის წინაშე იმ ფასდაუდებელი საგალობლის შექმნა – შემონახვით გაბრწყინებულა ქართველთ მომავალზე რომ წინასწარმეტყველებს: „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

ვარაუდობენ:

ეს არის ესქატოლოგიური ხასიათის წინასწარმეტყველება ქართველი ერის მომავალი მისიის შესახებ. წინასწარმეტყველების აზრი ასეთია: „**იოანე მახარობლის გამოცხადების თანახმად, მომავალი მსოფლიო კატაკლიზმების შედეგად პირისაგან მიწისა აღიგება ბევრი ერი და ქვეყანა, ხოლო ქართველი ერი შემორჩება საუკუნეებს, რათა ღმერთის შეწევნით აღასრულოს მასზე დაკისრებული მისია: მან უნდა სწამოს და ჰქადაგოს**



ქეშმარიტება ქრისტეს განდგომილი კაცობრიობის წინაშე უფლის მეორედ მოსვლის შესახებ, რამეთუ უმრავლესობა კაცობრიობისა მოტყუვდება და ქრისტედ მიიჩნევს ანტიქრისტეს“.

ღმერთმა ქართველი ერის საშუალებით უნდა ამხილოს უკანასკნელი წინააღმდეგომი თვისი, მსოფლიო ტირანად მოვლენილი ანტიქრისტე, მისი მოთაყვანე ერები.

ქართველი ერი ლაზარეა, იგი მიმსგავსებულია უფლის საყვარელ მეგობარს, მართალ ლაზარეს, რომელმაც განისვენა და უფალმა მკვდრეთით აღადგინა უკვე ოთხი დღის მკვდარი. ლაზარეს მიმსგავსებული ქართველი ერიც გარკვეულ ჟამამდე მიძინებულ-მივიწყებული, მდაბალი, დაწუნებული და მსოფლიოს ბოროტ ძალთაგან უგულვებელყოფილი, ტაბუირებული სიმბოლურ-მისტიურ გზას გაივლის, რათა აღდგეს და ღვთის შემწეობით ალასრულოს თავისი მისია“.

ფიქრობენ, რომ „ქეზა“ არ არის ის ნაწარმოები როგორც მას ღებულობენ. იგი ამპარტავანს გახდის ერს, მიუღებელია, დაუჯერებელიაო, მაგრამ ასე რომ ყოფილიყო მას არ აღიარებდნენ ისეთი დიდი წმინდა მამები, რომლებიც მაშინ მოღვაწეობდნენ, მას არ შეიტანდა უდიდეს კრებულში – სინური მრავალთავი, მაკარი ლეთელი. იგი შეტანილია კრებულ „სამეცნიეროში“.



ათონის მთა

ქეზა ელის წამკითხველს... არსებობს კიდევ ერთი წინასწარმეყველება:

უკანასკნელ ჟამს, უფლის მეორედ მოსვლის წინ გაბრწყინდება ივერია. ამ გადმოცემას ეხმიანება ათონელ ბერთა წმიდად დაცული ცნობა, რომ მოვა დრო, ოდეს იბერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი, ისევ იდუმალ დატოვებს ათონის მთას, ვითარცა მოვდა და სასწაულებრივად გამობრწყინდება თავის წილხვედრ ივერიაში.

ცოტა რამ ათონის მთის შესახებ: ათონის მთა ღვთისმშობლის მეორე წილხვედრია იბერიის შემდეგ, როცა ღვთისმშობელი იერუსალიმში დარჩა უფლის ნებისაებრ და ელოდა მის მითითებას, ლაზარე საყვარელი მეგობარი უფლისა, კვიპროსზე იმყოფებოდა. იგი სწუხდა უფლის დედის უნახაობას. იგი იყო მწყემსმთავარი კვიპროსზე და ურიათაგან შეძლებული ვერ ბედავდა იერუსალიმში ჩამოსვლას. დედა ღვთისმშობელმა გაიგო ეს და მყის ნუგეშისმცემელი ეპისტოლე მიახარა – მე თვითონ გინახულებო. გახარებულმა ლაზარემ ხომალდი გაუგზავნა და მარად ქალწული იოანე მოციქულთან ერთად მყის გაემგზავრა – კვიპროსს. ცოტაღა მანძილი რჩებოდა, რომ ამოვარდა ქარიშხალი, ხომალდს გეზი უცვალა და ათონის მთის ნაპირებისაკენ გააქანა. ყოვლად წმიდა დედას ენიშნა, რომ ეს ის ქვეყანა იყო, სადაც უნდა ექადაგა. გადმოვიდა ნაპირზე. ნაპირზე გადმოსულმა მადლიერების ნიშნად წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „მადლი ჩემგან შობილისა ჰფარავდეს ამ მინას

დღემდე მეორედ მოსვლისა“. წარმართნი მოიმონაფა, აკურთხა ათონის მთა და გამოემგზავრა თავის ძეობილთან ერთად კვიპროსზე. ყოვლად წმიდა ქალწულმა ლაზარეს თავის ხელით ნაქარგი ანაფორა აჩუქა. ასე გახდა ათონის ნახევარკუნძული წმიდა დედის ფერხთშენახები და მის წმიდა ბაგეთაგან კურთხეულ-ხარებული.

ათონის ნახევარკუნძული ზღვაში შეჭრილი მთაგორიანი მხარეა. რამდენიმე საუკუნეში თავის ზღვასავით ღრმა და მთებსავით მაღალი სულიერების კერად იქცა.

პირველი ბერები აქ VI საუკუნიდან ჩნდებიან, ხოლო 960 წელს აქ გამობრწყინდა მნათობი მთაწმინდელებისა, დედით ლაზი – ათანასე დიდი. იგია ფუძემდებელი ათონის მთაზე სამონასტრო აღმშენებლობისა. მან დაარსა პირველი დიდი ლავრა, იქ დაამკვიდრა მოყვასი თვისი იოანე ქართველი თავისი ვაჟით ექვთიმეთურთ – აქვე

დაემკვიდრა ქართველთა დიდი მხედარმთავარი ბერი იოანე თორნიკ-ყოფილი. იოანე ქართველმა აქ აღზარდა ვაჟი თვისი ექვთიმე – მომავალში ახალ ოქროპირად და მანათობელ ვარსკვლავად რომ გაბრწყინდება საქრისტიანოს ცაზე. მათ 980-983 წლებში ათანასე დიდის ლოცვა – კურთხევით აღაშენეს წმინდა მთის ერთერთი წამყვანი სამონასტრო ცენტრი, ქართველთა დიდი სავანე – ივირონის მონასტერი, რომლის „ჰაეროვნება და შუენება უაღრეს ქეზისა აღმატებულ არს“... „გარნა მსგავსი მისი არა იპოვების და არა მხოლოდ მთასა, არამედ სხვათაცა მრავალთა ადგილთა“.

ქართველები აქ X საუკუნემდეც ყოფილან. მონასტერიც ჰქონიათ ათო, აქ ცხოვრობდა ქართველი ბერი გაბრიელი, მისი სახელი ათონის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ისტორიასთან არის დაკავშირებული.

VIII-X საუკუნეებში ბიზანტია ხატმებრძოლების უმძიმეს ცოდვაში ჩაეფლო. საქართველომ ამ საშინელ მოვლენას დიდებულად აუარა გვერდი, მეტიც გოთების ეკლესიის წინამძღოლი იოანე ამ პერიოდში ხატმგმობლობის კერას ჩამოშორდა და შორეულ საქართველოში ჩამოვიდა და ქართლის კათოლიკოსისაგან ეკურთხა ეპისკოპოსად. ეკლესიამ ეპისკოპოსი იოანე სიკვდილის შემდეგ წმინდანად შერაცხა.

ამ გამწვავებულ ხატმებრძოლების ჟამს ქალაქ ნიკეაში ცხოვრობდა მდიდარი და კეთილმსახური ქართველი ქვრივი ქალი ვაჟითურთ. ქვრივს თავის სახლთან ეკლესია ჰქონდა და იქ დაესვენებინა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. მეფის (თეოფილე ხატმგმობელი) მზვერავებმა უნახეს ხატი ქვრივს და დაემუქრნენ, თუ გამოსასყიდს არ მისცემდათ წამებით მოკლავდნენ. ქვრივი მეორე დღისათვის შეჰპირდა გამოსასყიდს. მტრები განშორდნენ, მაგრამ ერთმა მათგანმა მახვილი სცა ხატს და იმ წამს ღვთისმშობლის სახიდან, როგორც ცოცხალიდან, სისხლი გარდამოვიდა. ღამით ქალმა ვაჟთან ერთად ხატი გამოიტანა ზღვის

პირას და სასოებით შეჰღალადა: „დედასა ღვთისას ძალ- გიძს გვიხსნა ჩუენ მეფისაგან უკეთურისა და ხატიცა შენი დანთქმისაგან“.

ამ იმედით ხატი მისცა ზღვის ტალღებს. ხატი აღე- მართა ტალღებზე და წარემართა დასავლეთისაკენ. ქვრივმა მადლობა შესწირა წმიდა დედას, ვალი აღსრუ- ლებულად ჩათვალა და ვაჟს სთხოვა: გასცლოდა იქაუ- რობას. შვილმა თესალონიკეს შეაფარა თავი, მაგრამ შინაგანი ხმის წარმართებით ათონისაკენ წავიდა და იქ ქართულ მონასტერში შედგა ბერად. მისი ათონზე მისვლა ღვთისნებით მოხდა, რამეთუ მისგან შეიტყვეს ათონელმა ბერებმა, როგორ გაატანა მისმა კეთილმო- რწმუნე დედამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ზღვას. ბერი იგი 890 წელს გარდაიცვალა.

„სად იყო რამდენ ხანს მიფარული საკვირველთ- მოქმედი ხატი ესე მარადის ქალწულისა – მის გამოჩე- ნამდე უწყის მხოლოდ ღმერთმან, ყოვლისა მეცნიერმან დიდებულთა და საკვირველთამან“ – ვკითხულობთ ივე- რიის ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სვი- ნაქსარში.

და აი მოხდა დიდი სასწაული: 999 წელს ათონის მთის აღმოსავლეთ სანაპიროზე იდუმალ გამოჩნდა ქართველი ქალის მიერ მგობართა ხელთაგან გამოწარიდი და ღვ- თის იმედით ზღვას მიცემული ხატი ღვთისმშობლისა. ქრისტეს შობითგან პირველი ათასწლეული იწურებოდა აღდგომის მარხვის დროს ლოცვას მისცემოდა ივერთ მონასტერი. ღმერთს ავედრებდნენ საქრისტიანოს მამე- ბი. მეყსეულად სარკმლიდან ნათება შენიშნეს, ნათლის სვეტი იხილეს ცეცხლებრ მოტყინარე ზღვაზე.

„უფალო შეგვიწყალებ“ – აღმოხდათ შიშით. გარეთ გაიჭრნენ, ნათებას მიჰყვენენ, ზღვის ნაპირს მიადგნენ და... საოცრება.

შუაგულ ზღვაში, სვეტსა შორის ცეცხლისა, გა- ბრწყინებულყო ღვთისმშობლის ხატი! პირქვე დაემხვ- ნენ ქართველები... მათ თავად ზეციური დედოფალი სწევოდათ.

ნაპირს მოაწყდნენ სხვებიც: განდეგილნი, მეუდაბ- ნოენნი, მწირნი და მმარხველნი, ღმრთისთვის სალოს- ნი. მონასტრის მორჩილნი. ყველას სურდა მიახლოება, ზღვიდან მისი გამობრძანება, მაგრამ ყველასგან უკან იხევდა ხატი დედა-ღვთისასა, არავინ მიიკარა. მწარე სინანულს მიეცნენ ათონელნი. ვნების შვიდეული ზღ- ვის პირას გაატარეს. იგლოვდნენ თვის ცოდვებს, ზღ- ვას ერთვოდა მათი დენილი ცრემლი. განსაკუთრებული გულმხურვალეობით ლოცულობდნენ იბერიელნი: მოგვა- ნიჭყო ფასდაუდებელი საუნჯე.

და... აი, გაბრწყინდა პირველი დღე აღდგომისა. დედა ღვთისა გამოეცხადა ძილში გაბრიელ ქართველს (სალოსს), წმიდა ცხოვრებით გამორჩეულ მეუდაბნოე მამას. მოკრძალებული იყო გაბრიელი, კრძალული ცხო- ვრებით და სიმარტოვით გამორჩეული. ზაფხულს შეუ- ვალ კლდეთა შორის ატარებდა, ზამთრობით სავანეს უბრუნდებოდა. ტანთ ფლასი ეცვა, ბალახთა ძირებით იკვებებოდა, წყალს სმიდა ოდენ „სცხოვრობდა ვითარ- ცა კაცი ზეცისა და ანგელოსი ქვეყნისა“.

აუნყა ანგელოსებრივ მამას დედა ღვთისამ: „აუნყე წინამძღვარსა და ძმათა, რამეთუ მე მნებავს მივანიჭო მათ ხატი ჩემი შემწედ და მფარველად. შემდგომად შემოვედ შენ ზღვაზე, ვლე სარწმუნოებით ღელვასა ზედა მისთა და მაშინ ჰსცნონ ყოველთა სიყვარული და წყალობა ჩემი სავანისადმი თქვენისა“.

განთიადს ლიტანიით, გალობით, საკმეველის კმევით და ამბორებით განვიდნენ მონაზონნი ქართველთ სავა- ნისანი ზღვის ნაპირს.

გაბრიელ ქართველი შევიდა ზღვად, ვიდოდა წყალ- თა ზედა, ვითარცა მეორე პეტრე. ხმელეთივით განვლო წყალი და „მისწვდა სხვათაგან მიუწვდომელსა საუნჯესა დიდებად მონაზონთა ივერიელთა“.

გულში ჩაკრული ხატი გამოაბრძანა ნაპირზე. ქართ- ველმა ბერებმა ხატი ეკლესიის საკურთხეველში შეასვე- ნეს, მეორე დღეს კი ეკლესიის კარის ზეთავზე იხილეს აღმართული. ბევრჯერ სცადეს ბერებმა მისი შესვენება საკურთხეველში, მაგრამ არ ინება. სასწაული რამდენ- ჯერმე განმეორდა. ბოლოს ღმრთისმშობელი ძილში გა- მოეცხადა გაბრიელ ბერს და აუნყა: „გამოუცხადე ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქ- ვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიც და მცველიც, არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც. დაე ყველა ბერი, ვინც ამ მთაზე კეთილად და ღვთის შიშით იღვანებს, სასოებდეს ჩემი ძისა და მეუფის მონყალებას, რამეთუ მე გამოვითხოვე მისგან ეს ნიჭი და აჰა, იყოს თქვენდა სასწაულად: ვი- დრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა“. მას შემდეგ ხატი ღმრთისმშობლის მიერ გამორჩეულ ადგილზე ბრძანდე- ბა, რის გამოც იწოდება „პორტაიტისად“ ანუ „კარიბჭის მცველად“.

ჰმსახურებდნენ ღმერთს ღვთისმშობლის ძალით დაცულნი მამანი ჩვენნი და ბრწყინავდა ლავრა იგი ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ძალითა და მა- დლით. მას ძველთაგანვე კიდევ ერთი სახელი შეარქ- ვეს – „მწყალობელი“. იგი ყველა მართლმადიდებელ ერში დაემკვიდრა. არსებობს გადმოცემა, რომ სანამ კარიბჭის საკვირველთმოქმედი ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელს ქვეყნიერებას მოჰფენს მართლმადიდებლობის წმინდა ნათელს და ჯოჯოხე- თის ძალები ვერ მოერევინ მას. მაგრამ დადგება დრო და ხატი კაცობრიობის საყოველთაო განდგომილობის ფამს, ანტიქრისტეს გამეფების წინ გაუჩინარდება ისე- თივე იდუმალი გზით, როგორც მოვიდა. მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ წმინდა მთა.

ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონელ მამათა მოწ- მობით „ყველაზე სახალხო სიყვარულით სარგებლობს“ წმინდა მთაზე. მისი დღესასწაული აღინიშნება ბრწყინ- ვალე შვიდეულის სამშაბათს. საკვირველთმოქმედ ხატს ლიტანიობით მიასვენებენ ზღვის ნაპირას, სადაც იგი პირველად გამოაბრძანა ღმრთისმშობლის ეკლესიაში აღასრულებენ საღმრ- თო ლიტურგიას.

ორჯერ განანათლა ზეციურმა დედოფალმა საქართ- ველო: თავისი ხელთუქმნელი ხატით, რომელიც ანდრია პირველწოდებულს გამოატანა ივერიაში და მის მიერ შეთხზული ჯვრით, რომელიც წმინდა ნინოს გადასცა ივერიელთა საკურთხებლად.

მესამედ კი სასწაულმოქმედი ხატით თვისით განა- ნათლებს ათონის მთიდან იდუმალ, რომ უნდა გამო- ბრწყინდეს. ივერიის მფარველი ანგელოზი ხომ თავად ზეციური დედოფალია.

მოამზადა ქეთი მგელაძე

გეოლოგია გიორგი ძონენიძის უაიკველესი გაზაცევა და საქმიანობა იყო

„საქართველომ წინაპრებიდან დანატოვარი მემკვიდრეობიდან ყოველივე ღირებული საღი გონებითა და ფხიზელი თვალით გადაარჩინა. ქართველები თვალის ჩინივით უფროსილდებოდნენ ძველი ხუროთმოძღვრების, ლიტერატურის, ქანდაკების, ფერწერის, მუსიკისა და ხელოვნების ნიმუშებს. წარსული საუკუნეების ბოზოქარმა დინებამ ქართველის ხასიათი ჩამოაყალიბა, ის მშვიდობისმოყვარე და მშრომელია, მტერთან შეურიგებელი, პირდაპირი, მოყვარესთან ალალი და გულუხვი. ქართველის მთავარ თვისებად მიმაჩნია, რომ ჩვენებური კაცი ძნელად აიყრება მშობლიური მიწა-წყლიდან. ის ვერ ეგუება უცხო ქვეყანაში შეხიზვნას. თითოეულ ქართველს ვურჩევ, სიტყვით და საქმით გაამართლოს ქვეყნის სიყვარული.“ (1972 წელი გაზეთი „სამშობლო“ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი ძონენიძე).

ასეთი შეფასების შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, მიუხედავად ამისა, დღეს, ყველაზე მთავარ საკითხად ემიგრაციაში მყოფი ქართველების მდგომარეობაა. ინტელექტუალური ნაწილი საზღვარგარეთ მოღვაწეობს და ქვეყანაში დაბრუნების პერსპექტივას ვერ ხედავს. მომავალი თაობისთვის გიორგი ძონენიძის ცხოვრება და მოღვაწეობა თვალსაჩინო მაგალითია, როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს. რჩეული სწავლული, კარგი პედაგოგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ძონენიძეს შეუპოვარი და მეზობელი ხასიათი ჰქონდა, მას უკანდახევა არ სჩვეოდა. მეცნიერის მდიდარ მემკვიდრეობაზე გეოლოგთა თაობები აღიზარდნენ. მან არა მარტო წმინდა თეორიული პრობლემები გადაჭრა, არამედ მრავალი გეოლოგიური გამოყენებითი ასპექტი დაამკვიდრა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი გახდა.

„მეცნიერება უმთავრესი, უმშვენიერესი და ადამიანის სიცოცხლისთვის ყველაზე საჭირო რამ არის“ – ანტონ ჩეხოვის ეს გამონათქვამი გიორგი ძონენიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თეზა იყო. დედა-ივლიტა ახალაძე დაბა ჩოხატაურში სოფელ კონხარში ცხოვრობდა, შემდეგ ქალაქ ქუთაისში სამსონ ძონენიძე და ივლიტა დაქორწინდნენ. გიორგის ძალიან უყვარდა დედულეთი. 1925 წელს ის თსუ-ის ქიმიურ-ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იმავე წელს აღნიშნული ფაკულტეტი დაიხურა და გიორგი ძონენიძე სხვა სტუდენტებთან ერთად აგრონომიულ ფაკულტეტზე გადაიყვანეს. სტუდენტი მინერალოგიის საგანმა გაიტაცა, პროფესორ ალექსანდრე თვალჭრელიძის თხოვნით, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე

გადავიდა და გეოლოგიის განხრა აირჩია. შემდეგ მთელი ცხოვრება გეოლოგიას დაუკავშირა. 1943 წლიდან თსუ-ის დოცენტია, პარალელურად მუშაობდა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის და საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს უფროსად და ტექნიკურ ხელმძღვანელად. გამოყენებითი გეოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობის დროს მეცნიერული მოღვაწეობა გააგრძელა. გიორგი ძონენიძემ ძირითად მიმართულებად პალეოგეოლოგია

აირჩია. 1938 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, 1940 წელს დაინიშნა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანად. მეცნიერმა კვლავ გააგრძელა პალეოგეოლოგიის პრობლემების შესწავლა. საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჩატარებული ინტენსიური კვლევის შედეგები აისახა მის მონოგრაფიაში – „საქართველოს მიოცენურამდელი ეფუზიური ვულკანიზმი“ გამოყენებითი გეოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა, დადგინდა ბარიტის ძარღვების სივრცობრივი და გენეტიკური კავშირი ბიოსურ ბაზალტ-ანდეზიტური შედგენილობის ქანებით აგებულ ნაოჭა სტრუქტურებთან, რამაც ბარიტის არაერთი საბადოს აღმოჩენას შეუწყო ხელი. 1947 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1941 წელს გეოლოგიის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა განყოფილება, სადაც შეისწავლა დანალექი ფორმაციების ლითოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები. ბათური ნალექების ლითოლოგია, რომელთანაც დაკავშირებულია ნახშირის საბადოები და მათ შესახებ ახალი მონაცემები. გიორგი ძონენიძის



გიორგი ძონენიძე სტუდენტებთან ერთად



გიორგი ძაჭანიძის შესეჯდრა დანიის დედათა მარგარეტ მელტუსთან და მემეჯიდრე ჰინინთან ჰინინთან

ხელმძღვანელობით დასავლეთ საქართველოს ბათურ ნალექებში ჩატარებული კვლევები 50-იან წლებში შეჯამდა მონოგრაფიად და რამდენიმე ნაშრომად, გადაიჭრა პალეოგეოგრაფიის და ლითოლოგიის პრობლემები. აღნიშნულ სამუშაოებს მოჰყვა გელათის მიდამოებში, ნახშირიანი წყების ზედა ნაწილში, აუტიგენური ანალციმის საბადოს აღმოჩენა, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველი იყო. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ის აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. 1951-1955 წლებში საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი იყო. 1959 წელს მან გეოლოგიურ ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ჯერ პალეოვულკანოლოგიის ლაბორატორია, შემდეგ განყოფილება, 17 წელი მისი ხელმძღვანელი იყო. გიორგი ძაჭანიძეს განსაკუთრებული აღიარება მოუტანა 60-იან წლებში გამოქვეყნებულმა ფუძემდებლურმა შრომებმა, რომლებიც მიეძღვნა გეოლოგიაში ახალ მეცნიერულ მიმართულებას, ვულკანიზმის როლს დანალექი ქანებისა და მადნების წარმოშობაში. ოკეანეებში და კონტინენტებზე მიმდინარე თანამედროვე ვულკანიზმის მოქმედების შედეგების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საშუალო სიმძლავრის ვულკანის ამოფრქვევას, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია გეოსინკლინებისათვის, მოჰყვება სიღრმიდან დიდი რაოდენობის პირველადი ენდოგენური მასალის ზღვის ფსკერზე ამოტანა. მისი წარმოდგენით გეოსინკლინებში ვულკანური ცენტრები განლაგებული იყო ისეთივე სიმჭიდროვით, როგორც თანამედროვე წყნარი ოკეანის სარტყელში და ნალექების ძირითად მკვებავ წყაროს წარმოდგენდა. ვულკანიზმის ხასიათისა და ნალექდაგროვების აუზში ვულკანოგენური მასალის ტრანსპორტირების გზების გათვალისწინებით გიორგი ძაჭანიძემ პირველმა შესთავაზა მადანწარმოქმნის პროცესების და მათთან დაკავშირებული ვულკანური საბადოების კლასიფიკაცია – მინისზედა-ვულკანოგენური, წყალქვეშა-ვულკანოგენური და ვულკანოგენურ-დანალექი. მან წამოსწია საკითხი შემცველი ქანების ლითოლოგიის გავლენის შესახებ მადნიან დანაგროვება ფორმირებაზე. მსო-

ფლიო მეცნიერებაში ასეთი მასშტაბურობით მხოლოდ გიორგი ძაჭანიძის მიერ არის შესწავლილი ვულკანოგენური მოვლენების მნიშვნელობა ფართო გეოლოგიურ პროცესებში. 1958-1959 წლებში გიორგი ძაჭანიძე თსუ-ის მეთექვსმეტე რექტორი იყო. 1959-1976 წლებში საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დაინიშნა, პარალელურად საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის პალეოვულკანოლოგიის განყოფილების გამგე იყო. გიორგი ძაჭანიძე არჩეული იყო ლონდონის გეოლოგიური საზოგადოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვულკანოლოგთა და სედამენტოლოგთა ასოციაციების წევრად. გამოქვეყნებული აქვს 150 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია.

1976 წლის 5 მაისს გეოლოგიურ ინსტიტუტში თავის კაბინეტში გიორგი ძაჭანიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მთელი ცხოვრების მანძილზე თავდადებით ემსახურა საყვარელ საქმეს და საყვარელ ხალხს. ის თითოეული ადამიანის კეთილდღეობისთვის იბრძოდა...

გიორგი ძაჭანიძის ცხოვრება კარგ ზღაპარს ჰგავდა, მას ფორტუნამ გაუღიმა, დაულაღავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, მეცნიერებაში წარმატებას და აღიარებას მიაღწია, მაღალი თანამდებობები ეკავა, ბედნიერი იყო ოჯახით, ჰყავდა საყვარელი მეგობრები და ნათესავები. მიუხედავად ამისა გიორგის თაობა ტრაგიკული იყო, მათ ღმერთი წაართვეს, თავისუფალი აზრის გაფიქრებაც კი აკრძალული ჰქონდათ, იძულებული იყვნენ ნიღბებით ეცხოვრათ. ის კომპარტიის წევრი იყო, თუმცა ბოლო 20 წელი ამ პარტიის არაფერი სწამდა. საქართველოს ხელისუფლებაში 17 წლიანი მოღვაწეობა მისი სულიერი ტანჯვის მიზეზი გახლდათ, მას არ ჰქონდა ლიდერის ფსიქოლოგია, მიუხედავად ამისა პრინციპული, პირდაპირი და მომთხოვნი იყო. გიორგი ძაჭანიძემ საყოველთაო ჭაობიდან სუფთად გამოსვლა შეძლო, რაც მისი დიდბუნებოვანების დასტურია.

ლელა სურმავა



გიორგი ძაჭანიძის შესეჯდრა დედათა მარგარეტ მელტუსთან

ზურაბ სიხარულიძე: ნარკომანიის პრობლემას ქასობრიობა დღემდე ვერ მოერიდა

ნარკოტიკები ჩვ.წ.ალ-მდე მე-14 საუკუნეში აკლდამებში აღმოაჩინეს. დიდებულები ოპიუმისადმი იყვნენ დამოკიდებული. პაპირუსებზე ასეთი შინაარსის წერილი იპოვეს, როგორ უნდა მოხდეს ეგრეთ წოდებული „ლომკის“ მოხსნა. ნარკოტიკები არა მარტო ნივთიერებაა, რომელსაც ადამიანი მოიხმარს და ერევა, მისი დამარცხება რთულია, რადგან სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების კულტურისა და ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი იყო. კოკაინზე ასეთი ლეგენდა არსებობს, პერუში კოკა ლამაზი ქალი იყო, ის ხელმწიფეს შეუყვარდა, თუმცა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ქურუმებმა მისი დასჯა ურჩიეს, გვამი რამდენიმე ნაწილად დაანაწევრეს და მიწაში ჩაფლეს. იმ ადგილას ხე კოკა ამოვიდა და მას შემდეგ მამაკაცებზე იძიებს შურს. კოკას ფოთოლს უამრავი რიტუალი უკავშირდება, მე-16 საუკუნეში ის ფულის გაცვლის საშუალებაც იყო. მისი სამშობლოა სამხრეთ ამერიკის ქვეყნები-პერუ და ბოლივია. ოპიუმის, კი, საბერძნეთი. ალექსანდრე მაკედონელმა ოპიუმი ჩინეთის ერთ-ერთ ხეობაში წაიღო და აბრეშუმზე გაცვალა. აქედან წარმოიშვა აბრეშუმის გზა. წარსულში კულტურისა და ტრადიციების შემადგენელ ნაწილს-ნარკოტიკს კაცობრიობა დღემდე ებრძვის. ეს არის აკრძალვების და დამეხობების პერიოდული ისტორია. ერთი ცივილიზაცია მას ებრძვის, მეორე ბოროტად მიიჩნევს, მესამე თავის ქვეყანაში მის ლეგალიზებას ახდენს.

საქართველოს შსს-მ ანტინარკოტიკული კამპანია 24 მარტს დაიწყო, მისი მიზანია ბიონარკოტიკების პრევენცია და საზოგადოების ინფორმირებულობა. შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა 112-მა საინფორმაციო რგოლი მოამზადა, რომლის მეშვეობით საზოგადოება პირველადი სიმპტომების შესახებ შეიტყობს და აღნიშნული სიმპტომების შემთხვევაში სასწრაფო დახმარების გამოძახება მიიღებს ინფორმაციას.

სპაისის და სხვა სახელით ცნობილი ბიომოსანევის შოვნა ბოლო წლებია საქართველოში პრობლემას აღარ წარმოადგენს. ახალგაზრები ეგრეთ წოდებულ ფსიქოტრონს კლუბებში და სხვადასხვა თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლთან ერთად მოიხმარენ. ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღების შემდეგ ბევრმა ბავშვმა სუიციდით დაასრულა სიცოცხლე. არომატული ჩაი და აბაზანის არომატიზატორების სახელით შეფუთული ეს ნივთიერებები მეცნიერებმა ერთ-ერთ საშიშ ნარკოტიკად აღიარეს.

სიხარულიძეების ოჯახში სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება პირველმა მე გადავწყვიტე. რეანიმატოლოგი თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 1991 წლამდე ვმუშაობდი, სწორედ ამ დროს მიხაილოვის საავადმყოფოში ტოქსიკური რეანიმაცია გაიხსნა. მიშა ფოცხვერია ახალგაზრდა კადრებს ეძებდა, ლამის ცვლაში გადავედი, იქ პირველი კერძო ნარკოლოგიური კლინიკა გაიხსნა.



ზურაბ სიხარულიძე

ძალიან დამაინტერესა. რესპუბლიკურიდან მიხაილოვის საავადმყოფოში გადავედი. შემდეგ პირველი კერძო ნარკოლოგიური კლინიკა „ბემონი“ გაიხსნა. ვისწავლე და ლიცენზია ავიღე. 25 წელი ნარკოლოგი ვარ. 2003 ფინანსურ დირექტორთან პაატა ლეკიშვილთან ერთად ნარკოლოგიური კლინიკა „ურანტი“ დავაფუძნეთ.

– საქართველოში ბიონარკოტიკები საკმაოდ პოპულარულია, სახელმწიფომ პრევენციული ზომების გატარება დაიწყო.

– არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში პრობლემაა. საქართველოში თინეიჯერებში არის გავრცელებული, თუმცა დიდებიც მოიხმარენ. ნამონყებულ კამპანიას საგანმანათლებლო ხასიათი აქვს, ჩვენი მიზანია ბავშვს მისი მოხმარების სურვილი არ გაუჩნდეს. ადამიანები აბსოლუტურად აკრიტიკულები ხდებიან, ერღვევათ ფსიქიკა, მალე ხდება პიროვნების დეგრადაცია. რეალურად სხვა სამყაროში ცხოვრობენ. მქონია შემთხვევა, როცა გოგონას შეყვარებულმა ბიჭმა მოანწვეინა. გოგო გაითიშა, ბიჭს შეეშინდა და მიატოვა, მას ორი დღე-ღამე ეძებდნენ, ბოლოს ნაგავსაყრელზე იპოვეს.

– რატომ არ უნდა აირჩიოს ახალგაზრდამ ეს გზა?

– იმიტომ რომ ის ვერასდროს შედგება პიროვნებად, ოჯახის მამად, პროფესიონალად. ვერ იქნება სახელმწიფოს სრულფასოვანი მოქალაქე. სამწუხაროდ, საქართველოში საზოგადოება ამ პრობლემის მიმართ პასიურია. საზღვარგარეთ მშობლების ჯგუფები მორიგეობენ, დადიან კლუბებში, მოზარდებს ხშირად ამონმებენ. თბილისში, თუ სხვა მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდებს არა აქვთ დისკოთეკები, რომ ნავიდნენ ენერჯია დახარჯონ. ჩვენთან ახალგაზრდებს ნამხედურობა ახასიათებთ. სურთ გარკვეული ავტორიტეტი შეიქმნან. რატომ

უნდა გასინჯონ ის, რაც არ იციან? მთავარია, მან იცოდეს, რას მოიხმარს და რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს. შემდეგ ზრდასრულმა ადამიანმა თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

- რა როლი აქვს ოჯახს?

- ახალგზრდა, რომელიც ნარკოტიკს მოიხმარს, შეუძლებელია მის ოჯახში არ იყოს პრობლემა. ძალადობა, უყურადღებობა, მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე აქცენტის გადატანა, ან პირიქით ჰიპერმეურვეობა, როცა ბავშვი სხვადასხვა წრეზე დაჰყავთ, მას კი არცერთი სურს. ქვეყანა 20 წელი გარდამავალ ეტაპზეა, ვერ დამშვიდება.

- როგორი გამოვლინებები აქვთ?


- ქცევა და აზროვნება ეცვლება, უცებ აგრესიულები ხდებიან, ან პირიქით ძალიან რელიგიურები და განათლებულები. როცა 17 წლის ბავშვი სამყაროს შექმნაზე დაინყებს საუბარს, ხვდები, ამ ბავშვს ამ დონის განათლება არა აქვს. თავის სხეულს ვერ აღიქვამენ, უამრავი ფობიები ემართებათ, რომ ვიღაცა მოსდევს, კლავს, ღამე არ სძინავს, სახლიდან გარბიან, შეუძლიათ ტანსაცმელი გაიხადონ, შიშვლებმა იარონ. კარგავენ ორიენტაციას, თუ სად არიან.

- რა დანიშნულება აქვს მედიას?

- მედიასაშუალებებს ოცი წელი მოვუწოდებთ, ატრიბუტიკას-შპრიცებს, სპაისებს, კოფეებს ნუ აჩვენებთ.

- რატომ არ ითვალისწინებენ პროფესიონალების შენიშვნებს?

- ვიზუალი სჭირდებათ, ჟურნალისტებს არასამთავრობო ორგანიზაციებმა ბევრი ტრეინინგი ჩაუტარეთ. ლევან კოლუაშვილის ფილმში „ქუჩის დღეები“ ნარკომანების უმძიმესი ტრაგედია აღწერილი, თუმცა არცერთი კადრი არ ჩანს, როგორ მოიხმარენ ნარკოტიკს. მედიამ პირველ რიგში სწორად უნდა გადასცეს ინფორმაცია, რადგან ამ თემის ანტიპროპაგანდა შეიძლება პროპაგანდა გახდეს. დიდი ხანი თავს ვიკავებდი, მეთქვა, ნარკოტიკი, რომელსაც ბიომარიხუანას უწოდებენ, აბაზანის



ნარკოტიკი-მეფედრონია, რომელიც, დღეს, ყველაზე გავრცელებულია. ბავშვს მარილს, ან კრისტალს რომ მიანოდებენ, მან უნდა იცოდეს, რომ ეს მეფედრონია და არა ბიომარიხუანაა. როცა მოწვეს, შეიძლება მოკვდეს. ეს ნარკოტიკი შავ ბაზარზე იყიდება. მედია თუ ინფორმაციას სწორად გადასცემს, კარგად იმუშავებს. საზოგადოების აქტიურობის შემთხვევაში პრობლემა მარტივად მოგვარდება. რამდენი წელი საზოგადოებრივ მაუწყებელზე ერთ გადაცემას ვითხოვდით, ვერ მივალნიეთ.

სამწუხაროდ, საზოგადოებას

ბიონარკოტიკის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არა აქვს, ბაზარი კი საკმაოდ გაფრეებულია. გაურკვეველი ქიმიური შემადგენლობის გამო მას ნარკოტესტი არ აჩვენებს. შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები საქართველოში სპაისის შემოღინებას დიდი ხანია აკვირდებიან. შსს-ს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიაში ნარკოტიკების და სხვა ნივთიერებების რაობის დასადგენად ანალიზის ჩატარება უახლესი თანამედროვე აპარატურით არის შესაძლებელი. შსს-ს და ჯანდაცვის სამინისტროები საქართველოში ნარკომანიის შესამცირებლად დიდი ხანია ორ კანონპროექტზე ერთდროულად მუშაობენ. ფარმაცეპტული ბაზრის კონტროლი უკვე დაწყებულია, 2014 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა კანონი-პირველ და მეორე გვუფს მიკუთვნებული ფარმაცეპტული პროდუქტი, ის ნამლები, რომლებსაც ნარკოტიკების დასამზადებლად იყენებენ, არასრულწლოვანებზე არ გაიცემა. რეცეპტის შემთხვევაშიც კი. უწყებათა შორის კომისიამ, რომელშიც ყველა სამინისტრო შედის, სტრატეგიული გეგმა მიიღო, ეს არის 100 გვერდიანი დოკუმენტი, სადაც ყველა ღონისძიება არის განვრილი, თუ როგორ შეებრძოლონ პრობლემას, რომელიც ყველა ეპოქაში უფრო მძაფრი ფორმით იჩენს თავს.

ლელა სურმავა



ცხოვრების ჯანსაღი წესი

ჩა გჳინღა, ჩას შითსოჳთ ~ ეს აჩაჳის ჳინსჳეჳსჳას

მოახლოებული არჩევნების წინ, პოლიტიკური სიტუაცია დაძაბულიცაა, არეულიც და უცნაურიც. უბრალო ჩოხატაურელებს თუ დავუგდებთ ყურს, არც თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შეიცვლება მათთვის რამე უკეთესობისკენ. მინდორში მომუშავე ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებს გავესაუბრეთ მოახლოებულ არჩევნებზე;

– უარესობისკენ მიდის, ბიძია, ქვეყანა. ამათმა ახლა სიებში ყოფილი ნაციონალების შეყვანა დაინყეს და მე მეკითხები, რას ველოდები არჩევნებისგან? რას ველოდები და ვინც 9 ნელი ჭამდა, იმის ჭამას ველოდები, – გვითხრა ამირანმა, რომელმაც გვარის გამხელა არ ისურვა, – რათ გინდა, ბიძია, ჩემი გვარი? ისევე ძველი ნაციონალები მოვლენ ჩოხატაურის ხელისუფლებაში და მე რაღას მიზამენ და ჩემ ბაღანას არ მოწიონ რამე, მეშინია. ისე, მიდი და მათ ჰკითხე, რას ელოდებიენ არჩევნებისგან. მაინტერესებს, ერთი, რას გიპასუხებენ.

– შენდა სასიკეთოს აფერს უპასუხებენ, ამირანა, მათ და რაში გაინტერესებს?, – დააყარეს სიცილი ჩემს რესპონდენტს თანასოფლელებმა.

– მაგი არაა თქვენი საქმე. – გაეპასუხა ბატონი ამირანი.

– იცით თქვენს სოფელში ვინ იყრის კენჭს? – დავსვი მორიგი შეკითხვა.

– ყურმოკვრით ვიცით, მარა ჩვენი მოსაწონი არცერთი არაა და, ისე, ჩვენ ვინ გვეკითხება რამეს? – გამეპასუხა მეორე.

რას ელოდებიან გურულები თვითმმართველობის არჩევნებისგან, ეს კითხვა ჩოხატაურში ბაზრობის დღეს, კვირასაც დავუსვით ხალხს, თუმცა, მარტმა ისე შემოგვიქროლა და იმდენი ფიფქი და ფანტელი დაგვავარა თავზე, რამდენიმე ადამიანი ძლივს ვნახე, ვინც კითხვაზე პასუხს გამცემდა. უმრავლესობამ, რა მეარჩევნებოო ხელი ჩაიქნია, ზოგიერთმა – „არჩევნები კი არა, ისე მოიყინება ყველაფერი, ბაღნები ხილის კეკალს ვერ იგემებენო“.

ნათელა გიორგაძე, – ველოდები ყველაფერ კარგს. ცხოვრება უკვე შეიცვალა უკეთესობისკენ საქართველოში და ახლა იმედია, ჩვენთვისაც – უბრალო ხალხისთვისაც მოიცლიან. ამის მჯერა.

ნოდარი 50 წლის: რა გითხრათ, აბა?! ველოდები უკე-



თეს ცხოვრებას. ჩემი შვილიშვილებისთვის წარმატებულ წლებს, სამუშაო ადგილებს, ფასების დაწევას პროდუქტზე...

თინა ჯინჭარაძე: პენსიების გაზრდას, მედიკამენტებზე ფასების დაწევას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ველოდები.

გორა 45 წლის: სამუშაო ადგილებს, პროდუქტებზე ფასების დაწევას და ქვეყნის გაერთიანებას ველოდები. კიდევ, ჩოხატაურში მინდა რამე გაკეთდეს, რომ ახალგაზრდები დასაქმდნენ და სასმელში არ ჩაიხოცნონ.

– როგორც გავიგე, გურიაში ხილის გადამამუშავებელი საწარმოების აშენებას აპირებენ. ნელს არ გამოადგებათ. ვერ ხედავ, რა ამინდია?! ბაღნები დაგვრჩა ხილის გარეშე, – გაჯავრებით მიპასუხა ასაკოვანმა ქალბატონმა.

ლია 60 წლის: ეს გამოცდები რა მოიგონეს ახლა?! ობიექტურად ეგ არ ჩაატარონ, მეტი არაა ჩემი მტერი. ამდენ ხალხს არჩევნების მერე ქუჩაში რომ ყრიან, საქმეს აკეთებენ ვითომ ამით?! მაინც ნაცნობებს და პატრონიანებს მიიღებენ სამსახურებში.

გამოკითხვას პერიოდულად ვატარებდით ქუჩაში, სოფლებში... ჩოხატაურელები იმედის თვალით უყურებენ მომავალს, თუმცა, მაინც შიშობენ, რომ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში ხატავენ კანდიდატები. ბევრმა აღნიშნა, რომ არჩევნებზე წასვლას არ აპირებს; „რა აზრი აქვს, – მხრებს იჩეჩავენ ისინი, – ჩვენს აზრს არც ერთი ხელისუფლება არ ითვალისწინებს“.

– საკუთარი თავის გარდა, არავის იმედი არ მაქვს. ჩემს ადგილ-მამულში დამაყენონ, სხვა არაფერი მინდა, ბაბუა, – მითხრა 78 წლის გვიმ, – ერთი კანდიდატი არ მინახავს ჩვენთან მოსული, რომ გლეხის სათქმელი ვუთხრა. ჩვენ, მშრომელ ხალხს, რა გვინდა, რას ვითხოვთ – ეს არავის აინტერესებს, მარტო ტელევიზორებიდან გველაპარაკებიან, ასე არაფერი გამოვა.

15 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია საქართველოში. როგორც ჩანს, დიდი ძალისხმევა მოუწევთ პოლიტიკოსებს მოსახლეობა ჯერ საარჩევნო უბნებზე მისვლაში დაარწმუნონ, შემდეგ თავისდა სასიკეთოდ ხმის მიცემაშიც.



ხმაური საპარტიო სივრცის გარეშე

ფაქტები, რომლის შესახებაც ადგილობრივი და რეგიონული მედია აქტიურად წერს, ერთი შეხედვით არ უნდა სცილდებოდეს დემოკრატიული პროცესების ჩარჩოებს ქვეყანაში, რომელიც ჯერ არ შემდგარა. გურიის გუბერნატორი მედიასაშუალებებთან კომენტარებში აღნიშნავს – „ამ ფაქტების გასაჯაროება მინიმუმ არაკორექტულია, რადგან შეხვედრა დახურული იყო.“ ამ მოსაზრებაში გიორგი ჩხაიძეს სრულად ვერ დავეთანხმებით. ეჭვს აღარ ინვესტის ის ფაქტი, რომ ხელისუფლებაში დაპირისპირებაში ღია ფორმა მიიღო თბილისში გამართულ დახურულ პარტიულ შეხვედრაზე. ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი ამ ამბავში გახლავთ ის მომენტი, რომ ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ ხდება საარჩევნო სივრცის გამო. რასაკვირველია, ამაში არაჩვეულებრივი არაფერი იქნებოდა, მეტი კორექტულობა და თავშეკავებულობა რომ გამოეჩინათ იმ პირებს, რომლებსაც საარჩევნო გარემოსა და ხელისუფლების ფორმირება ევალებათ. ამის მაგივრად კი მივიღეთ ის, რაზეც ჯერ კიდევ დანერგვნი გაზეთები და რაც მმართველი პარტიის წიხტივით თუ რეიტინგზე ნამდვილად არ დაასხამს წყალს...

ამჯერად ყურნალისტების სამიზნე გახდა ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის გიორგი ხელაძისა და გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის – გიორგი ჩხაიძის დაპირისპირება. ამ დაპირისპირების დეტალები პირველმა „გურია ნიუსმა“ გაახმაურა. „გურიის მოამბემ“ სივრცით უკმაყოფილო „თავისუფალი დემოკრატების“ რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის – ელგუჯა ჩხაიძის კომენტარაც გამოაქვეყნა: „გუბერნატორის მიერ წარდგენილ სივრცეში არიან ადამიანები, რომლებსაც „ქართულ ოცნებასთან“ არანაირი კავშირი არა აქვთ, პირიქით, „ნაციონალებთან“ ასოცირდებიან...“

ოფიციალურად და არაოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით ლანჩხუთიდან კახი კალაძეს კოალიციურ კანდიდატთა ორი საარჩევნო სია წარუდგინეს – გუბერნატორის და პარტიის თავმჯდომარის. რასაკვირველია, სივრცე სხვადასხვა კანდიდატით იყო დაკომპლექტებული. ამ ფაქტს ადასტურებს „გურია ნიუსისა“ და „გურიის მოამბის“ ყურნალისტების მიერ გავრცელებული სტატიებიც, რომლებშიც ამ ორ პერსონას შორის წარმოშობილი დაპირისპირების დეტალებია აღწერილი.

ამ სტატიებში ხაზგასმულია გიორგი ხელაძის უჩვეულო, ხოლო გიორგი ჩხაიძის ზოგადი და განონასწორებელი ტონი, შესაძლოა პრინციპების ერთგულება მისი მახასიათებელი იყოს, თუმცა ზოგადად დაპირისპირება, მით უფრო გუბერნატორთან და მერე ამაზე ღიად საუბარი, როგორც მინიმუმ ბატონ გოგის აქამდე არ ახასიათებდა... სწორედ, ამ თემით დავინწყეთ საუბარი პარტია „ქარ-

თული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, გიორგი ხელაძესთან:

– გავეცანით ადგილობრივ და რეგიონულ მედიაში გამოქვეყნებულ სტატიებს საარჩევნო სივრცეზე დაკავშირებულ დაპირისპირებებზე, რაიმეს ხომ არ შეასწორებდით?

– არა, შესწორებით არაფერს შევასწორებდი. დავამატებ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტიდან წასვლა მქონდა და გადაწყვეტილი, ამის შესახებ განვაცხადე-კიდევ. ამას მოჰყვა რამდენიმე ანგარიშგასაწინავე ზარი ჩემს ტელეფონზე და თავი ვალდებულად ჩავთვალე, გადაწყვეტილება სისრულეში აღარ მომეყვანა...

ახლა რაც შეეხება იმ შეხვედრას, – პარტიული შეხვედრა, რომლის დეტალებიც ასე გახმაურდა, შედგა თბილისში და მას გუბერნატორთან – გიორგი ჩხაიძესთან ერთად ესწრებოდა „ქართული ოცნებისა“ და ძალგანი უწყებების წარმომადგენლები როგორც თბილისიდან, ისე ჩოხატაურიდან და ლანჩხუთიდან. ოზურგეთი ჩვენთან ერთად არ ყოფილა და არ ვიცი რატომ, თუმცა შეხვედრა გურიის რეგიონთან უნდა ყოფილიყო.

შეხვედრას ხელმძღვანელობდა კახი კალაძე და პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი. ინფორმირებული ვიყავი, რომ შეხვედრაზე უნდა შეეჯერებულყავით კანდიდატთა საარჩევნო სივრცეზე. შესაბამისად მე, როგორც „ქართული ოცნება



დემოკრატიული საქართველოს“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, წარვადგინე ადგილობრივ პარტიულ აქტივთან შეჯერებული სია. არ დაგიმალავთ იმ ფაქტს, რომ აზრთა სხვადასხვაობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი ჩემსა და გიორგი ჩხაიძეს შორის. გუბერნატორთან პირველი დაპირისპირება წარმოშვა სოფელ აცანაში დასახლებულმა კანდიდატებმა. პარტია „ქართული ოცნებიდან“ დასახელდა დავით ჩხაიძე, თუმცა ემზარ თევდორაძის კანდიდატურა თვითონ გუბერნატორმა დაასახელა. ეს წინადადება მისგან წამოვიდა და მე ამის სასტიკი წინააღმდეგი წავიდე. ბოლომდე პრინციპულად დავიცავი „რესპუბლიკელების“ კანდიდატი ანდრო ქინქლაძე, ერთი წუთითაც არ დამიხვევია უკან და ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. ამკარად იგრძნობოდა ჩემი სიმართლე და ამას ბევრი ხედავდა.

ჩემდა გასაკვირად, არანაკლებ ხმაურიანი გამოდგა გვიმბალაურის კანდიდატი. სიაში შეყვანილი გვყავდა თენგიზ ხელაძე „ქართული ოცნებიდან“. გუბერნატორი მაშინვე წინააღმდეგი წავიდა. ამ შემთხვევაში მის მოსაზრებას ანგარიში გავუწიე და ალტერნატიულ წინადადებას დაველოდე. კახი კალაძემ ალტერნატიული კანდიდატის დასახელება ჩემგან მოითხოვა. ვუთხარი, თუ ხელაძე არა, მაშინ კიდევ უკეთეს კანდიდატს შემო-

გთავაზებთ-მეთქი და გოგი ფაცურია დავასახელე. ამაზე გუბერნატორს სასტიკი რეაქცია ჰქონდა, - ფაცურია ურუშაძის პოლიტიკის გამტარებელიაო. (ცნობისათვის, გასულ კვირაში ჯერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, შემდეგ კი საკრებულოს სხდომაზე სწორედ გუბერნატორის, გიორგი ჩხაიძის მიერ გამოგზავნილი რეკომენდაცია გახდა იმის საფუძველი, რომ უნდა შეეზღუდოს უფლებები გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურს, რომლის უფროსიც გოგი ფაცურია გახლავთ. ავტ.). საბოლოოდ „სოციალ-დემოკრატებიდან“ ჩხაიძე შეიყვანეს სიაში.

უხმაუროდ არ ჩაუვლია აკეთის თემასაც. „ქართული ოცნებიდან“ წარდგენილი დავით ქურდიე მეორე დღეს კოალიციურ შეხვედრაზე რესპუბლიკელი ამირან ლლონტი ჩაანაცვლეს. პოლემიკა გაიმართა ჩემსა და გუბერნატორს შორის მამათთან და ჯურუყვეთთან დაკავშირებითაც. ჯურუყვეთი დავთმე, როგორც გითხარით, აცანა და მამათი ბოლომდე დავიცავი.

- გავრცელებული ინფორმაციით, კახი კალაძესთან პარტიული შეხვედრის დაწყებამდე თითქოს თქვენ გუბერნატორს, გიორგი ჩხაიძეს სთხოვეთ შეხვედრა ერთიან სიაზე შეჯერების მიზნით და მან უარი გითხრა, ეს მართალია?

- არა, ასეთი რამ არ ყოფილა. თუმცა როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გუბერნატორის კანდიდატები უმეტეს შემთხვევაში ჩემთვის კი არა, რაიონისთვისაც მიუღებელია.

- როგორ ფიქრობთ, გუბერნატორს ჰქონდა უფლება, რომ პარტიულ შეხვედრას დასწრებოდა?

- დანამდვილებით ვიცი, რომ ამის უფლება მე ნამდვილად მქონდა.

- გავრცელებული ინფორმაციით, ხმაურიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ ტელეფონით დაგიკავშირდათ გიორგი ჩხაიძე „ცხოვრებას გიქცევ ჯოჯოხეთად!“, ეს ასე იყო თუ ქორია?

- ამ შეკითხვას უპასუხოდ დავტოვებ...
- რას იტყვით ბიძინა ჩუბინიძის შესახებ, როგორც ამბობენ არანაკლები ხმაური მოჰყოლია „ქართული ოცნებიდან“ მის დასახელებას...

- ბიძინა ჩუბინიძის კანდიდატა სიაში შეყვანაზე საუბარი იმდღევანდელი თემა არ გახლავთ. გუბერნატორის კანდიდატურა გახლდათ ასევე ზვიად ლომაძე, რომელმაც უარი თქვა. რაც შეეხება ბიძინა ჩუბინიძეს, მანამდე პირადად შევხვდი რამდენჯერმე და მისგან ყოველთვის უარს ვისმენდი არჩევნებში მონაწილეობის სურვილზე. ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ და ვმეგობრობთ. ჩემთვის მოულოდნელი იყო მისი კანდიდატურის დასახელება, მაგრამ ბიძინა არც „ქართულ ოცნებას“ და არც გუბერნატორს არ დაუსახელებია, თუმცა ვიცი, რომ ბატონ გიორგის ინტერესების გათვალისწინებით დასახელდა... აქ საკვირველი ის იყო, რომ ბიძინა ჩუბინიძე ზვიად ლომაძის მსგავსად ხომ ნაციონალური მოძრაობის სახეა და მათი კვოტიტაა ახლანდელი მონწევის საკრებულოში. როგორც შემდეგ გაირკვა, კანდიდატად დასახელების ფაქტი თვითონ ბიძინა ჩუბინიძისთვისაც მოულოდნელი იყო. თუ შეიძლება, მეტს აღარ გავაგრძელებ ამ თემაზე საუბარს, შეგიძლიათ თქვენ თვითონ დაუკავშირდეთ მას...

- გვერდს ვერ ავუვლით ქალაქის თემას...
- დიახ, ქალაქში „ქართული ოცნებიდან“ გუბერნატორმა დაასახელა გია თვალავაძე. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ყველამ ვიცი, რომ გია თვალავაძე, რომელსაც გაცილებით სხვა პერსპექტივა ელოდება, ამ წინადადებას ვერ დათანხმდებოდა, ამიტომ დარჩა ალტერნატიული კანდიდატურა რომან ბინაძე... თუ სხვა კანდიდატებს გადავხედავთ, როგორც ჩანს, აქ უფრო სხვა თამაშია ჩაფიქრებული...

- საინტერესოა, რა ხდება ადგილობრივ ორგანიზაციაში, ბოლოსდაბოლოს გაირკვა თუ არა ჯერ პარტიიდან ვინ იქნება და შემდეგ კოალიციიდან, კანდიდატებთან დაკავშირებით ისევ მიმდინარეობს კონსულტაციები, თუ უკვე შეჯერდით?

- კანდიდატებთან და პარტიულ სიებთან დაკავშირებით ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან კონსულტაციების რეჟიმში ვართ.

- მადლობას მოგახსენებთ საუბრისთვის, ბატონო გოგი...

კომენტარისთვის დავუკავშირდით ბიძინა ჩუბინიძეს, რომელმაც ჩვეული გულწრფელობით უპასუხა ჩვენს კითხვებს:

- არანაირი სურვილი და ამბიცია არ მაქვს, რომ არჩევნებში მივიღო მონაწილეობა. ჩემთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო იმ ფაქტის გაგება, რომ პოლიტსაბჭოს სხდომაზე ვილაცხამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა „ქართული ოცნებიდან“. იქნება თქვენ მაინც მითხრათ, ვის გავახსენდი? თუ მთავრობა მითხრის, თუ მმართველ პარტიას აუცილებლობად მიაჩნია ჩემი კანდიდატურის დასახელება და თვლიან, რომ რაღაც განსაკუთრებულ პერსონას წარმოვადგენ (რასაც არ ვეთანხმები, რასაკვირველია), რაღას ვიზამ, დავთანხმდები, მაგრამ წინა მონწევის საკრებულოში ნაციონალებიდან ნამყოფმა დეპუტატმა ახლა კენჭი „ქართული ოცნებიდან“, ან კოალიციიდან ვიყარო, რა ვიცი, აბა, გამოდის?...

- ჩვენ გადამონმებული ინფორმაცია არ გვაქვს თუმცა გვინტერესებს, თბილისში გამართული შეხვედრის შემდეგ მართლა დაგიბარეს გუბერნიაში? გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თქვენს ბიზნესზე ზენოლა უნდა ხორციელდებოდა...

- თბილისში მართლაც ვიყავი და რომ ჩამოვედი, რამდენიმე შეხვედრა მართლაც მქონდა... გუბერნიაში ვიყავი თუ სხვაგან, ამას ვერ დაგიკონკრეტებთ. რაც შეეხება ჩემს ბიზნესს, ყველამ იცის, რომ მცირე ბიზნესსაქმიანობას ვწევი, რვა წელია აუდიტორული შემომწება არ გამივლია და ახლა გეგმიურ აუდიტორულ შემომწებას გავდივარ. ეს არაფერ შუაში არ უნდა იყოს იმ შეხვედრებთან, ან არჩევნებში მონაწილეობაზე უართან...

- ესე იგი, უარი განაცხადეთ?
- ხომ გეუბნებით, პირადად მე არავითარი ამბიცია და არავითარი სურვილი არ გამაჩნია, მაგრამ თუ ხელისუფლება და პარტია დამავალეს...

- ბატონო ბიძინა, გამოდის, რომ თქვენი კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხი ისევ განხილვის სტადიაშია, როდის მიიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას?

- კიდევ ვიმეორებ, მე არანაირი სურვილი და ამბიცია არ გამაჩნია. არასოდეს მთავრობის წინააღმდეგი არ წავსულვარ. ბოლოსდაბოლოს, თავის დროზე კომუნისტური პარტიის რიგებშიც არ შევსულვარ ჩემი ნებით... სასურველი იქნება, თუ კი დღევანდელი მთავრობა ერთ პოზიციასზე დადგება, მით უფრო ამ წინასაარჩევნოდ...

კესო მახარაძე

ვის მოუტანს სარბაზადს ახალი სარჩავრო კოდექსი?!

80 მომხრე, 0 წინააღმდეგი – კენჭისყრის ასეთი შედეგით დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი.

„საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებები ძალაში შევიდა.

საკანონმდებლო ცვლილებების ძირითადი ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ეხება. პროექტში განსაზღვრულია აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირების, თვითმმართველ თემში – გამგებლის, ხოლო თვითმმართველ ქალაქში – მერის პირდაპირი არჩევის წესი. მათ ოთხი წლის ვადით, 50%-იანი საარჩევნო ბარიერით აირჩევენ.

ამავე ცვლილებებით, თვითმმართველი თემის საკრებულოს პროპორციული წესით ასარჩევ საკრებულოს წევრთა რაოდენობა 5-ით იზრდება. შესაბამისად, საკრებულოში პროპორციული წესით 10 წევრის ნაცვლად, ასარჩევი იქნება 15 წევრი. მუნიციპალტეტების საკრებულოს პროპორციულ არჩევნებში საარჩევნო ბარიერი 4%-მდე მცირდება და თბილისის საკრებულოს პროპორციული არჩევნებისთვის დადგენილ საარჩევნო ბარიერს უთანაბრდება. ცვლილება შევიდა ასევე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 30 – ე მუხლში, რომლის მიზანს წარმოადგენს ქალი კანდიდატების რაოდენობის გაზრდა პოლიტიკაში. ცვლილების თანახმად, პარტია/ბლოკი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას, მიიღებს დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით.

საკანონმდებლო ცვლილებებთან სასაუბროდ „გურია REGION“ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს დაუკავშირდა. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ცვლილებები სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას, ნაწილს მიაჩნია, რომ კანონი ფურცელზე დაწერილი საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, მთავარია როგორ განხორციელდება ის. რადიკალური ოპოზიცია (ამ შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა,“) კი საკმაოდ სკეპტიკურად არის განწყობილი და მიიჩნევს და აცხადებენ, რომ ამ კანონს ხელისუფლება ისევ სათავისოდ გამოიყენებს და რეალურად ის საარჩევნო სუბიექტებს სარგებელს ვერ მოუტანს.



კახა ჩავლიაშვილი – დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველო – ბურჯანაძე დემოკრატების“ მერობის კანდიდატი

ახალი კოდექსი შემოიღო გითხრათ, რომ არის შედარებით კარგი და პროგრესული, თუმცა დიდი პრობლემები იქნება სავარაუდოდ მის რეალიზებასთან დაკავშირებით. თვითმმართველობას ძალიან სათუთად უნდა მოპყრობა. რაც დაინერგება ფურცელზე, ის უნდა შესრულდეს. კანონის არ შესრულება არ შეიძლება. იყო მუდმივი წნეხი, ხელისუფლებიდან და სახელისუფლო პარტიებიდან თვითმმართველობაზე. იმიტომ, რომ დაახლოებით 30 %-მდე თანხა ბიუჯე-

ტიდან იხარჯება თვითმმართველობებში და პარტიები ყოველთვის თვლიან, რომ საჭიროა სრულფასოვანი კონტროლი. თვითმმართველობას ძალიან გრძელვადიანი პროცესი სჭირდება რეალურ თვითმმართველობამდე მისასვლელად. შემოვიდა შევარდნაძის დროს თვითმმართველობის კანონი, არ მოუსმინეს სხვა პარტიებს და იყო პრობლემები ამასთან დაკავშირებით. ახლა ძალიან ბევრი გამოთქვამს უკმაყოფილებას თვითმმართველობის კანონთან დაკავშირებით. ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მთელი საზოგადოება უნდა შეთანხმდეს. ერთი პოლიტიკური ძალა საქართველოში ვერ ჩერდება ხელისუფლებაში ცხრა, ათ წელზე მეტი და შემდეგ, როდესაც წავა რომელიმე პოლიტიკური ძალა, იმ წუთასვე დგება თვითმმართველობის რეფორმის საკითხი. ძალიან ბევრი კითხვები აქვს საზოგადოებას კოდექსთან დაკავშირებით. თვითმმართველობის სიკეთე არ უგრძნია ჯერ ჩვეულებრივ მოსახლეობას, ზუსტად აი ამ წნეხის გამო. თვითმმართველობა უნდა დაიცვას ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა. ყოველთვის იქნება მცდელობა, ხელისუფლების მხრიდან, გააკონტროლოს ეს ჩვეულებრივი ადამიანები. ამას სჭირდება

დაცვა. ადამიანებს უნდა მისცე საშუალება, ნაკლებად ჩაერიო უხეშად მათ არჩევანში, ნაკლებად უნდა ჩაერიონ თვითმმართველობაში. თვითონ სიტყვა გვეუბნება ამას. ადამიანებს რომ არ აცლიან თუნდაც იმის გარკვევას, წყალი სად გაიყვანონ, კანალიზაცია სად გავიდეს, პარკი როგორი გაკეთდეს და ა.შ. – ესაა ზუსტად თვითმმართველობა და კიდევ უამრავი რამ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ადამიანები წყვეტენ იმ საკითხებს, რაც მათ ოჯახშია, მათ ქუჩებში, ეზოებში, ქალაქშია და თუ ამასაც არ აცლი და რაღაცას თავს მოახვევ, ეს რა თქმა უნდა, ცუდი იქნება.

რაც მნიშვნელოვანია არჩევნები არ უნდა გაყალბდეს, არ უნდა ჰქონდეს უკანონო მანიპულაციებს ადგილი. როგორი იქნება არჩევნების პროცესი, ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს რწმენა იმის, რომ ეს მისი არჩეულია და ეს მისია. გინდ მერი იყოს, გინდ საკრებულოს წევრი, თუ მიიჩნევს, რომ ის მისმა მოქალაქემ კი არ აირჩია, არამედ ვიღაცა „კეთილმა ბიძამ“ შეუწყო ხელი მის არჩევას, ის მოემსახურება იმ „კეთილ ბიძას“ და არა მოქალაქეს, რომელმაც აირჩია ის. ეს პროცესები თუ არ წავიდა წესის და რიგის დაც-

ვით, ჩვენ საბოლოო პროდუქტს ისეთს ვერ მივიღებთ, როგორც უნდა მივიღოთ. კანონი ცუდია, თუ კარგი, ეს მეორე ხარისხოვანია. მთავარია, როგორ შესრულდება ის – ყალბი იქნება ეს თვითმმართველობა, თუ ნამდვილი.

გიორგი ლურჯუაშვილი – კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი საარჩევნო კოდექსი თვითონ საჭიროებს დახვეწას. დადებითი ფაქტორია ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თვითონ ირჩევს თავის ხელმძღვანელს. ძალიან მნიშვნელოვანია



ნია, ეს საარჩევნო გარემოს უკეთესს გახდის, იმიტომ, რომ თანამდებობაზე დანიშნული პირი იქნება მათი არჩეული. თვითმმართველობის გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები, გაუმჯობესდა ის პროცედურები, რაც აქამდე რთული იყო და ბევრი ძირეული ცვლილება მოხდა. მე რასაც ვუყურებ, გაცილებით უკეთესი საარჩევნო გარემო შეიქმნა საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით. ეს განხორციელდება კიდევაც, ამისკენ ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ამას არჩევნებში მონაწილე თითოეული სუბიექტი იგრძნობს საკუთარ თავზე. საინიციატივო ჯგუფები შეიქმნება თითოეულ სოფელში. თემებში მაჟორიტარული დეპუტატების არჩევისას, მნიშვნელოვანია ვისაც სურვილი აქვს, ყველამ მიიღოს მონაწილეობა, გამოსცადოს საკუთარი თავი, თუ რა მხარდაჭერა აქვს.

რაც შეეხება იმ ცვლილებას, რომ დამოუკიდებელ სუბიექტს არ შეეძლება ამ ახალი კანონის მიხედვით საკუთარი კანდიდატურის წარდგენა მერად, ან გამგებლად?

ამ ეტაპზე ასეა საჭიროა და იცით, რატომ? დამოუკიდებელი კანდიდატების წარმოდგენილი ქალაქის მერობის,

ან გამგებლობის კანდიდატები იმდენად ბევრი იქნებოდა, რომ ქაოსს და გაუგებრობას შექმნიდა, და ამიტომ ამ ეტაპზე ასე ჯობია, მომავალში შევხედოთ, ჩავატარებთ ამ არჩევნებს და იმის მიხედვით ვიმსჯელოთ. ვფიქრობ, რომ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გენდერული ბალანსის დაცვა კანდიდატებს შორის, ამ კუთხითაც შეიცვლება მდგომარეობა, უფრო მეტ ქალს უნდა ჰქონდეს საშუალება, ჩაერთოს ქვეყნის მართვაში.

მინილ გოგოტიშვილი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

ჩვენ ამ კანონთან დაკავშირებით არაერთხელ გვისაუბრია. გვაქვს ჩვენი შეფასებები, ჩვენი კომენტარები. მთავარი ის არის, საკანონმდებლო ცვლილებები კანონში შეიძლება უკეთესადაც განხორციელდებოდეს. უფრო მეტი გამბედაობა რომ ჰქონოდა ხელისუფლებას, სხვანაირად შეიძლება ჩამოყალიბებულიყო. მაგალითად: უფრო წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ქვეყნის დემოკრატიისა და განვითარებისაკენ, თუ ამოიღებდნენ მაჟორიტარულ სისტემას და იქნებოდა მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩეული, ანუ როგორც არის სხვა განვითარებულ ქვეყნებში. რომ შეძლებოდა მხოლოდ პარტიებს, წარედგინა პროპორციული სიები და პროპორციული სიებით გახდებოდნენ საკრებულოს წევრები. ანუ საკრებულო იქნებოდა დაკომპლექტებული იმ პოლიტიკოსებისაგან. მეორე, ვინაიდან ლეზულობენ მაჟორიტარული წესით მონაწილეობას არჩევნებში, აქვთ უფლება რომ დამოუკიდებლად იყარონ კენჭი, იმ დროს როდესაც, რაიონის გამგებლად, ან თვითმმართველი ქალაქის მერად არ შეუძლია იყაროს დამოუკიდებელმა კანდიდატმა კენჭი. ხომ ერთი და იგივე ხალხის მიღებულია ეს კანონი? აქ არის გაყალბების თემა და იდეა ჩადებული, – აი, საიდან იწყებენ არჩევნების გაყალბებას. ვინაიდან ადამიანს არ შეუძლია დამოუკიდებლად იყაროს მერობაზე, ან გამგებლობაზე კენჭი, ეს უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე პარტიის წარმომადგენელი. რაც შეეხება სოფლის მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატები, რომლებსაც შეუძლიათ დააყენონ დამოუკიდებლად კანდიდატურა. ანუ, რა ხდება, კოალიცია შედგება ექვსი სუბიექტისაგან. ამ ექვსი სუბიექტისაგან ერთ-ერთი

არის თვითონ „ქართული ოცნება“, დანარჩენი „რესპუბლიკური პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „კონსერვატიული პარტია“ „მრეწველები“ და ა.შ. ისინი ყოფენ როგორ: 50% ეკუთვნის „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატებს, 50% სხვა დანარჩენს. აი იმ სხვა დანარჩენსაც არ უნდათ, რომ დაუთმონ კანდიდატები და იქ უყენებენ ალტერნატივებს, ეგაა ამათი დემოკრატია და ამათი რეფორმა.


50+1 რაც შეეხება, ეს ცუდი არ არის, ვინაიდან დემოკრატიის ხარისხს ზრდის და ამომრჩეველთა ნდობის საკითხი უფრო იზრდება, ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ, რომელიც 50+1 პროცენტს აიღებს. ეს არჩეული მერი, ან გამგებელი შეიძლება საკრებულომ გადააყენოს. თუ ვანიჭებთ ამხელა ნდობას 50+1 ხმით ვირჩევთ მერს, ან გამგებელს, მაშინ საკრებულოს არ უნდა ჰქონდეს მისი გადაყენების უფლება ისე მარტივად, როგორც ამათ აქვთ წარმოდგენილი ამ შემთხვევაში. თუ სხვა პარტიის წარმომადგენელი გახდება მერი, ან გამგებელი უნდათ ჰქონდეთ ლავირების საშუალება, რომ გადააყენონ არჩეული კანდიდატი. ეგ არის და ეგ, საკუთარ თავზე მოიგრო „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონი.



მივესალმები იმ ფაქტს, რომ ქალთა მონაწილეობა იზრდება არჩევნებში. ჯერ ჩვენი საბოლოო სია არ არის დაკომპლექტებული, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება ქალების როლი ჩვენს საარჩევნო სიაში. ჩვენი დეპუტატობის კანდიდატები საკმაოდ იქნებიან მანდილოსნები.

თათია სამსონიძე

ბიჭიკო ასკურავა: მამა გაბრიელი განვკურნე და ჩემზე დიდი მასლი გადმოვიდა!



ბიჭიკო და იბაკლი ასკურავანი

სახალხო მკურნალ ბიჭიკო ასკურავაზე უკვე 50 წელია ლეგენდებს ჰყვებიან. საოჯახო მალამოთი გატეხილი ძვლების შეხორცება ისე მიმდინარეობს, რომ შედეგებული ლითონი გეგონებათ. მკურნალობის ტრადიციული მეთოდი 300 წელს ითვლის, ეს საქმიანობა მამამ შეასწავლა, მოგვიანებით ისრაელში კლასიკური სამედიცინო განათლებაც მიიღო, მისი პაციენტები ერთხმად აღიარებენ მოტეხილობების მკურნალობის ასკურავასეული მეთოდის უპირატესობას.

ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ ვარჩენ სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნალრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პერტესს, „პოდაგრას“ და ძვლების სხვა დაავადებებს. მკურნალობის საგვარეულო მეთოდი დღემდე საიდუმლოდ რჩება, მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.

მსოფლიოს ორთოპედთა დიდი ნაწილი დავარწმუნე ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, ისინი აღიარებენ, რომ ქირურგიულ ჩარევასთან შედარებით, ის უფრო სწრაფი და ეფექტურია.

როგორ დაიწყეთ სამედიცინო კარიერა?

ფიზკულტურის ინსტიტუტში ვსწავლობდი, წარმატებული ველომრბოლი გახლდით, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის პრიზიორი, „მრომიტი რეზერვების“ ჩემპიონი, უამრავი სპორტული ჯილდო მაქვს მიღებული, 1966 წელს დავქორწინდი, ოჯახმა მაიძულა, შემოსავლის გზა მომეძებნა, შორს არ წავსულვარ, მაშინ განასწავლი მკურნალობის მეთოდის პრაქტიკაში განხორციელება დავიწყე, მამა გურიაში სოფელ ქვიანში ცხოვრობდა, ჩემი წინაპრები ოდითგან ამ მეთოდს ფლობდნენ და ადამიანებს ეხმარებოდნენ. მედიცინას არ უარვყოფ, თუმცა ვთვლი, რომ ამ მეთოდის ალტერნატივა, მართლაც, არ არსებობს. სხვა წამალი არ მოიპოვება, რომელიც თანაბრად შველის როგორც მოტეხილობას, მენჯ-ბარძაყის ამოვარდნილობას, ხერხემლის დაზიანებას, ყველაფერს ვმკურნალობ, რაც ძვალ-სახსრის პრობლემას უკავშირდება. რა თქმა უნდა, 100 ადამიანიდან ყველას ვერ მოვარჩენ, ვისი დახმარებაც არ შემიძლია, პაციენტს არ მოვატყუებ. ხშირად ოპერაციის შემდეგ ჩემთან მოდიან, მეთოდი იდეალურია მოხუცებისთვის, რომლებსაც მუხლებში და მენჯ-ბარძაყის სახსარში სითხე უშრება. ამ პრეპარატის შედეგად, სითხე აღდგენას იწყებს, დავრდომილები ფეხზე დგებიან.

რა თანხაა საჭირო თქვენთან მკურნალობისთვის?

ხშირად იმის მეათედი და უფრო ნაკლები, ვიდრე თანამედროვე მედიცინის ტარიფებია. ადამიანის მატე-

რიალურ შესაძლებლობას ვითვალისწინებ, უპოვარებს ხშირად უფასოდ ვმკურნალობ. დაზღვევით მკურნალობა შემოიღეს, ჩემთან ბევრად იაფი ღირს, ვიდრე კლინიკაში დაზღვევით მკურნალობა! 50 წლის მანძილზე ინექციაც არ გამიკეთებია, მოტეხილ ადგილს ვაფიქსირებ რენტგენის სურათის მიხედვით, ვამონემებ ფიქსაციის სისწორეს და ვინყებ მკურნალობას. 80-იანი წლების ბოლოს მამა გაბრიელი განვკურნე, მაშინ დიდი მადლი გადმოვიდა ჩემზე.

შთამომავალს გადასცემთ თქვენ უნიკალურ მეთოდს?

ჩემს ცოდნას ჩემს შვილიშვილს დავით ასკურავას გადავცემ. სამწუხაროდ, შვილი უფალმა უდროოდ წამგვარა, ამიტომ მემკვიდრედ შვილიშვილი შევარჩიე. მას უკვე აქვს სამედიცინო განათლება, ბაბუას მსგავსად ისიც ველოსპორტში წარმატებულია.

„რა აქიმი დასწავლდესო“, ნათქვამია... საკუთარი თავისთვის თუ გიმკურნალიათ?


აი ხელზე იარას ხედავთ, 57 წლის წინ ავარიამი მოვხვდი, გორის ტრასაზე მანქანა დამეჯახა, ღია მოტეხილობა მქონდა, ძვლები გარეთ იყო გამოსული, წინაპრების მეთოდს საკუთარ თავზე წარმატებით გამოვცადე.

P. S. თვით მედეა, რომლის სახელსაც მეცნიერება „მედიცინა“ ატარებს, ამ მადლიან მიწაზე დაიბადა. რა უნდა გვიკვირდეს?! მკურნალობის ასკურავასეული მეთოდი შედეგების მიხედვით მაინც სასწაულად აღიქმება. რთულ მდგომარეობაში მყოფი, ვინც ასკურავას მიმართავს, ამ სასწაულის ძალას საკუთარ თავზე გამოცდის.

მისამართი: ქალაქი თბილისი ივერიის ქ.5
ტელ: 298 86 84, 99 96 94, 577 41 19 11

ელ.ფოსტა: Daskurava@hotmail.com; Maskurava@yahoo.com

ზაზა დავითაია





ექსპურსი წარსულსა და დღევანდელობაში

ვაზი და საქართველო კაცობრიობის ისტორიაში ერთმანეთისაგან განუყოფელია. მსოფლიოში პირველი ვაზის ნიჰნები Vitis Vinifera-დედა-ქალაქის სამხრეთით, სოფელ შულავერშია აღმოჩენილი, მათი ასაკი 8000 წლისაა. ამავე რაიონში ღვინის კვალის მქონე სხვადასხვა თიხის ჭურჭელია ნაპოვნი. მეცნიერების აზრით, სახელი „ღვინო“ ქართველთა წინაპრების ნაშობია. შემდეგ, კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა Wein-გერმანულად, Vin-ფრანგულად, Vinum-ლათინურად, Vayn-ებრაულად, Inu-ასურულად, Wayn-არაბულად, Вино-რუსულად. ამიტომ მსოფლიოს ენოლოგებმა საქართველო ღვინის სამშობლოდ აღიარეს. ლონდონში არსებულ მსოფლიო მეღვინეობის მუზეუმის VINO POLICE-ის პირველივე დარბაზში მოწყობილია ექსპოზიცია – „საქართველო – ღვინის აკვანი“. ქართველებმა ღვინოს სახლი აუშენეს და მას მარანი დაარქვეს. ეს ის ადგილი იყო, სადაც ღვინომ დაიდო ბინა.

მეღვინეობის საუკუნეების ტრადიცია მივიწყებას მიეცა, ქართველების მარანი უფუნქციოა, წინაპრების ღვინის ტექნოლოგია ისტორიას შემორჩა, მივიწყებული ვაზის ჯიშები განადგურდა და წარსულთან კავშირი აბსტრაქტიზებული გახდა. ახალ ფორმაციაზე გადასვლის შემდეგ, ქართულმა ღვინომ განვითარების ყველა ეტაპი გაიარა და სირთულეების მიუხედავად ხარისხიანმა პროდუქციამ მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელმა ზურაბ ჩხაიძემ თავისი წინაპრების წარსული გააცოცხლა. იდეების გენერირების დროს ერთი პრინციპით მოქმედებს – „ყოველი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია“. აღმოსავლეთ საქართველოში მეღვინეობის სფეროში გაკვალილი გამოცდილება დასავლეთით, კონკრეტულად თავის კუთხეში, გურიაში ინოვაციების დანერგვაში დაეხმარება. საქართველოში, მათ შორის გურიაში, ჩხაიძეების შთამომავლებს ძმები ასკანელებით იცნობენ.

კომპანიის ისტორია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იწყება, როცა 1880 წელს ჩემმა დიდმა ბაბუამ, ანთიმოზ ჩხაიძემ, გურიის ერთ-ერთ ულამაზეს სო-



შულავერში აღმოჩენილი პიტჯელი ძეგლის და თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები

ფელ ასკანაში ვენახი მოაშენა და საკუთარ მარანში მამაპაპური ტრადიციული მეთოდით განაგრძო ღვინის დაყენება.

ბავშვობიდან ღვინის სიყვარული ჩაგვინერგეს. მამა-ზაური ჩხაიძე ასკანიდანაა, დედა – ცილა მეპურიმვილი, წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოდან, კახეთის უძველეს სოფელ ველისციხიდან. ოჯახში სამი ძმა ვიზრდებოდით, ზაფხულის ცხელ დღეებში გურიის მთებით და გურული პოლიფონიით ვტკბებოდით, იქ ვეზიარეთ დასავლური მეღვინეობის საიდუმლოს, ჩხავერისა და ცოლიკაურის გემოს, ხოლო შემოდგომაზე კახეთისკენ, რთველზე მიგვეჩქარებოდა. ჩვენი მეღვინეობისადმი სწრაფვას ასე ჩაეყა-



ძეგრი და ძეგრში ღვინის დაყენების რძველესი ქართული მეთოდი თფიციალორად დამკვიდრდა მსაფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანბურტში



რა საფუძველი.

როგორ დაიწყო თქვენი საქმიანობა ?

– ახალგაზრდები პეტერბურგსა და უცხოეთში ვმოღვაწეობდით, სწორედ, იმ დროს აღმოვაჩინე საქართველო. როცა ყველა აღნიშნავდა, კარგი ღვინო გაქვთო, გაჩნდა ლოგიკური კითხვა-სად არის ეს ღვინო ?

სად იყო ქართული ღვინო ?

– საბჭოთა ღვინომ სტაგნაცია განიცადა, შეწყდა მისი წარმოება. შემდეგ კი 1994-1995 წლებში პირველი ღვინო ჰოლანდიაში ჩამოასხეს. ქართულ მეღვინეობაში ახალი ეტაპი დაიწყო. 1998 წელს მე და ჩემმა უფროსმა ძმამ კომპანია „ასკანელი ძმები“ დავაარსეთ. ღვინის ბიზნესი სწრაფად გაფართოვდა. 2001 წელს კი საკუთარი კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ – KTW დავაფუძნე. იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვდგამდით, ბაზარი უკვე გაჯერებული იყო მრავალი სახეობის ღვინით, მათ შორის იყო როგორც იაფფასიანი, ასევე მდიდრულად შეფუთული, ძვირფასი ღვინოები, მრავლად შეხვდებოდით ფალსიფიცირებულ ღვინოსაც. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ მომხმარებლისათვის სრულიად ახალი პროდუქტი შეგვეთავაზებინა, რომელიც სხვა ნიშაზე იქნებოდა გათვლილი და ასე გავხდით ნოვატორები ღვინის ნამდვილი თიხის ქურჭელში ჩამოსხმით. თი-

თოეული ქურჭელი ხელით მზადდება, ორიგინალური დიზაინითა და ფორმით გამოირჩევა, იმ პერიოდში მსგავს პროდუქტს ბაზარზე საერთოდ ვერ შეხვდებოდით. ასე გადავდგით პირველი ნაბიჯები, მომავალში კი წარმოებას იტალიური შუშის ბოთლიც დავამატეთ და პროდუქტი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გავხადეთ.

– დღეს, ყველაზე მრავალფეროვანი პროდუქცია გაქვთ.

– ჩვენი პროდუქციის მრავალფეროვნება სტაბილურმა წარმოებამ განაპირობა. გამოვუშვიტ „ქართული საოჯახო ღვინო“, ღვინიდან გამოხდილი სპირტის წარმოება დავინწყეთ. ჩამოვასხით კონიაკი, ბრენდი, შევეცადეთ, სპირტის თავიდანვე ქართული ჯიშის მუხის კასრებში – „იბერიკაში“ დაძველება. საკმაოდ კარგ შედეგს მივაღწიეთ. დაძველება გავაგრძელებთ, ვერ ვიფიქრებდი ჩვენი კონიაკის – „ძველი კახეთის“ გაყიდვა ასეთ წარმატებას თუ მიაღწევდა. პროდუქციის ექსპორტს თხუთმეტამდე ქვეყანაში ვახორციელებთ, ბოლო წლებში დაგვემატა მრავალი მნიშვნელოვანი ბაზარი, როგორცაა მაგალითად ჩინეთი, ყაზახეთი და სხვა.

– რა პროფესიის ხართ, თქვენი წარმატების ფორმულა ჩვენი ყურნალის მკითხველს გაანდეთ.

– ეკონომიკური ფაქულტეტი დავამთავრე, ბიზნესის მენეჯმენტი და მართვა. მომენიჭა მაგისტრის წოდება. საკურსო ნაშრომი მეღვინეობას მივუძღვენი, კერძოდ – „ღვინის წარმოება, ქართული ღვინის პერსპექტივა და მისი ექსპორტის პოტენციალი“. იმ პერიოდში ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ღვინის წარმოებას მთელ ცხოვრებას დავუკავშირებდი.

რაც შეეხება წარმატების ფორმულას – ეს ჩვენი მონდომება და შრომისმოყვარეობაა, დღემდე ასე გრძელდება. კომპანიაში სიტყვა – „ველოდები“ აკრძალული მაქვს, ჩვენ არავის ველოდებით, საქმე, საქმიან ადამიანთან მიდის.

– ქართველი ბიზნესმენები არასახარბიელო ვითარებაში იყვნენ, თქვენ როგორ ლავირებდით ?


– ქართველებს ბევრი კარგი ხალხური გამონათქვამი გვაქვს.

– კონკრეტულ ვითარებაში რომელი გამონათქვამით ხელმძღვანელობდით ?

– „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“, ჩვენი გუნდი წყნარად ვაგრძელებდით ჩვენს საქმეს, რა თქმა უნდა, რთული პერიოდი იყო, ბევრი ოჯახი დაზარალდა, რეჟიმმა დიდ ცოდვაში ჩაიგდო თავი. როდესაც საკუთარ ბიზნესს იწყებ, წარმატებული ხდები, პარალელურ რეჟიმში სხვადასხვა მეთოდით გამანტაჟებენ და გაყაჩაღებენ, ბიზნესის განვითარებაზე როგორ უნდა იფიქრო?!

– დღეს, წნეხისგან გამოვიდა ბიზნესი ?

– ამჟამად, ბიზნესი ისეთ დაუჯერებელ ვითარ-



ველისციხის მარანი

რებაშია, რომ ბიზნესმენები პირიქით, უფრო მეტ ყურადღებას ითხოვენ. სახელმწიფომ ქვეყნის განვითარებისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო. დარწმუნებული ვარ ამ გეზს არ შეცვლის. საჭიროა მიმართულებების კომპლექსურად დაგეგმვა, რომელსაც სახელმწიფომ უნდა გაუწიოს კოორდინირება, ამასთანავე ბანკის კეთილი ნება და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკა ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ. საქართველო ჯერ ჩვენთვის უნდა იყოს საინტერესო და შემდეგ სხვებისთვის. რაც ერთდროულად ძალიან მარტივიცაა და რთულიც. ხალხს ილუზია არ უნდა შევეუქმნათ, რომ მოლოდინის რეჟიმში იყვნენ და ამერიკელი ბიძია სემი დაეხმარება, მათ გასაკეთებელ საქმეს სხვა გააკეთებს. აქტიურად უნდა ჩაერთოს მასმედია, ყურნალისტებმა საზოგადოების ინფორმირებულობაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ.

– დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენს წარსულს. დედულეთში „ველისციხის ვერანდა“ აღადგინეთ. რა გეგმები გაქვთ ასკანაში ?

– ასკანაში ჩემი დიდი ბაბუის ანთიმოზ ჩხაიძის სახელობის მარნის მშენებლობა დავიწყეთ. მის ბაზაზე გურული მეღვინეობის მუზეუმი გაიხსნება. ჩემი სურვილია იქ გურული ჯიშების ღვინის წარმოება აღორძინდეს, ასევე დასავლეთ საქართველოში მეღვინეობის შესახებ ეთნოგრაფიული მასალები შევავროვოთ. გასულ წელს „ჩხავერის“ წარმატება ჩვენთვის აღმოჩენა იყო. როგორც ამბობენ, ჩვენი გვარი ვაზის ამ ჯიშთან პირდაპირ არის დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში ერთი ფუძე „ჩხა“ გვაქვს, რომელიც ვაზს უკავშირდება. პირველად ჩამოვასხით თეთრი და ბუნებრივად ვარდისფერი ჩხავერი, რომლებსაც სომელიეებმა უმაღლესი შეფასება მისცეს.

– თქვენ განაცხადეთ, რომ ეს ჯიშები განადგურებულია. როგორი სტრატეგია გაქვთ?

ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აღვადგინოთ მივიწყებული ჯიშები, ამიტომ პრაქტიკული გადაწყვეტილება მივიღეთ, წელს ნოემბრის თვეში ჩხავერისა და ცოლიკაურის ვაზის ჯიშები გამოცდილ მევენახეებს უფასოდ დაურგიდებათ, სამ წელიწადში მოყვანილ ყურძენს ხელშეკრულების თამახმად ჩვენთან მოიტანენ და საბაზრო ფასად შევიძინოთ. აქვე უნდა აღვნიშნო საგურა-

მოში არსებული ეგრეთ წოდებული მეღვინეობა-მევენახეობის გენოფონდი, რომელიც 437 ჯიშის ქართული ვაზს აერთიანებს. ამ მამულიშვილურ საქმეში უდიდესი როლი მიუძღვის ბიძინა ივანიშვილს, რისთვისაც მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. დავუბრუნდეთ კვლავ დასავლეთს, ოზურგეთში, ჩოხატაურში და ქედაში ზემოთ ხსენებული ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი უკვე ადაპტირებულია. ასკანაში ღვინის მარნის მუზეუმის მშენებლობა ორ წელიწადში დასრულდება, იმ მიდამოებში ნყალმომარაგების პროექტი დამტკიცდა და მალე მონესრიგდება, მშენებლობასთან ასფალტირებული გზის თემაც არის მიბმული. მოვიზიდავთ ტურისტებს და მთელ რეგიონს განვითარების პერსპექტივა გაუჩნდება. აქვე, მადლობას გადავუხადი გურიის გუბერნატორს გიორგი ჩხაიძეს, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს და გამგებელს კოტე შარაშენიძეს. მათ დიდი შრომა გასწიეს, ინფრასტრუქტურული პროექტის დამტკიცებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს. სოფელ ასკანაში 2001 წელს უფლის ამალღების ეკლესია გაიხსნა, გაჩნდა იდეა და სახალხო დღესასწაული ასკანობა დაარსდა, მას შემდეგ ყოველ წელიწადს 30 აგვისტოს ვიკრიბებით და აღვნიშნავთ.

– გურიაში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ახალი პროექტები იგეგმება.

– ჩვენი კეთილი ნებითა და სურვილით, ხილის მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა. ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, ასევე ქედის რაიონში გარკვეული სამუშაოები შევასრულეთ, პროექტირების დაწყებამდე ჩოხატაურში და დვაბზუმში ადგილმდებარეობებს ჩვენს იურიდიულ ჩარჩოებში მოვაქცევთ, ჩართული იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სადაც ზედა ზოლში შესაძლებელია ვენახის გაშენება. თავდაპირველად მცირე ზომის წარმოებები იქნება, შემდეგ მოჰყვება განვითარება და ყოველ სეზონზე გაფართოვდება. საბაზო ნედლეული გადამუშავებისათვის თეორიულად შესწავლილია. მუნიციპალიტეტებმა საკმაოდ კარგად იმუშავეს, ამიტომ, სამ ქარხანაზე ავიღეთ აქცენტი, ეს მარკეტინგულად და ლოგისტიკური კუთხითაც გამართლებულია. KTW ჯგუფმა ვიცით, რა გვინდა და რა სახის პროდუქტი უნდა შევქმნათ. ჩვენს პროდუქციას რამდენიმე ბაზარზე წარმატებით ვყიდით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი საქართველოშიც უნდა გაიყიდოს. ზოგიერთი ხილი ალკოჰოლთან არის შეხებაში, ამიტომ ხილის გადამამუშავებელ ქარხნებსა და ღვინის მარანთან კოორდინირება უნდა მოხდეს. მთავარია, ქვეყანაში ინვესტირების შიში გაქრა, ახლა უნდა ვიზრუნოთ გურიის რეგიონში რაც შეიძლება მეტი სანარმო შეიქმნას და ადგილობრივები დასაქმდნენ, ხალხი დაბრუნდეს, რის შემდეგ სიმშვიდეში ვიფიქროთ და ფიქრში პროდუქტიულად ვიშრომოთ.



დაჩრდგვის მინიციპალიტეტი - ასკანა, გუბრული მელვინდმის მუჯრედი

„შეჯარდნადის ბარდენიში“ უძველესი ბარის დაბნობა

„მებალე წელიწადის ამ დროს თუ თავისუფალია, ის მებალე არ არის. ჩემი მიზანია ირგვლივ ყველა ჯმყოფილი იყოს, ლამაზი გარემო შევქმნა და ცხოვრება სასიამოვნოდ გავატარო...“

„შეჯარდნადის გარდენიში“ მცენარეების ნერგების გარდა, ბევრ უცხო ნივთს იხილავთ, როცა ვესტუმრეთ მებალეს, ჩვეულებისამებრ, ხელები მინაში ჰქონდა ჩარგული. მისი აზრით, ბალი მარტო მცენარე არ არის, სამყარო ხომ თვალწინდელია და რაც უფრო დაუკვირდები, გარემოს უფრო გააფართოებ. უცნაურ გარემოში ზურა შეჯარდნადის ცხოვრების წესი ჩანს, ყოველ ნივთს თავისი დანიშნულება აქვს, არც პატარა ფეხსაცმელებია უფუნქციოდ, მასში ყვავილები ხარობს. შორიახლოს ძველებური მანქანა დავინახეთ, სასადილო ოთახში ძველი ჭურჭლების გვერდით ქალბატონების კაბები შევნიშნეთ. მებალე გარდენის რეკონსტრუქციას გვემს. მასპინძელი მისთვის ჩვეული გურული დიალექტით გაგვესაუბრა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში შეჯარდნადეების დიდ ოჯახში დავიბადე, საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ჩემი აზრით, სკოლის პედაგოგები მსოფლიოში საუკეთესოები იყვნენ. შემდეგ თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე, ბონის უნივერსიტეტში დავიცავი დისერტაცია. დავბრუნდი და ეს საქმიანობა დავინწყე.

– რატომ შეარჩიეთ უცხოური სახელწოდება „გარდენი“?

– „Garden“ – ქართულად ბაღს ნიშნავს. მსურდა უცხოელებისთვისაც ადვილად გასაგები ყოფილიყო. იტალიაში ცოლ-ქმარს მსგავსი მეურნეობა ჰქონდა, მომეწონა და ვთხოვე,

არ მომიპარავს, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, როცა საქართველოში დავბრუნდები მსგავს მეურნეობას შევქმნი და გარდენის დავარქმევ, მირჩიეს, წინ შენი გვარი ნაუმძღვარეო და მოგცემთ უფლებასო. პირობა მივეცი. შარშან იტალიაში ყოფნის დროს მათ ვესტუმრე, ცოლ-ქმარი გარდაცვლილი დამხვდა, ხოლო ის მეურნეობა ძველს აღარ ჰგავდა.

– რამდენი წელი არსებობს გარდენი?

– უკვე 7 წელი.

– თქვენ საქმიანობას რეკლამირება არ სჭირდება. რა ნიშით გამოირჩევით?

– ჩვენი მთავარი სიმდიდრე ჩვენი ხასიათია, ამით გამოვირჩევით და ის პატარა ნვრილმანები, რისთვისაც აქ უცხოელები მოდიან. ბევრი რამ გვაქვს შემონახული, ის შინაგანი ძალა, რაც საზღვარგარეთ დაკარგულია. ამიტომ მცირე ერმა კარგად უნდა შევფასოთ და შევინარჩუნოთ. „თბილისის მოღში“ და „გუდვილში“ არ ვარ ნამყოფი, ყოველ კვირას ნავთლუღის ბაზარში დავდივარ და ჯანმრთელ პროდუქტს ვყიდულობ. ზამთარში კიტრს და პომიდორს ვერ შევჭამ, ყოველთვის სეზონური საკვებით ვიკვებები. ვცდილობ, ეს გამოცდილება სხვებსაც გავუზიარო. ჩემი ქათმები, ინდაურები და იხვები მყავს, პატარა მეურნეობაც მაქვს მოწყობილი. ქართულ ხარისგულას ჯიშის პომიდორს ვამრავლებ. ეს უნიკალური ჯიშის უნდა შევინარჩუნოთ. როცა ნივთები უპა-



ზურა შეჯარდნადე

ტრონოდ არის, მენანება, მირჩენია ამ ძველი ჭურჭელიდან მივირთვა, ვიდრე გადავადგო. გახამებულ თეთრ თეთრეულში ვწევარ, არ მინდა ეს ტრადიცია დაიკარგოს. მარტივია ისე იცხოვრო, როგორც სხვები ცხოვრობენ, უფრო ნაკლები ფუფუნებაა ისე იყო, როგორც შენ წარმოგიდგენია.

– თქვენ პრინციპები დათმეთ და უფრო რთული გზა აირჩიეთ?

– გაცილებით ადვილია „კარფურში“ შეხვიდე, მე უფრო რთული გზა ავირჩიე, მსურს გლახებს დავეხმარო, ბაზრის ტრადიცია შევინარჩუნოთ. ჩოხატაურის ბაზარში ყოველთვის იყიდებოდა ქვის კეცი, ახლა კეცის გამთლელი ორი კაცია დარჩენილი, ერთს ცალი ფეხი აქვს და ვეღარ თლის, მეორე საკმაოდ ასაკოვანია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, რომ აღარ იქნება, დაიკარგება, მალე გიდღის, გოდრის მქსოველი, ნაბდის ხელოსანი, თქვის გამთლავი, აკვნის ხელოსნები, აღარ იქნებიან, ეს, კი, ჩვენი სიმდიდრეა, სხვებისგან ამით გამოვირჩევით.

– გარდენიში უცხოური ელემენტებიც არის.

– შეიძლება არის გავლენა, მე ქართულად მიმარჩნია. სტუმრები ხშირად ამბობენ – „ისეთი კარგია აქაურობა, ქართულს არ ჰგავსო. არ გვეგონია საქართველოში თუ ვართო“. ცდებიან, ეს საქართველოა. ამაყი ვარ ჩემი ქართველობით და გურულობით.

– უნიკალური გურული კილო გაქვთ.

– უნიკალურია, თუ არაუნიკალური, ჩემია. რაც ვარ, ეს ვარ. თუმცა არაგრამატიკულად არ ვსაუბრობ. სოფელ ბახეში ბარჯგებზე შემდგა-



რი პატარა ოდა სახლი ავაშენე. ნელს პირველი სტუმრები მივიღე. იქ მცირე მეურნეობა მაქვს. ჩემი ძმა მეხმარება, დეკორატიული მცენარეების ნერგი გამოგვყავს.

- გარდენიში მოხუცი ქალბატონები საქმიანობენ.

- მარო ბებო ყველაზე უხუცესია, ისინი სამაგალითო ხალხია, მათთან ურთიერთობა ცალკე ფილოსოფიაა. ძალიან მომთმენები არიან, ცხოვრებისეული სიბრძნე აქვთ. ასევე იაფი თანამშრომლები არიან.

- ასაკოვანი თანამშრომლები ეკონომიაა თქვენთვის?

- დიახ, იგივე სამუშაოს მცირე ხელფასით ახალგაზრდა არ შეასრულებს, მას სხვა შესაძლებლობები აქვს, ღმერთმა ნუ ქნას, არ ჰქონდეს. პენსიონერებისთვის ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შესაძლოა ისინი კიდევ იყვნენ საქმიანნი. ეს, კი, ორივე მხარისთვის კარგია. მათთან ურთიერთობა რთულია, მაგრამ სასიამოვნო. მოხუცებს ბავშვური ხასიათი აქვთ, ხშირად წყინთ, ერთ-ერთი მარო ბებო ნაწყენი მყავს, გუშინ კითხვაზე პასუხი არ გავეცი, მე ცეცხლი მეკიდებოდა, დღეს ძალით მომესალმა. ვიდრე შეგვიძლია მოხუცებს სიცოცხლე უნდა გავუხანგრძლივოთ.

- რა არის გურულების მთავარი ნაკლი?

- გურულებს არ გვაქვს ნაკლი. ქართული ხასიათია ქეიფი, გართობა, ერთმანეთზე დადებითად საუბარი, ზო-



გჯერ მლიქვნელობაში გადასული. ჩვენი ბუნება გვაძლევს სიზარმაცის საშუალებას, თუმცა მეტი ფიქრი და საშველის ძიება საჭირო, როცა სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, სხვა საცთურები ჩნდება. ამიტომ როგორ მდგომარეობაშიც ხარ, ყოველთვის შეეცადე კარგად იყო.

- დღეს, გურიაში ხალხს ეკონომიურად ძალიან უჭირს.

- ეს არავის ბრალი არ არის.

- ხალხი ხელისუფლებას აბრალებს.

- ხელისუფლებაც ჩვენ ვართ, პოლიტიკაზე მეტადესაც აქვს საუბრის უფლება. სხვა არაფერს არ გაგიკეთებს. შენში უნდა იპოვო ძალა. შვილები ისე უნდა აღვზარდოთ, რომ ბრძოლა ვასწავლოთ

- მშობლებმა გასწავლათ ბრძოლა?

- არ ვიცი, ჩემი ძმა ჩემსავით ვერ იბრძვის, ცოტა „ზენაა“. ბრძოლის გარეშე ერთი დღეც არ შემიძლია. ზოგჯერ სასიამოვნოა, ზოგჯერ ვმარცხდები, თუმცა ცოცხალი პროცესია. მშრომელ ადამიანს ახლავს ღვთის წყალობა. არაფერი მიპოვია, ყოველივეს ჩემი შრომით მოვიპოვე.

- თქვენ თუ გიყვართ გაჩუქება?

- არა, გაჩუქება არ მიყვარს.

- ცოტა ასკეტური ხართ.

- არა, 40 თანამშრომელი ვმუშაობთ, მთელი თბილისი მოდის, ასკეტურად ცხოვრების უფლებას ვინ მომცემს.

- რელიგიაზე თქვენი თეორიები გაქვთ.

- ვთვლი, რომ ერთად შრომა, ერთად ლოცვას ნიშნავს. თუ შრომობ და კეთილშობილ საქმეს აკეთებ, ეს ლოცვის ტოლფასია. ჩემი მოსაზრება იცის მაღალმა იერარქიამ.

- რა გეგმები გაქვთ?

- ბევრი გეგმა მაქვს, ამას თქვენი ჟურნალის გვერდები ვერ დაიტევს. მსურს მეტალობის სასწავლებელი შევქმნა. ძველი ხეხილის ჯიშები შევინარჩუნო. ბოლო ასი წლის მანძილზე ერთი კაციც არ ვიცი, ვინც დემირა ვაშლი დაამყნო. მთელი ზაფხული გარდენიში მოდიან სტუმრები, ზამთარში ჭიშკარი იკეტება, სათბურებში ვმუშაობთ და გაზაფხულისთვის ვემზადებით. რეკონსტრუქციის შემდეგ თქვენც გეპატიჟებით.

- 34 წლის ხართ, რატომ ვერ შეხვდით მეორე ნახევარს?

- დღე და ღამე ამ საქმეში ვარ ჩართული, თუმცა იმდენი ემოცია მაქვს გაფანტული, ათ კაცს ეყოფა. ჯერჯერობით უჭირთ ჩემი გაგება.

- ხშირად მოდიან გურულები?

- დიახ, იციან ძალიან მიყვარს ისინი.

- მე გურული ვარ-თქვა ერთ-ერთმა.

- მერე ქალბატონო?

- მე კონჭკათიდან ვარ.

- მერე?

- არ ეტევა ეს ემოცია და როგორ მოიქცნენ. ღმერთმა ნუ მოაკლოს მათ ხალასი ურთიერთობა. მე, კი, გარდენიში გურული იუმორით დავხვდები და სიყვარულს გავუზიარებ.

ლელა სურმავა



ბათუმი, გურულები ყაბლასში კირილე დოლიძის ფოტო

სანაღარო ბიბლიოთეკაში აუდიტის შედეგების შედეგად კითხვის ნიშნები

ყოველწლიური „გურიის REGION“-ი დაინტერესდა გამგეობის შიდა აუდიტისა და შედეგადგეგმვის სამსახურის მიერ ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშით, რომლის შესახებ სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გოგი ფაცურამ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ისაუბრა.

მისი თქმით, საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 21 იანვრის რეზოლუციის საფუძველზე გამგეობის შიდა აუდიტისა და შედეგადგეგმვის სამსახურის მიერ ა(ა) იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკაში“ მიმდინარე წლის 27 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება. შემოწმებას დაექვემდებარა 2012-2013 წლები. შემოწმებას ესწრებოდა და ახსნა-განმარტებას იძლეოდა ბიბლიოთეკის დირექტორი ნუნუ ენუქიძე და ბუღალტერი რუსუდან კუკულაძე.

შემომდგა შემდეგი მიმართულებები:

- ა) 2012-2013 წლების მდგომარეობით არსებული ნაშთისა და მიღებული შემოსავლების დადგენა.
- ბ) მუნიციპალური ბიუჯეტიდან ჩარიცხული თანხების ხარჯვის ანალიზი.
- გ) საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის მდგომარეობის ანალიზი.
- დ) არაფინანსური აქტივების ზრდის ან შემცირების შემთხვევაში ალბისა და პირველადი საბუთების შედეგების მდგომარეობის ანალიზი.
- ე) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამონერის და მის შედეგად მიღებული ქონებიდან შემოსავლების დადგენა.

შემოგთავაზებთ ამონარიდს შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშიდან:

„2012 წლის 2 ნოემბრის №30 დადგენილებით 9352 ლარით შემცირდა ბიბლიოთეკის მთლიანი ბიუჯეტი, რაც ადგილზე 22 ნოემბრის №262 ბრძანებით ანუ 20 დღის შემდეგ არის დამტკიცებული, შემცირდა 1335 ლარით შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, 220 ლარით შემცირდა მივლინების ხარჯი, 6782 ლარით ოფისის ხარჯი, 1015 ლარით სხვა ხარჯი, რითაც დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები, დაუსაბუთებლად არის შემცირებული ბიუჯეტი.

2012 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ 118920 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებით მიღებულმა შემოსავალმა 1692 ლარი შეადგინა.

პირველადი საბუთების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულება №13, რომელიც გაფორმებულია 15.05.2012 წელს ი/მ დავით ბარამიძესთან თანხით 600 ლარი, ხელშეკრულების თანახმად გათვალისწინებული მომსახურების დასრულების ვადა იყო 2012 წლის 10 ივნისს, მომსახურება კი გაწეულია 13 ივნისს.

ხელშეკრულება №1 გაფორმებულია ი.მ. „გია ჩიჩუა“-სთან 30.01 2012 წელს 70 კ.მ სათბობ შემაზე თანხით 3650 ლარი. სასაქონლო ზედნადები №10 წარმოდგენილია ექვს

თებერვალს 2012 წელს, აღნიშნული თანხაც გადახდილია ექვს თებერვალს 2012 წელს, მაგრამ შემა ფაქტობრივად ნოემბრის თვეში იქნა მიტანილი და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტივ 27 ნოემბერს არის შედგენილი.

შპს „ბიბლუსთან“ 27.06. 2012 წელს გაფორმებულია ხელშეკრულებები №15, 16, 17 თანხით 595 ლარი. სასაქონლო ზედნადები წარმოდგენილია 29.06. 2012 წელს, ხოლო თანხა გადახდილი აქვს ს/ზედნადების წარმოდგენამდე.

სამივილინებო თანხების გაცემისას ადგილი ჰქონდა მგზავრობის თანხის არასწორ გაანგარიშებას. კერძოდ: თბილისიდან ლანჩხუთში მგზავრობის თანხა 15 ლარის ნაცვლად გაანგარიშებული აქვთ თბილისიდან ბათუმში მგზავრობის ღირებულება 20 ლარი, რაც შემდეგ გამოსწორებულია.

ხელშეკრულება № 9 გაფორმებულია „გურიის მოამბესთან“ 30.01 2012 წელს რეკლამის თანხა 300 ლარი. თანხა გაცემულია ოფისის მუშლიდან, ნაცვლად სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუშლისა.

2012 წელს ჩამონერილი იქნა მოქმედ ბიბლიოთეკაში 14 771 ცალი წიგნი თანხით 22 885 ლარი, მთლიანად იქნა ჩამონერილი 15 გაუქმებულ ბიბლიოთეკაში 77 062 ცალი წიგნი თანხით 233 600 ლარი. გასულ 2012 წელს ჩამოიწერა 91 833 ცალი წიგნი თანხით 256 485 ლარი (დროულად განხორციელებული რეალიზაციის შედეგად ჩამონერილი წიგნების საგარაუდო წონა 30 ტონას შეადგენდა და მაკულატურად ჩაბარების შემთხვევაში 1500 ლარის შემოსავლის შექმნა იქნებოდა შესაძლებელი).

ქონების ჩამონერის აქტი ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ დირექტორის ნუნუ ენუქიძის მიერ წარმოდგენილი იქნა საკრებულოს მიერ დამტკიცებულ რაიონულ კომისიაში, რომელსაც უნდა ემსჯელა და დაედგინა ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამონერის პროცედურის დასრულების შემდეგ და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ქონება, კეროდ მაკულატურა ბალანსში უნდა ასახულიყო მარაგების სახით, კომისიის მიერ დადგენილი ღირებულების შესაბამისად, რაც არ გაკეთებულა. ჩამონერილი ქონების რეალიზაცია და მიღებული თანხების შემოსავალში აღრიცხვა დღეის მდგომარეობით არ მომხდარა, რაც სერიოზული დარღვევაა.

თავის დროზე ქაოსურად მოხდა გაუქმებული ბიბლიოთეკიდან წიგნადი ფონდების სხვა ბიბლიოთეკებზე გადაცემა, რაც არ არის დაფიქსირებული შესაბამისი აქტებით, ნაწილი წიგნებისა შეტანილი იქნა სკოლების ბიბლიოთეკებში, ასევე რიგ სოფლებში ადგილი ჰქონდა წიგნადი ფონდების სოფლის მოსახლეობის მიერ დატაცებას.

მოსაწესრიგებელია ყოფილი საქალაქო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საქმე, რომლის 13621 ცალი წიგნი თანხით 93 465 ლარი, ირიცხება ცენტრალური ბიბლიოთეკის ბალანსზე, ფაქტიურად კი გადაცემულია თემურ ფირცხა-



ლაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმისათვის, ხოლო ბიბლიოთეკის თანამშრომლები 2012 წლის 23 თებერვლიდან ბრძანებით არიან განთავისუფლებულები ა (ა) იპ „ცენტრალური ბიბლიოთეკის „შტატებიდან და აყვანილი არიან ა (ა) იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ფონდის“ საშტატო ერთეულში.



რიამ მკითხველთა მომსახურეობის გაუმჯობესების, საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების დაცვისა და საცნობარო აპარატის სრულყოფის მიზნით „ცენტრალურ ბიბლიოთეკას“ გარკვეული ღონისძიებების გატარების რეკომენდაცია მისცა. მათ შორის კონკრეტულად ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექციას აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. გთავაზობთ ბოლო პუნქტს ამ რეკომენდაციიდან:

არ ხდება წიგნადი ფონდების განახლება ახლად გამოცემული ლიტერატურით, ამ მხრივ მიზერული თანხები არის დახარჯული, 2011 წელს შეძენილი იქნა 1380 ლარის 121 ცალი წიგნი და 2012 წელს კი 370 ლარის 46 ცალი წიგნი.

„მკითხველთა მომსახურეობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკებში საერთოდ არ, ან ნაკლებად შედის ახალგა-მოცემული ლიტერატურა. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წიგნების შესაძენად გამოყოფილი თანხების ხარჯვა წიგნების გამოცემის მიზნით მეტყველებს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ტენდენციურ დამოკიდებულებაზე ბიბლიოთეკების მიმართ. ამ პრაქტიკის მომავალში გაგრძელება მიგვაჩნია დაუშვებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.“

კესო მახარაძე

მოუწესრიგებელია საქმის წარმოება. საერთოდ არ არსებობდა შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ბრძანების წიგნი გახსნილია 2007 წლის 5 ოქტომბრიდან და გრძელდება დღემდე. ბრძანებები შედგენილია უხარისხოდ და არასრულყოფილად. ერთი და იგივე ბრძანება წიგნში ორჯერ არის გატარებული.“

შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი ფაცუ-

მოსახლეობის კეთილდღეობის მონიტორინგი ლანჩხუთში



ამირან გიგინეიშვილი

ვას დაახლოებით საათნახევარი სჭირდება) და შეკითხვები, რომლებიც ოჯახის შიდა სამზარეულოს შესახებ ინფორმაციის შემცველია.

ჩვენი გაზეთი დაინტერესდა, თუ რას ემსახურება მონიტორინგი და რადგან რწმუნებულების ინფორმაციით მათ დავალებები უშუალოდ საკრებულოს თავმჯდომარისგან მიიღეს, ჩვენც კომენტარისთვის ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ამირან გიგინეიშვილს დავეუკავშირდით:

– ბატონო ამირან, გვაქვს ინფორმაცია, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის მონიტორინგი გურიის რეგიონში მარტო ლანჩხუთში ხორციელდება და ამის შესახებ დავალება რწმუნებულებს თქვენ მიეცით. ვინ ახორციელებს აღნიშნულ მონიტორინგს და რატომ მხოლოდ ლანჩხუთში, იმიტომ არის აღიარებული ერთ-ერთ ღარიბ რაიონად?

მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობაში რწმუნებულების ორგანიზებით ტარდება სპეციალური გამოკითხვა. კითხვარები ჩამოწერილია სპეციალურ და საკმაოდ სქელკანიან პორტფოლიოებში, რომელიც განკუთვნილია თითო ოჯახზე თითო ცალი. გამოკითხვა მოიცავს სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას ოჯახის თითოეულ წევრზე, ოჯახის შემოსავალზე, შემოსავლის განკარგვაზე, ხარჯებზე, ოჯახის შემადგენლობაზე და თქვენ წარმოიდგინეთ, გადატანილ ვირუსულ ინფექციებზეც კი.

– არა, რა ღარიბ რაიონად. ჩვენ გავაფორმეთ მემორანდუმი ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ და ერობლივი პროგრამით ხორციელდება ეს პროექტი, რომელიც ევროკავშირმა დააფინანსა. მონიტორინგის მიზანია სოციალური სტრატეგიის შექმნა, რომლის პირველი ნაბიჯი გახლავთ ეს გამოკითხვა. ჩვენ ერთ-ერთი დაინტერესებული მხარე ვართ. ორგანიზებისათვის ჩავრთეთ სოფლების რწმუნებულები, რომლების მოხალისეებთან ერთად აწარმოებენ მონიტორინგს. მოხალისეებს ეძლევათ მიზერული თანხა, – თითო ოჯახის გამოკითხვაზე თითო ლარი.

მოკლედ, როგორც გითხარით, გამოკითხვა საფუძვლიანად ტარდება და მას სახელად კეთილდღეობის მონიტორინგი ჰქვია.

რაც შეეხება შეკითხვას, რატომ მაინდამინც ლანჩხუთი, გიპასუხებთ, წლების განმავლობაში მაქვს ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ამ ფაქტორის გათვალისწინებით ჩაერთო ჩვენი მუნიციპალიტეტი – აღნიშნა ბატონმა ამირან გიგინეიშვილმა ჩვენთან საუბრისას.

ჩვენი ინფორმაციით, გამოკითხვა, რომლის ინიციატორადაც ჩვენი საკრებულოს თავმჯდომარეს, ამირან გიგინეიშვილს ასახელებენ, მოხალისეების მიერ სოფლებში უკვე დაწყებულია. გამოკითხვაში ჩართული მოხალისეები არ ფარავენ მოსახლეობის არასასიამოვნო დამოკიდებულებას ამ მონიტორინგის გამო. მათი თქმით, ამის მიზეზი გახლავთ პირველ რიგში დრო (ერთი ოჯახის გამოკითხ-

კესო მახარაძე

სამსახურის დებულების გამო გამოყენებული უფლებამოსილების გადახედავა?!

ლანჩხუთის გამგეობის იურიდიულმა სამსახურმა გუბერნიიდან მიღებული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა.

მას შემდეგ, რაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახური საკრებულოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას შეუდგა, მედიასამუალებებისა და სახელისუფლებო ემელონების ყურადღებაც დაიმსახურა. აღნიშნული სამსახურის მიერ შესწავლილი მასალები (რომლის საფუძველზეც არაერთი საჯარო მოხელისა, თუ სხვა თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვა), დღემდე აქტიური თემებია საზოგადოებისათვის, რადგან ხალხი დანაშაულზე რეაგირებას და დამნაშავის დასჯას ითხოვს და არა ხელის დაფარებას და მიფუჩეჩებას, რასაც სამწუხაროდ დღემდე ტენდენციური ხასიათი აქვს...

რაც ყველაზე მთავარია, აუდიტის სამსახურის მიერ მოკვლეული ფაქტების საფუძველზე ფინანსურ დანაშაულსა, თუ სამსახურობრივ გადაცდომებში მხილებული მანტიამეცვლილი მოხელები (რომლებიც ნაციონალური მოძრაობის სახეებად რჩებიან) მიზანმიმართულად ინარჩუნებენ პოსტებს. ასევე მიზანმიმართულად მიმდინარეობს ნაცმოძრაობის სახეების კოალიციურ პარტიებში გადადინება, რომელსაც ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია... ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე, ამირან გიგინეიშვილიც კი, რომელიც თავის დროზე საკრებულოში პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ სიით მოხვდა (როგორც თვითონ აღიარებს, ნაცმოძრაობის წევრი არასოდეს ყოფილა), ამორიოდ თვის წინ რესპუბლიკური პარტიის წევრი გახდა.



მიმე ფინანსური დანაშაულობებისა და სამსახურობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ფაქტები...

საკრებულოს მხრიდან რეაგირება მითითებებით ან საიას რეკომენდაციებით შემოიფარგლებოდა მხოლოდ...

სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობით თვით გუბერნატორი, გიორგი ჩხაიძე დაინტერესდა (რომლის ფუნქციებიც გარდამავალი დებულებით და შეზღუდული უფლებებით არის განსაზღვრული. მოხსნა, დანიშნა და მით უფრო რომელიმე სამსახურის გაუქმება მის ფუნქციებში არ შედის), რომელსაც მაშინვე მიანოდეს 14 მოხსენებითი ბარათი და 5 ანგარიში...

ამის შემდეგ კი მოვლენები, ყველას გასაკვირად, ასე განვითარდა:

2014 წლის 19 თებერვალს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოთა თავმჯდომარეების სახელზე შემდეგი შინაარსის წერილები (№166/07-04) დაიგზავნა (გთავაზობთ ამონარიდს, სტილი დაცულია):

„... შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობა მიმართული არ უნდა იყოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ დაწესებულების შინაგანაწესის და „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სამსახურობრივი გადაცდომებისა თუ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის მოკვლევის, არამედ შემოფარგლული უნდა

იყოს შიდა ფინანსური კონტროლით და მისი ანგარიში უნდა იყოს რეკომენდაციული ხასიათის, რომელშიც უნდა აისახოს მხოლოდ ფინანსური დარღვევები (გადაცდომები).

შიდა აუდიტის სუბიექტის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა შედეგადაც დაწესებულებებში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი რისკ ფაქტორები. სწორედ რისკების ეფექტურად მართვაა ორგანიზაციის წარმატების საწინდარი. რისკის მართვის საკითხების ცოდნა და რწმუნების განწევა აუდიტორს საშუალებას უნდა აძლევდეს იმოქმედოს კონსულტანტის სტატუსით და ასევე იყოს ერთგვარი კატალიზატორი ორგანიზაციული პროცესების გაუმჯობესებაში. აქედან გამომდინარე, შიდა აუდიტორი ორგანიზაციის უნდა ეხმარებოდეს თავისი სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტის (ITA) განმარტების შესაბამისად „შიდა აუდიტორი არის დამოუკიდებელი, ობიექტური მტკიცებულებითი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას და აუმჯობესებს დაწესებულების ფუნქციონირებას, იგი დაწესებულებას ეხმარება მიზნების მიღწევაში, რისკის მენეჯმენტის, კონტროლისა და მართვის ავტონომიური პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაში სისტემური,

ასხა რაც შეეხება სამსახურის დებულების გამო მიწერმონერას. შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობით დაინტერესებული ჟურნალისტებისთვის ბევრი „ცხელი“ და საინტერესო კულუარული ინფორმაციაა ხელმისაწვდომი, რომლის კვამლიც „უცეცხლოდ არ გაჩენილა!“

დიდი ხანია მიმდინარეობს მსჯელობა, „რა მოუხერხონ“ ლანჩხუთის გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურს, რომლის დებულებაც 2013 წლის 5 აპრილს დაამტკიცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამოვლენილი ფაქტების შემდეგ სავარაუდოდ, „ვილაცას“ აღარ მოენონა, ამიტომ აქტიურად გავრცელდა ხმები სამსახურის გაუქმებისა და გიორგი ფაცურიას გათავისუფლების შესახებ, დასახელდა კიდევ, ვინ და რა მიზეზით იდგა უკან...

მოკლედ, საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით შეუდგა საქმიანობას აღნიშნული სამსახური და როგორც გითხარით, საკრებულოს წინაშე რეაგირებისათვის დასვა რამდენიმე სერიოზული საკითხი, ძირითადად ყოფილი ნაციონალების თანამდებობებზე ყოფნის დროს

ორგანიზაციული მიდგომის გამოყენებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული პრინციპების იგნორირებით შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა განიხილება, როგორც ამ სუბიექტში მოსამსახურე პირთა მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება...

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ყაზაიშვილი.

აღნიშნულის საპასუხოდ აქვე შემოგთაზებთ ლანჩხუთის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნას (ამონარიდს):

„... ზემოაღნიშნული წერილი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და იურიდიულ სამსახურს რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანა მიზანშეუწონლად მიაჩნია. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო...

შიდა აუდიტის განყოფილების ფუნქციებში შედის როგორც შიდა აუდიტორული შემოწმება, ისე სამსახურეობრივი გადაცდომის, ან დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და დაწესებულების ხელმძღვანელისათვის შესაბამისი ანგარიშისა და რეკომენდაციების წარდგენა, რაც ჩვენი აზრით სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 5 აპრილის №17 დადგენილებით დამტკიცებული დებულება შემუშავებული იქნა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთანავე ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიმართ სამსახურის ფუნქციებთან დაკავშირებით ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მხრიდან სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გამოთქმულა.“

ამ წერილის საპასუხოდ გურიის გუბერნატორმა, გიორგი ჩხაიძემ მეორე სარეკომენდაციო წერილი გამოაგზავნა ლანჩხუთში, რომელშიც კვლავ იკვეთება შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში ცვლილების სურვილი...

გთავაზობთ ამონარიდს ამ რეკომენდაციიდან (№218/07-01, 28 თებერვალი, 2014 წელი):

„... 2011 წლის 9 დეკემბერს ძირეული ცვლილება შევიდა „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის შედეგად იგი ჩამოყალიბდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონად.

როგორც, თვით ამ კანონის სათაურიდან გამომდინარეობს, იგი ეხება (მისი ძირითადი ამოცანა) დაწესებულებისა და მისი სტრუქტურული ერთეულების (ერთეულის) ფინანსური კონტროლი.

ამასთან, აღნიშნული კანონის 32-ე მუხლის (გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი) მე-10 პუნქტის შესაბამისად, სამსახურეობრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემთხვევისა და

აღმოჩენის მიზნით სამსახურეობრივი შემოწმების ღონისძიებებს ახორციელებს ინსპექტირების ქვედანაყოფი, რომელიც შესაძლოა არსებობდეს დაწესებულებაში ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) სახით. ინსპექტირების ქვედანაყოფის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების დებულებით.

აღვნიშნავთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2013 წლის 5 აპრილს დაამტკიცა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №14 დადგენილება, რომლის თანდართული დებულების მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით აღნიშნულ სამსახურს ეყოლება „მუნიციპალურ მოსამსახურეთა მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფა და კონტროლი“.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართებული იყო, თუ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური“ მოახდენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევებზე შესაბამის რეაგირებას...

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი და შესაბამისი სამსახურები ითხოვენ ირმა მგელაძის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის (დისპოლინარული პასუხისმგებლობის ზომები) 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თანამდებობიდან განთავისუფლებას, მაშინ როდესაც ამავე კანონის 99-ე მუხლის (განთავისუფლება დისციპლინარული გადაცდომისათვის) მე-2 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სამსახურეობრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა.

ამასთან, ძნელია ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართული უღირსი საქციელის ზუსტი ინტერპრეტაცია (კვალიფიკაცია), რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ გარყვნილი, ან სხვა ამდაგვარი უზნეო ქმედება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და იმოქმედოთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.“

კესო მახარაძე

კითხვები, რომლებიც სტატიის მომზადებისას გაგვიჩნდა:

თუ სამსახურის დებულების დამტკიცებისას ნორმატიული აქტის მიმართ გუბერნიის ადმინისტრაციას არ ჰქონია რაიმე სახის შენიშვნები და მაშინ არ ყოფილა კანონდარღვევა, ახლა საიდან გაჩნდა?

რატომ და ვის სურს ლანჩხუთის გამგეობის აუდიტის სამსახურის დისკრედიტაცია?

როგორ ფიქრობს ჩვენი ძვირფასი ხელისუფლება, ამ წინასწარჩვენოდ მსგავსი ფაქტები ვის დისკრედიტაციას შეუწყობს ხელს?

საზოგადოების მხრიდან ძირითად მოთხოვნად ისევ რჩება სამართლიანობა, სამართლიანობა და სამართლიანობა! ამ ფაქტის უგულებელყოფა ცუდ შედეგებს მოგივტანს!

P.S. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხის შესწავლა დაევალია ვითკის კომისიას, რომლის დასკვნა ჯერ არ ვიცით, ხოლო იურიდიული სამსახურის პოზიცია უცვლელია...

ქალბატონმა სანდრა ჟღერაჯველმა ჩალოქსმა ღანჩხუთის „გამარჯვებულ ქალთა კლუბს“ წევრები მოიხსნა „გამარჯვებულ ქალთა კლუბს“ წევრები მოიხსნა

16 აპრილს დაახლოებით დღის 11 საათზე ქალბატონი სანდრა ელისაბედ რულოვის თანხმობით პირებთან ერთად ღანჩხუთის რეგიონულ „გამარჯვებულ ქალთა კლუბს“ ეწვია. გულთბილი და ემოციით სავსე გამოდგა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაცივე ქალბატონებთან მისი შეხვედრა, რომელსაც კლუბის წევრების გარდა რამდენიმე მოხალისე წევრიც შემოუერთდა. აღსანიშნავია ის მომენტი, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ჰქონდა მასთან შეხვედრის სურვილი...

სრულიად აპოლიტიკური და გულთბილი შეხვედრა დიალოგის რეჟიმში გაგრძელდა უკვე რესურსცენტრის სააქტო დარბაზში, სადაც კლუბის მხარდამჭერი ქალბატონებიც შემოუერთდნენ. სოლიდური სტუმრის მთავარი მასპინძელი გახლდათ „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი მზია კვიციანი. მან ამომწურავად ისაუბრა კლუბის მუშაობის ორწლიან პერიოდზე და იმ პრობლემებზე, რომელიც ონკოდაავადებული ქალბატონების წინაშე დგას როგორც ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობის, ისე ძვირადღირებული გამოკვლევების თვალსაზრისით. დიალოგში აქტიურად ჩაერთვნენ კლუბის წევრი ქალბატონები. შეხვედრის დასასრულს ქალბატონმა სანდრამ მათთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღო. კლუბის ათ წევრს კი სააღდგომო საჩუქარი გადასცა. დასასრულს, მასპინძელმა მხარემ სახელდახელო სუფრასთან მიიპატიჟა, რომელსაც ქალბატონი სანდრა სიამოვნებით დათანხმდა.

მოგვეცა შესაძლებლობა და მასთან ინტერვიუც ჩავენერთო:

– ქალბატონო სანდრა, გვინტერესებს რა გეგმები აქვს საზოგადო მოღვაწეს, ქალბატონ სანდრა რულოვის?

– მე ვაგრძელებ მუშაობას ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის ირგვლივ, ასევე ვეხმარები ქალებს ჩემი ფონდის საშუალების ფარგლებში, რომლებიც დაზღვევის იქეთ ვეღარ დააფინანსებს მკურნალობას ან გამოკვლევას. რა თქმა უნდა, ეს ჩემი ფონდი პატარაა, არის ბევრი განცხადება, მაგრამ ვცდილობ რომ დავეხმარო ბევრ გაჭირვებულს. მერე ჩვენ გვაქვს „მავი ზღვის ქვეყნების კოალიცია“, სადაც არის რვა ქვეყანა: მოლდავეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ბულგარეთი, რუმუნეთი და საქართველო, ჩვენ გვაქვს ივნისში თურქეთში შეხვედრა და ვცდილობთ, რომ ერთმანეთისგან ვისწავლოთ და ერთმანეთს გავუზიაროთ ბევრი რამ. აი მაგალითად, თურქეთში კარგად არის ონკოლოგიური რეგისტრი, ჩვენ ეს ჯერ არ



სანდრა, რულოვისი

გვაქვს. ეს იქედან შეგვიძლია ვისწავლოთ. სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ ჩვენგან ისწავლონ, იმიტომ რომ ჩვენ გვაქვს უკვე ძალიან სერიოზული სკრინინგი ყველგან, მთელ საქართველოში. დიაგნოსტიკის მხრივ ეს პრობლემა ისე თუ ასე მოგვარებულია საქართველოში, არა მარტო ქალებში, მამაკაცებშიც დავინწყეთ. ამ მხრივ კოალიციის სხვა ქვეყნებს შეუძლიათ ჩვენგან ისწავლონ. ჩვენ ვცდილობთ ერთმანეთი შევავსოთ. რაც სხვა ქვეყნებს არა აქვთ, დავეხმაროთ. ჯანმრთელობის დარგში მე არა მარტო ქალებს ვეხმარები, ჩემი ფონდიდან ვეხმარები იშვიათი დაავადებით დაავადებულ ბავშვებს და ინვალიდებს, მინდა, რომ მომავალში უფრო ინტენსიურად იმუშაოს სარეაბილიტაციო ცენტრმა, რომელიც საქართველოში ჯერ არ არსებობს, სადაც მივა ინვალიდი და თავიდან ბოლომდე დაეხმარებიან არა მარტო ფიზიოთერაპიით, არამედ ფსიქოლოგიურადაც, ასეთი ოცნება მე მაქვს, რომ სარეაბილიტაციო ცენტრი შევქმნათ მომავალში. შეიძლება ჰოლანდიის მთავრობასაც მივმართო დახმარებისათვის და რა თქმა უნდა, პარტნიორი უნდა მყავდეს საქართველოში. ამას მე თვითონ რომელიმე ფონდის დახმარებით ერთ-ერთ საავადმყოფოსთან გავხსნი.

– სასიამოვნო მოვლენაა აღდგომის კვირაში თქვენი ვიზიტი ღანჩხუთის „გამარჯვებულ ქალთა კლუბში“, რამ გამოიწვია ამ ეტაპზე თქვენი დაინტერესება და რა გეგმები გაქვთ ღანჩხუთის მიმართებაში?

– (ელიმება), ეს ინტერესი ძველია! რაც დაარსდა ეს კლუბი, მას შემდეგ დავმეგობრდი ქალბატონ მზიასთან, თბილისში ვხვდებით-ხოლმე და აქაც. პირველად აქ შეხვდები, როცა მობილური ჯგუფი ჩამოვიდა მამობილით, მაშინაც ვიყავით...

სააღდგომოდ მე ყოველთვის გადავცემდი სასაჩუქრე ამანათებს ონკოდაავადებულ ქალბატონებს, დღეს აჭარაში დავარიგე და მერე თქვენთან წამოვედი გურიაში. ეს ტრადიციაა უკვე და არ მინდა დავარღვიო. კარგი დამთხვევა იყო. ვიფიქრე მზიასთან კლუბში იქნებინა ქალბატონები, რომლებსაც გაეხარებოდათ აღდგომისთვის ეს საჩუქრები-მეთქი, როგორც პატარა შეღავათი. ამიტომაც აღდგომას დავმთხვავე.



სანდრა რულოვისი გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრებთან ერთად

გურიის უდაბნოს უდაბნო

გურიის უდაბნოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის მათა მონასტერი, მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამაღლეების ზემო ნაწილში. სოფელი დასახლებულია გურიის სერის სამხრეთ კალთის ძირას, ზღვის დონიდან 140მ. სიმაღლეზე მდინარე სუფსის ხეობაში, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 4კმ-ზე.



უდაბნო ტერმინით ეკლესიოლოგიურ და თეოლოგიურ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, განმარტებით მდგარი მონასტერი, სამონასტრო კომპლექსი აღინიშნება(ძეგლ, 1986, 425) იმდენად, რამდენადაც უშენ, „უდაბნო ადგილებში ასკეტ-მონაზონთა მიერ დაარსებული სავანეები სიმბოლურად განასახიერებდა უდაბნოს, როგორც „ებრაელთაგზას“, ღვთისშემეცნებისა და ღვთის თაყვანისცემის წმიდა ადგილს (პაპუაშვილი, 1996,132). აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასკეტური მოძრაობის დასაწყისში უდაბნო-მონასტრების წარმოშობა უკავშირდება „ქვაბოვან ქრისტიანულ კულტმსახურების ძეგლს, რომლის ფესვებზეც ამოზრდილია სამონასტრო ცხოვრება“ (გაფრინდაშვილი, 1988,6) დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს განმარტება შეესაბამება გურიის უდაბნოს, სადაც სამონასტრო კომპლექსი კლდეში ნაკაფ ორ ეკლესიასა და ბერთა ქვაბოვან სენაკებს მოიცავდა, მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ VI საუკუნით დათარიღებულს.

უდაბნოსა და მისი მიდამოების სილამაზეს აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. ამ ადგილებში ბევრგან გამოდის წყაროს წყალი, თვით სოფლის მნიშვნელოვანი სასმელი წყლის „არტერია“ აქედან იღებს სათავეს. გურიის უდაბნოს ამალლების მონასტრის სახელითაც მოიხსენიებენ.

უდაბნოს სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი-მეცნიერი ეწვია, მაგრამ მონასტრის დაფუძნებისა და მისი განვითარების საკითხებს იშვიათად თუ რომელიმე შეხებია. პირველი მეცნიერული ხნული დიმიტრი ბაქრაძემ გაავლო, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა მონათხრობს გადმოგვცემს, სპეციალური ძიება კი, სამწუხაროდ, არ ჩაუტარებია.

დიმიტრი ბაქრაძე ასე აღწერს გურიის უდაბნოს: „უდაბნო მდებარეობს ამალლების მთის ერთ-ერთ ციცაბო კალთაზე, სოფელ ამალლების ზემოთ და ორპირიდან ოზურგეთს მიმავალი საფოსტო გზის მახლობლად. უდაბნოს აღმართი დამრეცი და ძნელია. იქიდან მშვენიერი სანახაობა იშლება. უდაბნოში უხვადაა ტყე და გემრიელი წყალი; ჰავაც მშვენიერია. მე აქ ვნახე 7 ბერი და ათამდე ბიჭი, რომლებიც ქართულ

წერა-კითხვას სწავლობდნენ.

უდაბნოში ორი ეკლესიაა: ძველი მცირე, კლდეში ნახევრად გამოკვეთილი და ახალი ლამაზი საკმაოდ ვრცელი თლილი ქვისა, უგუმბათო, როგორც წარწერა გვიჩვენებს, 1858 წელს არის აგებული იოანე ნათლისმცემლის სახელზე. (ბაქრაძე 1987, 201).

1908 წელს გურიის უდაბნო ინახულა ჯერ კიდევ გიმნაზისტმა აკაკი შანიძემ, მან იცოდა, რომ აქ სწავლობდნენ თავისი მამა და ბიძები. როგორც ცნობილია, უდაბნოში მონაზვნები საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ, რადგან ახლო-მახლო სოფლებში სასწავლებლები არ იყო და მსურველები აქ იძენდნენ წერა-კითხვის ცოდნას და იღებდნენ პირველდანიებით განათლებას.

უდაბნოს მამებივე იყვნენ იქ არსებული სკოლის პედაგოგები, მათივე მოსაკითხი იყო სასულიერო მართლწესრიგი, არა მარტო მონასტერში, არამედ მთელს აღმოსავლეთ გურიაში. არსებობს „აფხაზეთის კათალიკოსის მაქსიმეს 1777 წ. ინსტრუქცია „უდაბნოს მამა იოსებისა“ და ერეკეთის წინამძღვარ ბესარიონისადმი. ამ ინსტრუქციით მათ ეკისრებათ მოიხილონ გურიის ეკლესიები და თვალყური ადევნონ მათ კეთილსახიერებას, ასწავლონ მღვდლებს მათი მოვალეობა და სხვ. (ბაქრაძე 1987, 202).

აკაკი შანიძე მონასტერს 1920 წელსაც ეწვია. იგი წერს: „ამ უდაბნოს მოეპოვებოდა წიგნთსაცავი, სადაც ძველი ქართული ხელნაწერები ინახებოდა, ერთი მათგანი იყო მრავალთავი, რომელსაც ბევრი აკლდა, იგი 1920 წელს დამითმეს ბერებმა, წამოვიღე თბილისში და მუზეუმს გადავეცი, როცა მე 1923 წელს პეტერბურგში ვიყავი, როგორც წერი კომისიისა, რომელსაც ევალებოდა იქაური ქართული ხელნაწერების გადარჩევა და მომზადება ზოგიერთი მათგანის გადმოსაცემად საქართველოსათვის, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის გრენის კოლექციაში (№6) აღმოჩნდა რვა ფურცელი ძველი მრგლოვანი ხელნაწერისა, რომელიც მაშინვე ვიცანი უდაბნოს მრავალთავის ნაწილად და მოვიტხოვე მათი გადმოცემა. ეს რვა ფურცელი მართლაც გადმოვეცა საქართველოს, ამას უნდა დავსძინო, რომ ერთი ფურცელი ამავე მრავალთავისა თელი ჟორდანისა მოეპოვებინა ოზურგეთში და გადაეცა საეკლესიო მუზეუმისათვის (№713). ეს ნაწილები ამჟამად ყველა ერთად არის თავმოყრილი (ა1109). ხელნაწერს მაინც ბევრი აკლია, ჩვენამდე მოაღწია 179-მა ფურცელმა.

ჩანს, უდაბნოს მრავალთავი სამხრეთ საქართველოდან გამოუტანია მე-16 საუკუნეში „ოდესმე ჯუმათისა მამასახლის ყოფილს“ ნიკოლაოსს სხვა ხელნაწერებთან ერთად, რომელთა შორის ერთია ადიშის ოთხთავი.

უდაბნოს მრავალთავში შემორჩენილი თხზულებანი ან მათი ნაწყვეტები კარგად ასახავს მე-9, მე-10 საუკუნეთა სალიტერატურო ქართულს და მათი მეცნიერული გადმოცემით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება წინ ქართული ენის ძეგლების გამოქვეყნების საქმეში“. (შანიძე, 1985, 1).

უდაბნოს მრავალთავის შედგენის ადგილსა და დროზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგიერთი მკვლევარი მას შატბერდში შექმნილ ძეგლად მიიჩნევს (ე. თაყაიშვილი, ა. შანიძე). აკადემიკოსი იური სიხარულიძე არ გამორიცხავს მის ამალლების უდაბნოში შედგენას, რადგან აქ, გურიის უდაბნოში, 12, 16 და 32 კვ წიგნების გადაწერაც უწარმოებიათ. სამწუხაროდ უდაბ-

ნოს ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი, უნიკალური ხელნაწერები უმოწყალოდ განადგურდა ათეისტური ბუმის ჟამს.

უდაბნოს მრავალთავი მეცნიერთაგან პირველად დიმიტრი ბაქრაძემ ინახულა და მოკლედაც აღწერა კიდეც: „უდაბნოში არის ძველი ხელნაწერების პატარა ბიბლიოთეკა. ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა: სახარების თარგმანები იოანე ოქროპირისა და მეტაფრასი ანუ წმინდანთა ცხოვრება, ორივე სქელ ეტრატზე ნაწერი. ასომთავრულის დამწერლობა ცხადყოფს, რომ ხელნაწერები ძალზე ძველია, მაგრამ სამწუხაროდ, მათ არც თავი აქვთ და არც ბოლო, ასე რომ, არ შემიძლია განვსაზღვროთ მათი გადაწერის დრო; მაგრამ ყველაზე საინტერესო ხელნაწერია დავთარი ანუ უდაბნოს 29 გუჯარის კრებული. მასში ჩამოთვლილია გურიელების, ერისთავებისა და სხვა სამღვდელთა თუ ერისკაცთა შემოწირულობანი უდაბნოსადმი სწორედ ამ კრებულის ცნობების მიხედვით შევადგინე ერისთავ შერვაშიძეთა ტაბულა. ეს კრებულივე სხვა სიგელებთან ერთად იქნება ჩემი მასალა ამ ნაშრომის V და უკანასკნელი თავისათვის“. (ბაქრაძე 1987, 202).

უდაბნოს ნიგნთსაცავში, ხელნაწერების გარდა, ნაბეჭდი ნიგნებიც მრავლად ყოფილა; რომელნიც მონასტრისათვის შეუწირავთ: დავითნი (მეფე სოლომონისაგან), მარხვანი (ქუთათელისაგან); პარაკლიტონი (მარიამ დედოფლისაგან) და სხვა. აქვე ინახებოდა ბაქარისეული ბიბლიაც (1743წ).

რაც შეეხება თვითონ კომპლექსს, მიჩნეულია, რომ ამალღების უდაბნოს კომპლექსი უძველესი ქრისტიანული კერაა გურიისა და ასკეტური მოძრაობის სათავეებს უკავშირდება. ამას ადასტურებს აქ, როგორც ვთქვით, ძეგლის ქვაბოვანი ხასიათი. პირველი ქვაში ნაკვეთი ეკლესია მომცრო, სადა ნაგებობაა მორთულობას მოკლებული, შესასვლელით დასავლეთის მხრიდან, ნაწილი ამ ეკლესიისა მიწის ქვემოთაა ამოჭრილი. ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობაზეა აგებული და, როგორც ვთქვით, VIB საუკუნით თარიღდება. შიდა სივრცე საკმაოდ მოცულობითია, დაახლოებით 40 კვ. მეტრი, ორიარუსიანი. ამ უზარმაზარი გამოქვაბულის მთლიანობისათვის „მცირე ფურცლოვანი ქვის გასაოცარი სახურავი“ გაუკეთებიათ. ეკლესიის იატაკი, კედლების გასწვრის დასაჯდომი მერხები, კანკელი ეკლესიასთან ერთად ქვისაგანაა ნათალი.

უდაბნოს კომპლექსის მეორე ეკლესია XIX საუკუნეში აუგიათ, 1858 წელს, არქიმანდრიტ ტუსკიას ნინოზრგობისას, ამდენად მის შესახებ ძველ საისტორიო წყაროებში ცნობებს ვერ ვპოვებთ. ნაგებია თლილი ქვისაგან და წარმოადგენს დარბაზულ შენობას. მნიშვნელოვნად დაზიანებულია გასული საუკუნის 20-იან და 50-იან წლებში. 2006 წელს აქ ახალი ეკლესია ააშენეს.

გაზეთ „ბრზოლის დროშა“-ს 1958 წლის ერთ ნომერში ვკითხულობთ: „საყურადღებოა ქვის მღვიმე ეკლესიის კლდოვანი ქვის წვერზე გამოთლილი ჯვარი, რომლის სიმაღლე 120 სმ-ია, განი 1-მეტრი, სისქე 25 სმ. ჯვრის მარჯვენა მხარეს ოსტატურადაა შესრულებული წარწერა. დამწერლობის ასეთ სისტემას აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი „კიდურწერტილოვან დამწერლობას“ უწოდებს. დასავლეთის მხარეს ჯვარზე წარწერა ასომთავრულია და 9 სტრიქონს შეიცავს. ჯვრის აღმოსავლეთ მხარეს წარწერა ასომთავრულია და იგი 1901 წლითაა დათარიღებული, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. წარწერიდან ცხადია, რომ „მოსულა მთასა მღვდელთმთავარი და წინამძღვრის ბრძანებით აღუმართავს იგი ჯვარი“ ეს მხედრული წარწერა მიგვითითებს ამ ჯვრის უძველესობაზე, ვინემ ტაძრის აგების დათარიღებაა“. (ჯიბუტი, 1958, 3).

1963 წელს ლენინგრადის საისტორიო არქივში ფ. სიხარულიძემ მიაკვლია „გურიის უდაბნოს აღწერის“ აქტს, რომელიც XIX საუკუნის შუახანების დოკუმენტია: მკაფიო რუსული კალიგრაფიით შედგენილი ეს დოკუმენტი დაცული ყოფილა სინოდის ფონდში – „იგი დაწერილია საშუალო ზომის ორ თეთრ ფურცელზე და წესისამებრ შედგება სამი ნაწილისაგან – საყდრის, საღვდელმსახურო ინვენტარისა და ნიგნთსაცავის აღწერისაგან.“

საგულისხმოა, რომ დოკუმენტში დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან კლდეში გამოკვეთილი, ხოლო ორი მხრიდან თლილი ქვებით ნაშენი (2 საყენი; 2 საყენისა და 2 არშენის ფართობის) „გურიის უდაბნოს“ საყდარი უძველეს ძეგლადაა მიჩნეული, თუმცა მისი შექმნის თარიღი კონკრეტულად მითითებული არაა: „ხსენებულ ტაძარს საკმაოდ დიდი საკურთხეველი (1,5 საყენი; 2 საყენზე) ჰქონდა, ტრაპეზითა და სამსხვერპლოთი. უდაბნოს უმთავრესი ხატი იოანე ნათლისმცემლის იყო. მისი ჩარჩო, როგორც საბუთშია აღნიშნული, ვერცხლით მოუჭედავთ და ზედ ვერცხლისვე არშინის სიგრძის ძენკვით შეუმკიათ ის ესვენა საყდრის მარცხენა ნაწილში, ხოლო მარჯვენა მხარეს – „მთავარმონამე წმინდა გიორგი“. ჩანს ეს რელიქვია უფრო დაფასებული ყოფილა, ვიდრე პირველი, რადგან ის ვერცხლითა და ოქროთი იყო მოჭედილი.

სამღვდლო სადიაკვნო მოსასხამსა და სასაყდრო ინვენტართან (სატრაპეზო ჯვარი, ნითელი ფარჩის გადასაფარებელი, ვერცხლის ჭურჭლები და სხვა) ამ კერის სიმდიდრე იყო, ხელნაწერები, ნიგნები, ნაბეჭდი სახარებები, დავითნი, მარხვანი, სადღესასწაულო, სამოციქულო, ჟამნი, მეფე დავითის ნაჭირნახულები „დაბადება“ (გამოიცა მოსკოვს. 1743 წელს) და სხვა ხელნაწერებთან ერთად აღსაღნიშნავია პერგამენტზე გადაწერილი „თვენი“, ქალაღზე შესრულებული „მეტაფრასი“, ოცდაჩვიდმეტი სიგელ-გუჯარი – „უდაბნოსათვის“ ყმა-მამულის შეწირულობის ნასყიდობის, სულთა მოსახსენიებელი ნიგნები და ა. შ.“ (სიხარულიძე, 1995, 3)



„გურიის ნათლისმცემლის უდაბნოს საყდრის აღწერილობა“ როგორც ფ.სიხარულიძე აღნიშნავს, მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ის „შეიცავს ძვირფას ცნობებს ქართულ ნაბეჭდ და ხელნაწერ ნიგნებზე, რუსეთში გამოცემული ქართული ძეგლების გავრცელების გეოგრაფიაზე, საერთოდ ხელთა გვაქვს საინტერესო წყარო ქართული კულტურის და კერძოდ ამ კერის ისტორიისათვის“. (ფ. სიხარულიძე, 3) თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გარკვეული მოსაზრებით ყველაფერი არ აღწერილია ეს სავანე საკმაოდ

მდიდარი ყოფილა.

მართალია მონასტერი საკულტო დაწესებულება იყო, მაგრამ, მოგეხებებათ, რომ იგი მნიშვნელოვან სამამულო სინიორიასაც წარმოადგენდა მინათმფლობელობითა და მეურნეობის სხვადასხვა დარგებით, განვითარებული იყო მესასქონლეობა, მეფუტკრეობა, დიდი ყოფილა სააღაპე და სულის მოსახსენიებელ შენირულობათა ოდენობა.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული საბუთებს შორის, ყურადღებას იპყრობს მამია მე-4 გურიელის შემოწირულობის ერთი წიგნი, რომელიც შედგენილია „ქორონიკონის“ ქრისტეს აქეთ, ათას შვიდას სამოცდაათს, ნოემბერსა 2-სა“ საბუთს ახლავს, ხელრთვა „მამია გურიელი“ და უზის სამთავრო ბეჭედი, რომელიც გვამცნობს „მონა ვარ ღ(ვ)თისა, ყმა ხონთქრისა, ხანი გურიის მამია“.

„მონამეთა“ შორის უპირველესად დასახელებულია „თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანნი ზეცისანი და ქვეყნისანი, უხორციონი და ხორციელნი“.

შემდეგ იხსენებენ „კაცთაგანი“ წყალობის წიგნი დაუწერია და მონამეცაა „მდივანი“ იესე. ყველა ამათი თანადგომით გურიის მთავარი „... უდაბნოსა შინა დამკვიდრებულ „მეუფეს“, „დიდ წინასწარმეტყველსა“ და „წინამორბედ ნათლისმცემელ იოვანეს“ უწყალობებს „კინი... შესანიწავს საკათალიკოზოში“. „საკათალიკოზოდ“ გუბაზეულის გაღმა მხარე იწოდებოდა, კერძოდ სოფელ მენიეთს გურიელს ჰქონდა „დიდი მარანი“, რომელსაც ამიერიდან უდაბნოს უმკვიდრებდა „ორი მოსახლე“ მემარნითურთ. ესენი იყვნენ „ცივმანიძენი – ზაქარია და მისი ცოლშვილი და მისი ძმა იესე და მისი ძმის(წ) ულები სახლითურთ, და მეორე გაყოფილი მათი ცოლ-შვილით, სახლ-კარით, ჭურ-მარნით, ტყით, წყლით, ეკლესიის კარით, მთის ბეგრით, უძებრ-საძებრით“.

გარდა ამისა, გურიელმა უდაბნოს სამთავრო „ტყე და წყალი მენიოს გამოსავალი, სათებზო და სანადირო უკლებლივ“....

ასეთი გულუხვი შეწირულობა მთავარს მისდა „სახლეგრძელოდ და საცხოვრებლად“ გაუღია.

ამგვარი წყალობითა და სხვა გზებით უდაბნოს საკმაოდ დიდი სამფლობელო შეუქმნია. გარდა „საკათალიკოზოსი“, მას მამულები ჰქონია საერისთაოზოში (სამეხას, ზემო ამალეხას, გოგოლეთს, ზემო ფარცხმას, იანუულს, ერკეთს, ვანს, სურებს, ზუოლიეთს და ა.შ.), საჯავახოს (ტოლეს), ვაკე-იმერეთს (მესხეთს ბაკის-უბანს), ოდიშს (საჭილაოს) და სხვა.(სიხარულიძე. ჟურ. 1995, 3)

მონასტრის მოღვაწენი აქტიურად საქმიანობდნენ კულტურისა და განათლების ფრონტზე. წინამძღვარ ი. ტუსკიას მონაწილეობა მიუღია შემოქმედის „გულანის“ გადანერაში. (მე-18ს) „უდაბნოს კაცი“ გიორგი კომახიძე იურიდიულ დოკუმენტებს ადგენდა (მე-18-ე, მე-19 სს მიჯნა) (ზ. სიხარულიძე. გაზ. „კომუნისმის განთიადი“, 9.10. 1984, გვ.4). უდაბნოს მონასტრის ყმას „უდაბნოს კაცი“ ერქვა. ასე იწოდებოდა ზოგჯერ სამონასტრო „ძმობის“ წევრიც.

გურიის უდაბნოს წინამძღვართაგან განსაკუთრებით

ცნობილია იოსები გვარად ტუსკია. „საბუთებით იოსებ ტუსია (ტუსკია ამ გვარს ხან ასე წერდნენ). მის მემკვიდრეობად ითვლებიან: არსენ გამყრელიძე, გაბრიელ ტუსია, ახლა გურიის ეპისკოპოსი და ბოლოს, ახლანდელი წინამძღვარი პორფირე ქოჩაკიძე. ადგილობრივ მცხოვრებთა მოწმობით, იოსებ ტუსია უდაბნოს დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი იყო; მაგრამ მას არც ერთი წარწერა არ ახსენებს. ერთად ერთი წარწერა, რომელიც იოანე ნათლისმცემლის საეკლესიო ხატზეა, გაბრიელ ტუსიას ეკუთვნის. იგი ამბობს: Cym (1848) წელსა ივნისისა თვეს მე ჯუმათის მონასტრის გამგებელმან და იოვანე ნათლისმცემლის უდაბნოს

ილუმენმა ტუსიამ გაბრიელ, მოვაჭედინე ხატი ესე ორმოცის მანეთის შემწეობითა თამარ დავით ნეფის ასული-სათა და ორასი დრემის ვერცხლის შეწირვითა მთავრის დადიანის ასულის მარიამის გამდლის ასტანდარისათა, და შეწირე, ნათლისმცემელ, საცხოვრებლად სულთა მათთა.

მიუხედავად იმისა რომ უდაბნოში სრულიად არ მოიპოვება მითითება იოსებ ტუსიას შესახებ, ჩვენ ვიცით, რომ იგი გურიელების მამია IV, გიორგი V და ვახტანგის დროს ცხოვრობდა და რომ თავისი ცხოვრებითა

და ღვანლით ყველაზე ცნობილ პიროვნებად ითვლებოდა. იმერეთსა და გურიაში“. (ბაქრაძე 1987,202)

წარწერაში მოხსენიებული ბატონიშვილის „გამდელი“ მეტწილად ზუგდიდში ცხოვრობდა. მთავრის ასულის გურიაში გამოთხოვების შემდეგ, ხანდახან, გაზრდილსაც მოინახულებდა ხოლმე. ჩოხატაურში ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს უნდა შეეწირა მას უდაბნოსათვის ის „ორასი დრემი ვერცხლი“, რომელიც წარწერაშია აღნიშნული. თავის დროზე ეს არც თუ ისე მცირე თანხა იყო, მაგრამ ამჟამად უფრო საინტერესო არის არა ეკონომიური ასპექტი, არამედ აფხაზი ბატონიშვილის დამოკიდებულება გურიის განთქმული სავანისადმი. რა თქმა უნდა, ის აქ იშვიათი გამონაკლისი როდია, ასეთივე მოკრძალებას უდაბნოსადმი იმ დროს ბევრი ავლენდა. დასავლეთ საქართველოში, მათ შორის სამეფო სახლის წევრებც“. (ი. სიხარულიძე, 1981, 6. 01.)

XX საუკუნის ბოლოს გურიის უდაბნოს ქვაში ნაკვეთ ტაძარში აღსდგა ღვთისმსახურება, ტაძარში დაიდგა კანკელი, ტაძარს დაუბრუნდა იოანე ნათლისმცემლის ხატი. 2001 წელს შემოქმედელი მიტროპოლიტის იოსების ლოცვა-კურთხევით გურიის უდაბნოში აღდგა სამონასტრო ცხოვრება.

ყოველივეს გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას, გურიის უდაბნოს მონასტერი საკმაოდ ცნობილი ყოფილა, როგორც ქართული კულტურის შესანიშნავი კერა და თვალსაჩინო ღვანლიც დასდო ჩვენი ქვეყნის სულიერი კულტურის განვითარებას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ნათია კალანდაძე



გურიის უდაბნო

ბალოადა სიყვარულზე

მე-19 საუკუნის მიწურულს გურიაში მცხოვრები ერთი ახალგაზრდა ოჯახის ისტორიას გვიამბობთ, რომელიც თავისი მძაფრი დრამატული სიუჟეტით ბალოადას უფრო ნააგავს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას. ოჯახის უფროსი – ნიკოლოზ ვასაძე გემის პირველი ქართველი კაპიტანი იყო. მის შესახებ ოფიციალური ცნობები საქართველოს ცენტრალური კომიტეტის

რიდან თითქმის ამოიღო, მაგრამ ასეთ დატვირთვას გულმა ვერ გაუძლო და იქვე სული განუტევა. გარდაცვლილი გემის კაპიტანი, ნესისამებრ, ეკიპაჟმა ბოსფორის სრუტეში ზღვაში დატოვა. მისი სხეული ტალღებს გაატანეს. როცა ნიკო ვასაძე გარდაიცვალა, 19 წლის მეუღლეს კესარია ლლონტს ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა. ქალიშვილი-ქსენია და ვაჟი-ლავრენტი. ოჯახ-

ურჩია, რაც შეურაცხყოფად მიიღო, ქმრის ოჯახი დატოვა და შვილებთან ერთად თავის დედ-მამასთან დაბრუნდა. კესარიას ხელის მთხოვნელთა შორის ქუთაისელი თავადიშვილი ნულუკიძეც იყო(სახელი უცნობია). როცა ქალმა ის მორიგი უარით გაისტუმრა, მისი მოტაცება გადაწყვიტა, კესარია თონეში დაიშალა. გაბრაზებულმა კესარიაზე და მის ოჯახზე შური იძია, სახლს ცეცხლი წაუკიდა და გადაწვა. ხანძარს მამა ემსხვერპლა. უსახლკაროდ დარჩენილი კესარია, მცირეწლოვან შვილებთან და დაქვრივებულ დედასთან ერთად ქალაქ ფოთში უფროს დასთან ივლინესთან გადავიდა. ქალიშვილის გათხოვების შემდეგ კესარია შვილთან და სიძესთან ცხოვრობდა. ის ფოთში გარდაიცვალა და იქ დაკრძალეს.

კესარია ლლონტის და ნიკოლოზ ვასაძის ერთადერთი ქალიშვილი-ქსენია ჩემი ბებია ოყო(დედაჩემის დედა). მას კიდევ სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი-ლაზარე ჰყავდა. ის სამამულო ომში მოხალისედ წავიდა და არ დაბრუნებულა. ამჟამად, არც ქალიშვილები არიან ცოცხალი.

კესარიას და ნიკო ვასაძის ერთადერთი ვაჟი-ლავრენტი ნიჭიერი კაცი იყო, მან განათლება რუსეთში მიიღო, იქვე შეირთო მეუღლე, ორი ქალიშვილი შეეძინათ. რუსეთიდან დაბრუნებული ლავრენტი ვასაძე ბათუმში დასახლდა, გასაბჭოებამდე საკუთარი უნივერსიტეტის „ლუქსის“ მფლობელი გახლდათ. ამჟამად, მისი ქალიშვილებიც ოღლა და ნინო გარდაცვლილი არიან.

ასეთი სასიყვარულო ისტორია მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს, ქალბატონებს როგორი თავგანწირვის უნარი ჰქონდათ. პირველი ქართველი გემის კაპიტანი, რომლის ნეშტი მეზღვაურებმა ზღვის ტალღებს გაატანეს, კესარია, კი, სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.



კესარია ლლონტი ოჯახთან ერთად

არქივში ინახავდნენ. ვფიქრობ, ამ თემით დაინტერესების შემთხვევაში, საბუთების მოპოვება იოლი არ იქნება.

გადმოცემის თანახმად ნიკო ვასაძე ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა. ოჯახმა ის ცოდნის მისაღებად სევასტოპოლის საზღვაო სასწავლებელში გაგზავნა. სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. 21 წლის ნიკო ვასაძე გემის კაპიტანად დაინიშნა. ბოსფორის სრუტეში ნიკო ვასაძის გემის ლუზა ზღვის ფსკერზე რაღაცას გამოედო, მეზღვაურებს მისი ამოღება გაუჭირდათ, საქმეში ახალგაზრდა კაპიტანი ჩაერთო. მან ლუზა ფსკე-

ში სამძიმრის სათქმელად მისულმა ერთ-ერთმა გურულმა ქალბატონმა ნიკო ვასაძე ასეთი სიტყვებით დაიტირა – „შენ იკითხე ნიკო, კესარია კიდევ გათხოვდებო“. ამ სიტყვების მოსმენამ კესარია ძალიან გააღიზიანა, სკამიდან წამოხტა და ქმრის ნათესავებს ხმამაღლა შეჰფიცა, რომ არასდროს გათხოვდებოდა. ეს ფიცი მან პირნათლად შეასრულა. სამი წელი კესარიამ შვილებთან ერთად მეუღლის ოჯახში ცხოვრობდა. ლაზარე და ნესიერი ქალის ცოლად შერთვა ბევრმა მოინდომა. კესარია ყველას ცივი უარით ისტუმრებდა. ერთ-ერთ მამულს ახალგაზრდა რძალი შეეცოდა და მას ოჯახის შექმნა

რეზო ლორია 80 წლისაა



რეზო ლორია

1958 წლის 26 სექტემბერს იმ დროის აჭარის ვაჭრობის მინისტრის შარაშიძის სახელზე შედის განცხადება. მისი მოკლე შინაარსი ასეთია – „ვარ ობოლი, არ მყავს მშობლები, მე-9 კლასიდან სამხედრო სავალდებულო სასწავლებელში ვიყავი განწვეული, ამჟამად საღამოს სკოლაში ვსწავლობ. მსურს, მზარეული გავხდე. გთხოვთ, ნებისმიერ გამოცდილ მზარეულთან მოსწავლედ მიმიღოთ“. განცხადებას ხელს აწერდა ჩოხატაურის ერთ-ერთ უღამაზეს სოფელში კონხარში დაბადებული, შემდეგ საცხოვრებლად ბათუმში გადასული გურული ბიჭი-რეზო ლორია. სწორედ, ამ დროიდან იწყება მისი, როგორც კულინარის გზა და ასე გრძელდება დღემდე. რეზო ლორია წლების განმავლობაში მუშაობდა ბათუმელების საყვარელ რესტორან „გემოში“ ჯერ რიგით მზარეულად, შემდეგ უმაღლესი თანრიგის უფროს მზარეულად. 1973 წელს გამოცდილი მზარეული ბათუმის საზოგადოებრივი ტრესტის რესტორან „სპორტთან“ არსებულ კულინარიულ სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. ამავე დროს ის შეთავსებით ჯერ კაფე „სამოში“, შემდეგ რესტორან „ბლაგოვეგრადში“ ადმინისტრატორად დანიშნეს. 1975

რეზო ლორიას დიდ ნდობა გამოუცხადე და ბათუმის ყველაზე დიდ კოლექტივში საზოგადოებრივი კვების ტრესტში უფროს ინჟინერ-კულინარად გადაიყვანეს. მან დაუსწრებლად დაამთავრა მოსკოვის პლენანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნოლოგიის ფაკულტეტი. 1966 წელს ის ბათუმის საზოგადოებრივი კვების ტრესტის ბაზაზე ჩამოყალიბებულ სააქციო-საზოგადოება „გურმანის“ აქციონერი გახდა, სადაც დღემდე თავისი სპეციალობით აგრძელებს მუშაობას. რეზო ლორიას ტიტულებს ვიცე-პრეზიდენტის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრობაც დაემატა.



ჯანთ ბარამიძე და აჩილ აბჯელაძე

სანგრძლივი მუშაობის დროს მას 11 მადლობა გამოუცხადეს, 23 ქებისა და საპატიო სიგელი მიიღო. დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „ოქროს ხელის ოსტატი“, საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებული მუშაკი და მედალი „შრომის ვეტერანი“. თავისი კარიერის დროს რეზო ლორიამ ქართულ კულინარიას 100-ზე მეტი სპეციალის-

ტი გაუზარდა. ის იყო აჭარისა და საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ეგიდით ჩატარებულ კულინართა კონკურსების ფიურის წევრი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის კურსდამთავრებულ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ კომისიას და მისი უცვლელი თავმჯდომარე იყო.

3 სექტემბერს რეზო ლორიას 80 წელი უსრულდება. მას სოლიდური ასაკი არ ეტყობა, დღესაც შემართებით შრომობს და სააქციო-საზოგადოების „გურმანი“ ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობს. გარდა იმისა, რომ კარგი მზარეულია, მას ბრწყინვალე ხმა აქვს, წლების განმავლობაში მღეროდა ბათუმის საზოგადოებრივი კვების ტრესტთან არსებულ ვოკალურ ანსამბლში. უკრავს გიტარაზე და ფანდურზე. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ასეთ დადებით თვისებებთან ერთად, მცირე ნაკლიც აქვს. კარიერაში პირადი ცხოვრება შეინირა და რჩევა-რჩევაში უცოლოდ დარჩა, თუმცა თავისი ენერჯია და აქტიურობა 5 ძმისა და ერთი დის შვილების აღზრდაში მიმართა.

საქციო-საზოგადოება „გურმანის“ კოლექტივი, ყოფილი ბათუმის საზოგადოებრივი კვების ტრესტის თანამშრომლები, ნაცნობები და მეგობრები რეზო ლორიას მოახლოებულ 80 წლის იუბილეს და პროფესიული საქმიანობის 56 წლისათვის ვულოცავთ. კიდევ მრავალი წელი გეღვანოს ჩვენს გვერდით.

ჯონი ბარამიძე
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აჭარის დამსახურებული ეკონომისტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. საქციო-საზოგადოება „გურმანის“ პრეზიდენტი



გურული ტაქსში ჩაჯდება. ტაქსის მძღოლი ეკითხება: – სად მიდიხართ? გურული პასუხობს: – მაი არაა შენი საქმე!



თბილისში რუსთაველის გამზირზე გურული მოურიდებლად გადადის მანქანის სავალ ნაწილზე. უსტვენს პოლიციელი და გაბრაზებული უყვირს:
– სად მიდიხარ, რომ მიდიხარ?
– აგერ, შვილთან, პასუხობს გურული.
– შვილთან თუ არა, არ იყოს მინისტრი!

– მინისტრი არაა, მარა შენსავით მაინც არ უფშოვტინებს!



მეგრელს უთხრეს გურულს კიბო აქვსო.
– ხობ, სანყალი კიბო! – შეიცხადა მეგრელმა



გურულს ეკითხებიან ის კაცი ხომ შენი ნათესავიაო – კი მაგრამ შორეული – პასუხობს გურული.
– მაინც როგორი? – 12 და-ძმა ვიყავით, მე პირველი დავიბადე, მაგი ბოლო.



– გურული: მიდი, შვილო, ბებოსთან, რაცხა გასახარელი უთხარი, ფინთათაა მაგის საქმე.
– ბებო, პანაშვიდზე „4 გიამ“ რო გიმღეროს, გეგებარდება?



კაცი იყიდის სიგარეტს მაღაზიაში გურულ გამყიდველთან.
გაუკიდებს და გამყიდველი ეუბნება:
– შვილო აქანა არ ეწევიან!
– კი მაგრამ, თუ ყიდით მონევა რატო არ შეიძლება?
– მასთე ნენა ტვალეტის ქალაღდაც კი ვყიდი და მიდი აბა ქენი.

ვანო გუდავაძე-კრიმინალის დიქსონარი

ჩოხატაურის ხალხურ შემოქმედებას არაერთი გამორჩეული მომღერალი და მოკრიმინალე ჰყავდა. მათ შორის აღსანიშნავია: ვლადიმერ ბერძენიშვილი, ვერიჩქა სიხარულიძე, ნიკოლოზ ლომთაიძე, იური სიხარულიძე, შალვა მეფარიშვილი, შოთა დოლიძე, ვანო გუდავაძე. ამ კოჰორტას შორის უკანასკნელი მოჰიკანი ბატონი ვანო გუდავაძე გახლდათ.

ის დაიბადა 1924 წელს ჩოხატაურის რაიონის ნაბელღავის თემის სოფელ ქვაბლაში, პატიოსან, შრომისმოყვარეს და სიმღერაზე შეყვარებულ ოჯახში. ის მთელი ცხოვრება უმნიკლოდ ემსახურა მშობლიურ სოფელს, სკოლასა და რაიონს. ორმაცდაათ წელზე მეტი ქართული ხალხური შემოქმედების ავანგარდში იდგა. იყო სკოლის სიმღერის მასწავლებელი, სოფლის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივის ხელმძღვანელი, ჩოხატაურის სიმღერისა და ცეკვის რაიონული და ფოლკლორულ სახალხო ანსამბლ „გურია“-ს წევრი-მოკრიმინალე.

იყო რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი. დაჯილდოებული იყო, სამთავრობო ჯილდოებით, მათ შორის, ღირსების ორდენით.



ვანო გუდავაძე

ბატონი ვანო, დიდი კაცი იყო. აი ისეთი ზედმეტი აფიშირებისა და თავგაბეზრების გარეშე, რომ აკეთებდა თავის საკეთებელს. ის ჩემთვის ეტალონია – კაცობის, თავმდაბლობის, სინდისიერების, სტუმარ-მასპინძლობის. ბატონ ვანოს სიცოცხლეშივე დაბეგებული ქონდა თავისი ღირსშესანიშნავი ადგილი ქართული ხალხური შემოქმედების ისტორიაში, რადგან უფალმა მას უბოძა მუსიკის უდიდესი ნიჭი და თავისი კრიმინალური ალაფროვანებად ჟიურის წევრებს, სპეციალისტებს, სმენილებსა და წარმატებები შეჰქონდა ქართული ხალხური შემოქმედების განვითარების საქმეში

ერთერთმა ცნობილმა კომპოზიტორმა, კრიმინალურს ღმერთებთან მისასვლელი გზა უწოდა. ბატონმა ვანომ ამ გზაზე წარმატებით იარა 50 წელზე მეტი და მჯერა მისი სპეციაკი სული სამუდამოდ იქნება ნათელში.

რევაზ თველორაძე

საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ფაზისის საერო აკადემიის გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენოსანი.

„ჰოპლა! ჩვენ მსოფსოფტ და ჰოსტესსოფტ“ ...

ოთხ წელიწადში ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი 150 წლის იუბილეს აღნიშნავს. როგორ პირობებში უწევს დღეს ოზურგეთის თეატრის დასს მუშაობა და როგორ ემზადებიან იხინი იუბილის აღსანიშნავად, გვესაუბრა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი ვასილ ჩიგოგიძე. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ლიტვისა და საქართველოს მეგობრობის ცენტრის თავმჯდომარე, საერთაშორისო კონკურს-ფესტივალების („ბუენ ვიახე“) სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი და ვარსკვლავოსანი, ბატონი ვასილ ჩიგოგიძე, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კომისიის მიერ 2013 წლის სექტემბრიდან დაინიშნა.

– რა პრობლემები გაქვთ დღეს თეატრში?

– უმთავრესი პრობლემა იცით რა არის?! 150-ე წლის იუბილე მოდის და უფალმა დაიფაროს, რომ ღირსშესანიშნავი თარიღი ოზურგეთის თეატრმა ასეთ პირობებში მყოფ შენობაში აღნიშნოს. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე მაქვს საუბარი და აქედან არის გამოწვეული ყველაფერი. სრული გამყინვარებაა, მოშლილია ინფრასტრუქტურა. არ ვხუმრობ, მიცვალებული, რომ დავდოთ ამ თეატრის შენობაში ერთი წელი არ გაფუჭდება, ეს რეალობაა.

1962 წელს დასრულდა თანამედროვე თეატრის შენობის მშენებლობა. გახსნის დღიდან, დამონტაჟებულია ძველი, საბჭოური გახმოვანებისა და განათების აპარატურა. დღეს ბევრის გაოცებას იწვევს, თუ როგორ ვახერხებთ ამ მოწყობილობებით მუშაობას. მთლიანად გამოსულია მწყობრიდან



ვასილ ჩიგოგიძე

ამავე პერიოდის გათბობის დანადგარები. თეატრი 1988 წლის შემდეგ არ გამთბარა. ზამთრის დროს წარმოუდგენელია სპექტაკლებისა და ღონისძიებების გამართვა. არ გვაჩნია ტრანსპორტი გასვლითი სპექტაკლებისათვის, რაც იწვევს გასვლითი ღონისძიებების ხარჯების მნიშვნელოვნად ზრდას მცირე ბიუჯეტის თეატრისათვის.

მანც მოვახერხეთ და მარტის თვეში ვითამაშეთ ახალი პრემიერა. მაგრამ როგორ მძიმე პირობებში მიდიოდა მასზე მუშაობა ჩვენ ვიცით. მსახიობებს რამდენჯერ ჰქონდათ ფილტვების ანთება და ვირუსი ვინ დათვლის. მე თავად ორჯერ ბრონქების ანთებით ვიყავი ავად, ერთხელ კი, როგორც ექიმებმა მითხრეს ფაქტობრივად ასთმამი მქონდა



გადასული და ხანგრძლივი მკურნალობა დამჭირდა. აქ რაც ხელფასს ვიღებ ნამღებისთვის მჭირდება. მაგრამ არის ფანატიზმი, არის რაღაც ფორმა ფანატიკოსებისა, ეტყობა ჩვენ სწორედ ამ ჯვარის სატარებლად განწირული ხალხი ვართ. ჩვენი ჯვარი იმიტომ უნდა ვზიდოთ, რომ 28 მარტს, პრემიერაზე, ჩვენთან ერთად, ორსაათნახევარი გმირულად იტანდა სიცივეს 700 მაყურებელი. ეს არის პატივის მიგება. პატივი მიაგო მაყურებელმა ჩვენს გაუსაძლის ყოფას და რა ბედნიერია არტისტი, გავინყვება გამყინვარება, ანთე-ბა, გაციება, ხმის ჩახლევრა.

პრემიერაზე რამდენი ხმაჩახლევრილი მსახიობი იდგა სცენაზე. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, შემოქმედების დონეს აზიანებს, მაგრამ „ამისთვის ღირსო ცხოვრება“, ამას ამბობდნენ ის ფანატიკოსები, რომლებიც ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ არიან ამ თეატრში. ეს არის და ეს. მადლობა მინდა გადავუხადო თეატრის დასს, მათგან გმირობის ტოლფასია ასეთ პირობებში მუშაობა.

– ასევე პრობლემაა, როცა ექვემდებარები კულტურის სამინისტროს, ბიუჯეტს ადგილობრივი თვითმმართველობა გიფინანსებს, შენობა კი ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის. 2008 წელს მსხვილმა ფიჭურმა კომპანიებმა („მაგთი“, „ჯეოსელი“, „ბილანი“) თეატრის სხვენზე დაამონტაჟეს გადამცემი ანძები თავისივე სადგურით. აღნიშნული კომპანიები 2012 წლის 1 ივნისიდან საქართველოს მთავრობის განკარგულებით საიჯარო თანხებს უხდიან არა თეატრს, რომლის სახურავსაც აზიანებს, არამედ ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ მომსახურების ბიუროს პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე. რამდენჯერმე წერილობით მიმართა თეატრის ხელმძღვანელობამ ეკონომიკის სამინისტროს დახმარებისთვის, მაგრამ...

მუზეუმისა და სამხატვრო გალერიის პენსიონერ თანამშრომლებს პენსიისა და ხელფასის თანხების ერთად მიღება შეუძლიათ, თეატრის პენსიონერ თანამშრომელს კი არა. არის ბევრი შეუსაბამობა და იმედს გამოვთქვამ, რომ კულტურის სამინისტრო, მინისტრთა კაბინეტთან, ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ერთად დაფიქრდება ამ საკითხზე.

– ცნობილი გახდა, რომ „ქართუ ჯგუფი“ იღებს ვალდებულებას, რეკონსტრუქცია ჩაუტაროს თეატრის შენობას. ვინ და როდის შეხვდა ბატონ ბიძინა ივანიშვილს? რა მდგომარეობაა ამ კუთხით?

– „ქართუ ჯგუფის“ თემას, რომ შევეხოთ, სიმართლე ასეთია, 146-ე სეზონის გახსნის წინ, პირადად შეხვდვი ბატონ ბიძინას. ბატონი ბიძინას სიტყვები კონკრეტული იყო: „რა დღეშია თეატრი და რაა გასაკეთებელი?!“. მაშინ მე

ვუპასუხე და მივანოდე დოკუმენტაცია, სადაც აღწერილი იყო თუ რა იყო, გასაკეთებელი, რა მდგომარეობაში ვართ დღეს, რა გვიჭირს და ა.შ. ბატონმა ბიძინამ მომცა კაცური სიტყვა: „მე ყველაფერს განვიხილავ და ამ თეატრს მივხვდავ“. მე გადავუხადე მადლობა. მითხრეს, მას არ უყვარს მადლობას, რომ უხდიანო. რა შუაშია? მე, მას მადლობა გადავუხადე იმაში, რომ სამშობლო დამიბრუნა და მე დამაბრუნა სამშობლოში. მეტი არაფერი არ ყოფილა, ეს იყო სულ.

ამ საუბრიდან ზუსტად ერთ კვირაში, „ქართუ ჯგუფის“ საპროექტო ჯგუფი ჩამოვიდა. იმუშავეს, აღწერეს ჩასატარებელი სამუშაოები. მათ ხელში ეჭირათ სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც მე მივანოდე ბატონ ბიძინას. შემდგომ ჩამოვიდა მეორე და მესამე ჯგუფი: არქიტექტორები სცენის, თეატრის, განათების, გახმოვანების ყველა პროფილი. მათაც ყველა პრობლემა ჩაინიშნეს და აღწერეს. ეგ კი არა, ჩამოვიდა ადამიანი, რომელმაც თქვა, რომ იგია დანიშნული მშენებლობის უფროსად და თებერვალში ამ საქმეში სიცხადე უნდა შესულიყო. არ მინდა რაღაც ციფრებზე ვისაუბრო. 13 მილიონს ამბობდნენ, მაგრამ მე სანამ დოკუმენტს კონკრეტულად არ ვნახავ ან სანამ პირველი სამუშაოები არ დაიწყება მანამდე ძალიან ძნელია საუბარი იმაზე, მომავალში რა იქნება.

ბატონ ბიძინასთან არა მაქვს პირადი და პირდაპირი კონტაქტები. არც ის შემიძლია ვიკადრო და ვკითხო: „რომ დამპირდით, რას შევბით?“. მე, ამ ადამიანს ვიცნობ, როგორც უზარმაზარ მეცენატს და ქართული კულტურის მხსნელს. მე ამას ვამბობ გულწრფელად, იმიტომ, რომ ვისაც არ სჯერა ნახოს რუსთაველის თეატრი, გრიბოედოვის თეატრი და ა.შ. ჩამოიაროს და ნახოს მთელ საქართველოში რა არის მისი ინიციატივით და თანხებით გაკეთებული. მჯერა და დარწმუნებულიც ვარ, დღეს თუ არა ხვალ, ეს აუცილებლად უნდა შედგეს.

რაც შეეხება „ქართუ ჯგუფს“, იმედს ვიტოვებთ, რომ როგორც მოულოდნელად „დაგვესხენ“ თავს, დარწმუნებული ვარ ასევე მოულოდნელად ერთ დღეს „დაგვესხებიან“ და გვეტყვიან „ვანგრევთ! ვინყვებთ! და ჩვენც შევძახებთ: „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ და ვიცოცხლებთ“...

– თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების შემთხვევაში დასის ბედი როგორ წარიმართება?

– არც ერთ შემთხვევაში არ შევწყვეტთ მუშაობას. ჩვენ გვაქვს მცირე სცენა, რომელიც ჩვენი ხსნა იქნება. მცირე სცენის ავტორი ვარ მე. სცენამ ფუნქციონირება დაიწყო 1987 წელს, (1980-96 წლებში მე სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ვიყავი) თეატრის 120 წლისთავის საიუბილეოდ, ოზურგეთში მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუმრობის წინ.

ოზურგეთის თეატრის მცირე სცენაზე, ამჟამად დროებით, სპექტაკლებს ატარებს „თოჯინების თეატრი“. მე მცირე სცენაზე ვაპირებ „ანტიგონეს“ დადგმას. ვიმედოვნებ წლის ბოლომდე „ანტიგონეს“ პრემიერა გაიმართება. ასევე ჩვენ მცირე სცენაზე ჩაფიქრებული გვაქვს მონო სპექტაკლები. დაწყებული გვაქვს მუშაობა ორ მონო სპექტაკლზე. ერთზე ქალბატონი ბელა კიკვაძე მუშაობს, ხოლო მეორე იქნება ორკაციანი პიესა, რომელზეც ახალგაზრდები მუშაობენ. ჩვენ არსად წავალთ, აქ იქნება მუშაობა. ჩვენ არც ამ ყინვაში გავჩერებულვართ.

– დღეს რომელ სპექტაკლებზე მუშაობს თეატრის დასი?

– ერთი პრემიერა ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალები“ 28 მარტს ვითამაშეთ. აპრილის ბოლომდე გამოვუშვებთ „გამოდი სულ სინათლეზე, ანუ ჭკვიანი გიჟები“. შემდეგ

გეგმაში გვაქვს „ღონ ჟუანის დაბადება“, ამ სპექტაკლისთვის ფინანსებს ვეძებთ და სამინისტროს დიდი იმედი მაქვს. სეზონის ბოლომდე გამოვუშვებთ საბავშვო სპექტაკლს „იანვანამ რა ჰქმნა“. აუცილებლად სკოლებთან მუშაობა უნდა დავინწყოთ.

– თეატრში ხომ არ ფიქრობთ სიახლეების დანერგვას, რომლითაც დაინტერესდება მაყურებელი (ახალგაზრდობა)?

– მცირე სცენაზე უახლოეს მომავალში ჩამოგვივა ფართო ეკრანი და დავინწყებთ ბავშვებისთვის შემეცნებითი ფილმების ჩვენებას. შემდეგ გადავალთ ისეთ კლასიკოსების ფილმების ჩვენებაზე, როგორც არის ვისკონტი და სხვები. ამასაც ექნება შემეცნებითი სახე. ჩვენს მაყურებელს 20 წელზე მეტია ფართო ეკრანზე ფილმი არ უნახავს. ამას აუცილებლად გავაცოცხლებთ, რადგან აქაური მაყურებელი დანატრებულია ეკრანზე ფილმების ნახვას. ასევე ეს თეატრის ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ხედავთ, მცირე სცენა რამდენი სიკეთის მომტანია.

– ამის გარდა ჩვენ გავხსენით ახალი სტუდია. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებსა და 25 წლამდე ახალგაზრდებს, ვისაც სურვილი აქვს და დაინტერესებულნი არიან თეატრალური ხელოვნებით, აქვთ მონაცემები და აქვთ სურვილი გააგრძელონ სწავლა თბილისის და ბათუმის თეატრალური უნივერსიტეტში შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ სამსახიობო და სარეჟისორო ოსტატობას სტუდიაში. მაქსიმალურად ვეცდებით, მათ ხელი შევუწყნოთ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაში. ჩვენ მემორანდუმი გავაფორმეთ, თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტთან. ბათუმთანაც ვისაუბრეთ და ალბათ მალე მემორანდუმსაც გავაფორმებთ, რომ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრისათვის გაიხსნას ჯგუფები. წელს უკვე სტუდიაში შეირჩა 13 აბიტურიენტი, ძალიან საინტერესო ახალგაზრდობაა.

– ხომ არ იგეგმება დედაქალაქიდან რეჟისორების მოწვევა?

– ამ ეტაპზე ჩვენ ისეთ მეტრებთან გვაქვს მოლაპარაკება როგორებიცაა: თემურ ჩხეიძე, გოგი ქავთარაძე გიზო ჟორდანიას, სანდრო მრეველიშვილი და ა.შ. აგვისტოში უფლის შემნობითა და კულტურის სამინისტროს დახმარებით სურვილი გვაქვს ბატონმა თემურ ჩხეიძემ დაიწყოს სპექტაკლზე მუშაობა, მაგრამ წინასწარ ვერ ვამბობთ ვერაფერს. რადგან დამოკიდებული ვართ ორ მომენტზე: რემონტზე და კულტურის სამინისტროს დაფინანსებაზე. მოგეხსენებათ ჩვენი ფინანსები რაოდენ მწირია, ყველაზე სასაცილო მთელს ქვეყანაში ოზურგეთის თეატრის ბიუჯეტი იყო, 200 000 ლარი წელიწადში. მადლობა დღევანდელ ადგილობრივ ხელისუფლებას წელს ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა 100 000 ლარით. დარწმუნებული ვარ, შემდგომში

დაფინანსების ზრდის ტენდენცია გაგრძელდება. 150 წლის იუბილეს ღირსეული შეხვედრა და დახვედრა უნდა. სამწუხაროა, რომ თეატრის მნიშვნელობის არავის ესმის. იქნებ მეცენატები, ბიზნესმენები გამოგვეხმაურონ. 15 000 ათასი ლარია ოზურგეთის პროფესიული თეატრის სადადგმო ხარჯი, როცა მხოლოდ და მხოლოდ „ღონ ჟუანის დაბადებაზე“ მჭირდება 24 000 ათასი ლარი, რომ შევძლო სპექტაკლის სრულფასოვნად გამოშვება. საჭიროა დეკორაცია, ტანსაცმელი, განათება, ჰონორარები და ა.შ. 150 წლის იუბილემდე დარჩენილია ოთხი წელი. ოთხმა ბიზნესმენმა რომ დაგვიფინანსოს თითო სპექტაკლი დიდი საქმე იქნება ჩვენი თეატრისთვის.

– რას გვეტყოდით დღევანდელი თეატრის დასის შესახებ?

– დღეს მე მინდა კიდევ ერთხელ დიდი სიხარულით ვთქვა: ოზურგეთის დრამატულ თეატრს დასი საკმაოდ კარგ ფორმაში ჰყავს, არის ძალიან საინტერესო შუა თაობა და ახალგაზრდობა. თითქმის ყველა პიესაზე შეიძლება მუშაობა, მაინცა და მაინც „რომეო და ჯულიეტაზე“ არ გვაქვს პრეტენზია. თუმცა ცოტა ხელის წამოკვრით ამაზეც შეიძლება ფიქრი. არის ძალიან სერიოზული ახალგაზრდობა, რამდენიმე ახალი მსახიობიც მივიღე. მაგალითად სალინაძე, რომელიც საკმაოდ კარგად გამოჩნდა, მან ტიგრანას როლი ითამაშა. ყველაზე სასიხარულო იცით რა არის, ყველა ჩემი ძველი სტუდიელი, რომლებმაც თეატრალურ უნივერსიტეტი დაამთავრეს დღეს ფაქტობრივად ამ თეატრის ბირთვია. ძალიან მწყდება გული, რომ ვალერიან კანთელაძე აღარ არის, ის საკმაოდ დიდი ძალა იყო, მაგრამ სამწუხაროდ ასე წავიდა მისი ცხოვრება...

– გეგმავთ თუ არა თეატრალურ ფესტივალებში მონაწილეობას?

– დაგეგმილი გვაქვს, წელს აუცილებლად მონაწილეობა მივიღოთ თეატრალურ ფესტივალში, რომელიც გორში გაიმართება. ეს არის გიორგი ერისთავის კომედიის ფესტივალი და გადაბმას ვგეგმავთ გასტროლების. შეთანხმებული ვართ გორის თეატრის ადმინისტრაციასთან. ალბათ 4 სპექტაკლს წავიღებთ. ასევე წარვადგინეთ „დურუჯის“ ფესტივალზე „თეთრი ბაირალები“. ალბათ მაისის ბოლომდე ჩამოვლენ სპექტაკლის სანახავად და შესაფასებლად. წელს თავი შევიკავეთ ლიტვაში გასტროლებიდან. მიზეზი ისევ და ისევ ფინანსების არქონაა. სრულიად თავისუფლად შეგვიძლია მომავალ წელს მივიღოთ მონაწილეობა ამ ფესტივალში. ჩვენ ყოველთვის გველიან ლიტვაში. ოზურგეთის თეატრის 150 წლის იუბილემდე უნდა დავაფუძნოთ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე შექმნილი სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი. დუმბაძე იდგმება მთელ მსოფლიოში, საქართველოში ხომ თავისთავად. და ეს ნიშა ნოდარ დუმბაძის ფესტივალის მასპინძლობისა, ოზურგეთმა უნდა დაიკავოს.

– და, ბოლოს რას გვეტყვი?

– სიამაყით ვამბობ: ძალიან სერიოზული დასი ჰყავს ოზურგეთს, აქ არის დიდი შემოქმედებითი პოტენცია და ვანებული, რომელსაც სჭირდება გამოხატვის საშუალება. აუცილებლად უნდა დაიწყოს რეგიონებში პროფესიული თეატრების მხარდაჭერა, ეს რამდენიმე წელი უნდა იყოს ოზურგეთის თეატრის გადარჩენის წელი, რადგან მალე 150 წლის ვხდებით. იმედი მაქვს, რომ პარლამენტში, სადაც ხელოვანი ადამიანების თითქმის ერთი ფრაქციაა წარმოდგენილი, იმსჯელებენ ყოველივე ზემოაღნიშნულზე. მჯერა, ოზურგეთი საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი კულტურის კერა იქნება.



„თეთრი გაიკაღვამი“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე



ნოდარ დუმბაძემ 60-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი. მისი გმირები თავიანთი ტკივილით, სევდით, სიხარულით, შეიყვარა და შეისისხლხორცა ქართველმა ხალხმა. ალბათ მაყურებელი მუდამ მადლიერი იქნება რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის, სწორედ ის გახლავთ ნ. დუმბაძის ნაწარმოებების ინსცენირების ავტორი. მოგესხენებათ ბატონ გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებაში შემდგომ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებმა დაიკვიდრეს განსაკუთრებული ადგილი. დიას, მისი დამსახურებაა, რომ ეს საოცარი გმირები გაცოცხლდნენ სცენაზე და დღემდე აქტუალური, ახლობელი და მშობლიური.


ოზურგეთის ალ. ნუნუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალები“ წარმოადგინა. სპექტაკლი განახორციელა რეჟისორმა ოთარ კუტალაძემ, მხატვარი შოთა დარჩია, თამაზ დარჩია, მუსიკალური გამფორმებელი ოთარ კუტალაძე, რეჟისორის ასისტენტი მაკა მამულაშვილი.

სცენაზე გისოსებიანი ციხის საკანია, სადაც პატიმრები იმყოფებიან. დაკითხვაზე გაყვანამდე მაყურებელი ეცნობა თითოეული მათგანის ცხოვრებას. ამ „გაუგებრობაში“ შემთხვევითაა მოხვედრილი ზაზა ნაკაშიძე, რომლის სახე მისთვის ჩვეული უშუალოდ განასახიერა გიორგი დოლიძემ. იგი მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. მართალია გამოიძევა არასწორად მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოოდ სიმართლე იმარჯვებს და ზედამხედველის (ჯემალ კეჭყაყაძე) ნანატრი ხმაც გაისმის „ნაკაშიძე სვეშჩამი.“ უნდა ითქვას, რომ ზედამხედველი ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდება თითოეული პატიმრის გათავისუფლებას; შოშია – გენადი ნიკოლაიშვილი სახელმწიფო ქონების გამტაცებელია, რომელიც დანაშაულის ჩადენას შვილების სიყვარულით ხსნის და თუ სახელმწიფოს ქონებას გაფლანგავს, ამაშიც ვერ ხედავს პრობლემას. მსახიობმა ოსტატურად გახსნა ეს სახე; გოგოლის – თემურ კვიციანი მიზანია, საკანში იყოს წესრიგი, თუმცა მისი ქმედება ხშირად ჩხუბსა და აყალ-მაცალს იწვევს, რის გამოც ხვდება კარცერში. მისი ქმედებები ხშირად იწვევს მაყურებლის ჯანსაღ სიცილს; კომედიურ ჩარჩოში ზის ებრაელი სპეკულანტი მოშიაშვილი – ომარ ურუშაძე, მოშიაშვილს კომიკურ სიტუაციაში ამყოფებს მისი თვითდაჯერებულობა. თავი ისე უჭირავს, თითქოს მისი ციხეში ყოფნა არ შეიძლებოდეს. მაყურებლის ღიმილსა და მონონებას იმსახურებს მსახიობის ლაპარაკის სპეციფიკური მანერა, ჩაცმულობა, საბურთალოს ბაზრის სიმღერით გატაცება; ტიგრანა – ლევან სალინაძე, გულწრფელობითა და

იუმორით შეასრულა ეს პერსონაჟი ახალგაზრდა მსახიობმა, უნდა ითქვას რომ მისი სახით ოზურგეთის თეატრმა კიდევ ერთი ნიჭიერი მსახიობი შეიძინა; ჭეიშვილმა – ვახტანგ ჩხარტიშვილი, აღიარა თავისი პირადი ტრაგედია, მაგრამ მინც ეპოტინება იმ აზრს, რომ ჯერ მისი მამაკაცური ვალი არ მოუხდია. მსახიობი ბოლომდე დაიხარჯა და მაყურებლის დიდი მონონებაც დაიმსახურა. შესანიშნავად განასახიერა „ლიმონად“ ნოდარ დუმბაძის აკაკი დევედარიანის სახე ირაკლი ვადაჭკორიამ. იგი მაყურებლის წინაშე წარსდგა, როგორც რომანტიული ბუნების მქონე ადამიანი, ლიმონა აღმადრენით მიუძღვნის ლექსს ეტანს, რითაც ხიბლავს ქალიშვილსაც და პატიმრებსაც. მაგრამ შემდეგ ვხედავთ, რომ მას პატიოსანი კაცი ისიდორე თვითმკვლელობამდე მიჰყავს; გამცემლიძე – ვანო ჩხაიძე, მსახიობმა არ დაიშურა ენერგია რომ ეს სახე დამაჯერებლად განესახიერებია, მისი ყოველი მოქმედება მართალი იყო, ამიტომაც ხშირად იმსახურებდა მაყურებლის ოვაციას. ისიდორეს დამაჯერებელი სახე შექმნა – ალექსანდრე ლომიძემ, რომელიც უნებურად ჩადენილი დანაშაულის გამო აღმოჩნდა საკანში. მისი გასამართლების სცენა ერთგვარი კულმინაციაა სპექტაკლისა, განათლებული და ბუნებით დინჯი ადამიანი, თავადვე აღასრულებს ლიმონა დევედარიანის მიერ გამოტანილ განაჩენს. ჩვეული ოსტატობით წარმოადგინა ბოროტმოქმედი მეზურიშვილის სახე – ნუგზარ ბარამიძემ; სპექტაკლში სიხალისე შემოჰქონდა ნუნუს – ქეთი ცეცხლაძე სცენაზე გამოჩენას; დედის სათნო და ამავე დროს ძლიერი სახე შექმნა ლია მარტიაშვილმა, მან საინტერსოდ წარმოაჩინა პატიმარი შვილის დედის შინაგანი სამყარო. გამოძიებელი გაგუა – ოთარ კუტალაძე, სპექტაკლის რეჟისორმა თავად შეასრულა ეს როლი და მაყურებლის მონონებაც დაიმსახურა; გამოძიებელი ხელაძე – ზაზა ჯინჭარაძე, იგი დინჯად და აუჩქარებლად იძიებს საქმეს. მის მკაცრ იმიჯში, მაყურებელი სიმართლის დამცველსაც ხედავს.

დამთავრდა სპექტაკლი, რომელიც მაყურებელში ბევრ კითხვას ტოვებს. დაეშვა ფარდა და ჩვენს თვალწინ საკანშიც გაქრა, საკანი რომელიც ერთგვარ სახელმწიფოს წარმოადგენს, სადაც არიან ბოროტმოქმედებიც, უდანაშაულოებიც, სამართლიანებიც, სხვადასხვა რჯულისა და ჯიშის ადამიანები. სახელმწიფო, სადაც უნდა იყოს ერთმანეთისადმი მიმტყეველობა, თანადგომა, თავგანწირვა, რამეთუ სხვანაირად არ იქნება ქვეყანა ვერ გადარჩენა... ვისურვოთ, რომ ქვეყნიერების თავზე, როგორც სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო -თოვლივით თეთრი ბაირალი ფრიალებდეს.

*ქეთევან კუკულავა
სცენები სპექტაკლიდან „თეთრი ბაირალები“*



აკეთის მაცხოვრის ეკლესიის რესტავრაცია მადე დასრუდლება

შემოქმედისა და გორისფერდის ეკლესიების შესახებ მასალების მოსაძიებლად ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მივდი. ეს იყო ალბათ 1988 ან 89 წელი. მაშინ ხსენებულ მუზეუმს ბატონი ენვერ გოგუაძე ედგა სათავე-ში(ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული). რომ გაიგო, აკეთიდან ვიყავი, მაცხოვრის ეკლესიის შესახებ არაერთი საინტერესო ფაქტი მიაბო, რომელიც ჩემს არქივში დღემდე ინახება. შემოგთავაზებთ ფრაგმენტს ბატონ ენვერ გოგუაძის მონათხრობიდან:

აკეთის მაცხოვრის ეკლესიის საფლავის ქვის წარწერებში ვკითხულობთ: „ჩვენ ყოვლად ძლიერისა ღვთისაგან დაცულ დაფარულმა ყოვლითა ხელმწიფეთაგან სამართლად პატივცემულმა თავდგირიძემა ბატონმა გიორგი თანამეცხედრემან ჩვენმან დიდის ხელმწიფის გურიელის ბატონის ქაიხოსროს ასულმა ბატონიშვილმა ბატონმა დარეჯან და ძემან ჩვენმან მამუკა და მაქსიმე შევალებინეთ წმინდა ესე საყდარი. მაცხოვრისა ძველიდან ქვისა იყო და ახლად გადავაკეთებინეთ და გარდავაჭდევინეთ და დავახატვინეთ ჩვენთვის ამა სოფლის სადღეგრძელოდ და ეს აკლდამა შევამკეთ ვინც ჩვენთვის ბრძანით თქვენცა შეგინდოთ ღმერთმან, ამინ“.

1873 წელს დიმიტრი ბაქრაძემ ნახა აკეთის მაცხოვარი და აღწერა მისი სიძველეები წიგნში „მოგზაურობანი გურია, აჭარა, სამურზაყანო აფხაზეთი“:

„ტაძარი ჯვრის ფორმისაა, სამრეკლო რვანახნაგოვანი გუმბათით, ეგვტერი ტაძრისა, კანკელი ქვის ჩუქურთმიანი, კედლები მოხატული, ძვირფასი ხატები და ჯვრები და სხვა საეკლესიო სამკაულები „შემკული ყოვლითა ძვირფასი თვლებით თუ ქვებით. სამჯერ გაძარცვეს აკეთის მაცხოვარი 1853, 1859, 1873 წლებში, მაგრამ მისი საგანძურის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც გადარჩენილა, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა „ღვთისმშობლის ხატი“. ადგილობრივი გადმოცემით იგი ეკუთვნოდა სახელგანთქმულ თეთროსნის ეკლესიას სოფელ გვარამში. ჩურუქსუდან ხატი მაცხოვრის ეკლესიაში მოიტანა და ისლამურ წარღვნას გადაარჩინა ერთ-ერთმა ჩურუქსუელმა თავდგირიძემ, რომელმაც არ უარყო ქრისტი და საცხოვრებლად გურიაში დამკვიდრდა. ამბობენ, ამ ხატს ისეთ პატივს სცემენ ჩურუქსუელი თავდგირიძეები და ბევრი აქაური მუსლიმანი, რომ ხშირად მოდიან აკეთში, რათა თავის წინაპართა სალოცავს შეევედრონო. ამასთან მათ მოაქვთ სხვადასხვა შესანიშნავი, კლავენ ცხვარსა და ხარს.

აკეთის მაცხოვრის ეკლესიის სიძველეებში იკითხება გვარ-სახელები გურიის ქვეყნის ისტორიული პიროვნებებისა: „იესე მანველიშვილისა და მისი მეუღლის მარეს მაჭუტაძის ასულის. მათი შვილების ჯუმათელი მიტროპოლიტის ნიკოლოზის, მამუკასა და რამაზ მანველიშვილებისა. გვხვდებიან მომკომბნი ღვთისმშობლის ხატისა „ღვისმა ჯოლია“, მომჭედი მცირე ვერცხლის ჯვრისა – „ცაფუთაი და მეუღლე მისი“, ლომინ მხეიძე, თანამეცხედრე მისი ულუმპია და ძენი მისნი, აგრეთვე ფისან მხეიძე და თანამეცხედრე მისი, ძე მამუკა თავდგირიძისა მირზაბეგ.

თედო სახოკიას გადმოცემით მაცხოვარში უნახავს „პატარა ხის საჯვარე“, რომელსაც ასე აგვიწერს: „საჯვარე „დაძველებულია, სახურავი ნახევრად ჩამტვრეული აქვს,

იატაკი მიწურში აქვს, საკურთხეველი არის. სრულებით შემთხვევით მოგვიხდა შიგ შესვლა და საკურთხეველის ერთ კუთხეში შემთხვევით წავანყდით ერთს ნაფლუტებად ქცეულ საეკლესიო წიგნს, ტყავზე დაწერილს, ზოგი ფურცელი ჩრჩილისაგან საცოდავად დახრული იყო, ზოგი სქელს მტვერს დაეფარა და ზოგსაც წვიმის წყალი მოხვედროდა, დაობებულია და ერთმანეთს მიკვრია... გული გამეწურა სიბრალულისგან. ერთი მხრივ მაგალითი ჩვენი წინაპრების გულმოდგინეობისა, მათი უანგარო ღვაწლისა, ხოლო მეორე მხრით ჩვენი დაუდევრობა, აბუჩად აგდება ჩვენი ძმებისა, რომლებიც იღწოდნენ ჩვენი მწერლობის გამდიდრებისათვის, თვალს იწყალებდნენ წიგნების გადაწერაში, რომელნიც ათისა და ოცის წლობით დამაშვრალან ამ საშვილიშვილო საქმისათვის. მათის ამაგის უარყოფა და ნიხლის კვრა თუ არ არის, მაშ რა არის ჩვენი საქციელი?! წიგნი რა არის, წიგნიც ვერ შეგვინახავს სათანადო ადგილას! ამაზე დიდ უბედურება რაღა იქნება...?!“ (თ სახოკია).

1891 წელის გაზეთი „ივერია“ მოგვითხრობს: ადრე ამ ადგილას იდგა ტაძარი, რომელიც ხალხური ზეპირგადმოცემის მიხედვით აშენებული ყოფილა თამარ მეფის დროს:

„თამარ მეფეს საბერძნეთით დაუბარებია ოსტატები, რომელნიც თავის დროზე გამოცხადებულან მის წინაშე და მიუღიათ ბრძანება ორი ეკლესიის აშენების შესახებ. ერთი უნდა აშენებინათ სოფელ აცანაში და მეორე აკეთში. ამის შემდეგ თვითონ ოსტატი შესდგომია აცანის ეკლესიის აშენებას, ხოლო აკეთის ეკლესიის აშენება კი მიუხდვია თავის შეგირდისათვის. როცა დაუმთავრებიათ ეკლესიის შენება, მეფისაგან დანიშნულ მცოდნე კაცებს დაუთვალაიერებიათ და მოუწოდებიათ უკანასკნელი, რის გამოც შეგირდი საჩუქრის ღირსი გამხდარა მეფისგან. ეს სწყენია ოსტატს და საბერძნეტში დაბრუნების შემდეგ შეგირდისათვის მოუჭრია მარჯვენა ხელი. ამ ელკესიის შინაგანი მორთულობა მდიდარი იყო: მრავალი ძვირფასი ნივთი და ხატი იყო აქ. ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო ოქროს ხატი „მაცხოვარი ხვთაება“.

1860 წელს ეს ეკლესია გაუტეხიათ, გაუტანიათ ეს ხატი და მიუყიდათ ქობულეთში თათრებს...

გალავნის მიდამო იყო დამშვენებული ნაძვებით, ბრონეულისა და კაკლის ხეებით. ასეთი ისტორიული განძი იყო ამ სოფელში 1880 წლამდე. ამ წელში კი დაიგრილა აქაური ხალხის უმეცრებამ, დაეცა გუმბათის წვერს და განანადგურა აქაურობა.

მე-17 საუკუნეში თურქებთან ბრძოლაში დამარცხებული თავადი მამუკა თავდგირიძე გურიაში შეხიზნულა, გურიის მაშინდელ მთავარს, ქაიხოსრო გურიელს მისთვის სოფელ აკეთში მამულები უბოძებია. გურიაში დასახლებულ თავადს მაცხოვრის ეკლესიის ნანგრევებთან ხის მონასტერი აუგია, რომელიც ჟამთაგვლის შედეგად მთლიანად დანგრეულია.

XIX საუკუნეში თავად მამუკა თავდგირიძის შთამომავლებს აკეთის მოსახლეობასთან ერთად ახალი ქვითკირის ეკლესია აუგიათ და დიდი გულმოდგინებით ზრუნავდნენ მის შემკობასა და გამდიდრებისთვის.

XX საუკუნის 50-იან წლებში ეკლესიის გუმბათს დაუდევრობის გამო საყრდენები გამოეცალა და ჩამოინგრა.

ჟურნალ „გურიის რეგიონს“ მიაწოდეს განახლებული სარეკლამო ბუკლეტი, რომელიც ამ ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოებს და ფონდ „მაცხოვრის ეკლესიის“ საქმიანობას ეძღვნება:

1986 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვის სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება აკეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის რესტავრაციის შესახებ, შეიქმნა პროექტი და დამტკიცდა ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ. დაიწყო სამუშაოებიც, მთლიანად გაინმინდა ნაგებობა, გადაეწყო და დახარისხდა ქვები, მოიხსნა ზედმეტი მიწა, მაგრამ 90-იანი წლების ცნობილმა მოვლენებმა სამუშაოების დასრულებას ხელი შეუშალა.

ლანჩხუთის რაიონის მაცხოვრებლებისა და თავდგირიძეების შთამომავლების ერთ-ერთ სანუკვარ ოცნებას სწორედ ამ ეკლესიის აღდგენა წარმოადგენს.

2009 წლის ივლისში საპატრიარქოს არქიტექტურულ

საბჭოზე მეუფე დავითის ხელმძღვანელობით მოინონეს აკეთის მაცხოვრის ეკლესიის რეზილიტაციის განახლებული პროექტი (არქ.თამაზ ბეჟანიშვილი).

ამჟამად იქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები, რომელსაც „ქართუ ჯგუფთან“ არსებული სარესტავრაციო ფონდი „ბანა“ (ხელმძღვანელი რევაზ ებრალიძე) აწარმოებს, სამუშაოებში აქტიურად არიან ჩართულები ადგილობრივი მცხოვრებლები. სავარაუდოდ, მშენებლობა აღდგომის სადღესასწაულო დღეების შემდეგ დასრულდება.

ეკლესიის აღსადგენად დაფუძნდა ფონდი „მაცხოვრის ეკლესია“, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი ბატონი მურმან ქურიძე (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი კალათბურთში „FIBA“, საკონტაქტო ტელ: 599 93 40 40).

კესო მახარაძე

დილის ლოცვის დროს ხაჟაძეა და ჩაესმა – „წადი აკეთის ეკლესიის აღდგენას მიხედო“



ამ დედებული საქმის ინიციატორი და ხელმძღვანელია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი კალათბურთში მურმან ქურიძე. ის თბილისში დაიბადა და იქ ცხოვრობს, თუმცა აკეთისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ბარბაროსულად დანგრეული აკეთის მაცხოვრის ეკლესიის აღდგენა-რესტავრაციის გადაწყვეტილება მიაღებინა. ბავშვობაში, როცა საყვარელ ბაბუასთან-ხარლამპრე ქურიძესთან და ბებუასთან-მარიამ გოგუაძესთან ჩადიოდა, აკეთის მაცხოვრის სახელობის დანგრეულ ეკლესიას გაკვირვებული შეჰყურებდა. რამდენიმე წლის წინ, დილის ლოცვების კითხვის დროს, მურმან ქურიძეს უცნაური მოწოდება ხმამაღლა ჩაესმა – „წადი, აკეთის ეკლესიის

აღდგენას მიხედო“. ძალიან გაუხარდა, მიხვდა, რომ ეს უფლის სურვილი იყო.

2009 წლიდან ამ საქმით დაინტერესდა, მოიძია მწირი საეკლესიო და ლიტერატურული მასალები, დაუკავშირდა არქიტექტორ თამაზ ბეჟანიშვილს და კონსტრუქტორ დიმიტრი დათუნაშვილს, რომლებსაც ეკლესიების აღდგენის დიდი პრაქტიკა და გამოცდილება აქვთ.

ჩვენ ბიძინა ივანიშვილს მივმართეთ, მან დიდი მხარდაჭერა გაგვინია „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდმა“, რომლის ხელმძღვანელია ზურაბ ხვედელიძე, ფონდთან არსებულმა სამშენებლო კომპანიაში, მისი დირექტორია რამაზ ებრალიძე, ჩვენს მიერ დაწყებული ისტორიული საქმე, აკეთის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის აღდგენა-რესტავრირება განახორციელეს.

ფონდ „აღორძინების“ სახელით მადლობას ვუხდით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყოფილ და დღევანდელ გამგებლებს: გია გოგუაძეს და ზაზა ურუშაძეს, აკეთის ტერიტორიული ორგანოს ყოფილ და დღევანდელ რწმუნებულებს გიორგი მორჩილაძეს და გულიკო ჩიჩუას, აკეთის მოსახლეობას, რომლებიც სამუშაოების დაწყებიდან გვერდში გვიდგანან და დღემდე დიდი შრომას ეწევიან.

მადლობას ვუხდით ფონდის თავმჯდომარის მოადგილეებს: სოსო ქურიძეს და არკადი ჩხაიძეს, ისინი ფონდის დაფუძნებიდან მხარში მიდგანან.

ღმერთი ფარავდეს მათ საღმრთო საქმიანობას. რჩება ეკლესიის შიდა სამუშაოები, რომელიც ჩვენი გასაკეთებელია.

მივმართავთ ეკლესიის გულშემატკივრებს, ამ კუთხის პატრიოტ საზოგადოებას მონაწილეობა მიიღონ ამ საღმრთო საქმეში. ჩვენი ფონდის რეკვიზიტებია:

საქართველოს ბანკის ანგარიში GE64BG000000253236200
დარეკეთ მაგთიდან, ჯვოსელიდან და ბილაინიდან 0 901 500 515
ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი

პირველი რეგიონული - კლინიკა „მამკოლი“

ის, რაც აქამდე არასდროს ყოფილა ხელმისაწვდომი - უახლესი აპარატურა და მომსახურება;

ის, რაც აქამდე არ ყოფილა - კომფორტული და თბილი გარემო; მალაქვალთფიციური, პაციენტებზე ორიენტირებული მედპერსონალი;

მომსახურება - ამბულატორიული, თერაპიული და ქირურგიული. თერაპია, კარდიოლოგია, ენდოკრინოლოგია, გინეკოლოგია, კარდიოექოსკოპია, რენტგენოგრაფიული კვლევა, ოტორინოლარინგოლოგია, პედიატრია, ოფთალმოლოგია, უროლოგია

აქ ნამდვილად იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე!
„მამკოლი“ - კლინიკა, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე სამედიცინო გამოწვევებს.

შპს „მამკოლი“ გისურვებთ ჯანმრთელობას!



მის: ჩოხატაური, ჭავჭავაძის ქ.№1

ტელ: (0419) 220052

E-mail: mamqoli@mail.ru

გაგნობის მენეჯერების სპეციალიზირებული
კურსებზე - რუსეთის ფედერაციაში სარეკლამო

შპს-ს მენეჯერების სპეციალიზირებული
კურსებზე - რუსეთის ფედერაციაში
სარეკლამო
მენეჯერების, მენეჯერების და მენეჯერების
0901 500 515

გარეული მენეჯერების სპეციალიზირებული

გარეული მენეჯერების სპეციალიზირებული